საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის

2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

2023

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა....4

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში....6

2.1 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში....6

2.2 კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება....7

2.3 მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა....13

3. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები; ინსტიტუციური გაძლიერება;....17

3.1 ადამიანის უფლებები....17

3.2 პენიტენციური და პრობაციის სისტემის რეფორმა....22

3.3 ბავშვთა უფლებები....23

3.4 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა....24

3.5 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა....27

4. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება....30

2.4 4.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვა....30

4.2 მიგრაცია და თავშესაფარი....33

4.3 საზღვრის მართვა....34

4.4 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა....36

4.5 ბრძოლა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ....39

4.6 ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა/ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსება 41

4.7 სამართლებრივი თანამშრომლობა....43

5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები....45

6. ეკონომიკური თანამშრომლობა....54

7. თანამშრომლობის სხვა სფეროები....56

7.1 ტრანსპორტი....56

7.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში....59

7.3 გარემოს დაცვა....60

7.4 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება 62
7.5 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები 65
7.6 ჯანმრთელობის დაცვა.....67
7.7 თანამშრომლობა ინოვაციის სფეროში.....68
7.8 თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში 69
7.9 ტურიზმი.....69
7.10 განათლება, მეცნიერება, ახალგაზრდობა 72
7.11 კულტურის და სპორტის სფეროში თანამშრომლობა.....75
7.12 რეგიონული განვითარება.....77
7.13 ფინანსური მომსახურება 78
8. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი.....81
9. ინსტიტუციური თანამშრომლობა.....81
10. სტრატეგიული კომუნიკაცია.....82
11. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა.....84

1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.[1]

ევროკავშირში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის წლის ანგარიში მოიცავს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, როგორც ევროკავშირთან **საკანონმდებლო აპროქსიმაციის, ასევე ინსტიტუციური დაახლოების, სექტორული ინტეგრაციის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ადამიანური რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს,** მათ შორის მოიცავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვერ შესრულდა.

2023 წელი უმნიშვნელოვანესი იყო საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მხრივ. **14 დეკემბერს, ევროპულმა საბჭომ საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რიტაც** საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან გადავიდა თვისობრივად ახალ და ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე.

შედეგად საქართველო გახდა ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ნაწილი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფ სახელმწიფოებს და მოიაზრებს მათ მხარდაჭერას ევროპული ტრანსფორმაციის პროცესში.

გაფართოების პაკეტის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი ვალდებულებების შესაბამისად, 2023 წელს, საქართველომ პირველად შეიმუშავა და ევროკომისიას წარუდგინა **საქართველოს რეფორმების განხორციელების ეროვნული ანგარიში, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმების შესაბამისი სტრუქტურითა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა.** საქართველოს მიერ მომზადებული ანგარიში ევროკომისიას გადაეცა 19 აპრილს, ხოლო დამატებითი განახლებული ინფორმაცია - 21 ივნისსა და 20 სექტემბერში გადაეცა.

2023 წელს, ევროკომისიამ, საქართველო გაფართოვების პაკეტის ფარგლებში პირველად შეაფასა, რომლის ანგარიში **2023 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნდა და მის საფუძველზე** გაიცა ევროკომისიის რეკომენდაცია ევროკაშირის საბჭოსადმი, რომ საქართველოსთვის მიენიჭოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის.

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით, ინიცირებულ იქნა ევროკავშირთან დიალოგის ახალი ფორმატი - **„გაფართოების დიალოგი“,** რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2023 წლის 29 ივნისს, ქ. ბრიუსელში გამართული უწყებათაშორისი მაღალი დონის დელეგაციის ვიზიტისას ქ. ბრიუსელში, რომლის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ევროკომისიის გაფართოებისა და სამეზობლო მოლაპარაკებების საკითხებში გენერალური დირექტორატისა (DG NEAR) და ევროკომისიის სხვა სექტორული დირექტორატების (DG) წარმომადგენლებთან. საექსპერტო დონეზე დიალოგი გაგრძელდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების თანამშრომლობის ქვე-კომიტეტების ფარგლებში და გახდა ასოცირების ქვე-კომიტეტების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტი.

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიმართულებით, კერძოდ საქართველო-

[1] ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს

ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, მიღებულ იქნა, როგორც ახალი საკანონმდებლო აქტები, ასევე ცვლილებები შევიდა მოქმედ კანონმდებლობაში:

<u>საანგარიშო პერიოდში მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტები და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები:</u>

1. ახალი კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ (09.02.2023);
2. „საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ (31.05.2023);
3. კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (14/06/2023)
4. საქართველოს კანონი "მეზღვაურთა შრომის შესახებ" (31.05.2023);
5. კანონი „სამრეწველო ემისიების შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (29.06.2023).
6. კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო პაკეტი (30.06.2023);
7. კანონი „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ (16.06.2023);
8. საკანონმდებლო პაკეტი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებასთან დაკავშირებით, მათ შორის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (16.06.2023);
9. კანონი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ (31.05.2023);
10. კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“ თანმდევ ცვლილებებთან ერთად „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო“ კოდექსსა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (13.06.2023);
11. ცვლილებები „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (22.02.2023);
12. ცვლილებები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონში (16.05.2023), რითაც გათვალისწინებულ იქნა MONEYVAL-ის რეკომენდაციები.
13. ცვლილებები შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში (17.05.2023);
14. ცვლილებები სარკინიგზო კოდექსში და შესაბამის თანმდევ კანონპროექტებში (31.05.2023);
15. "ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" კანონი (28.08.2023);
16. ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (30.06.2023);
17. ცვლილებები „საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (15.12.2023);
18. „საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ (01.11.2023);
19. „საქართველოს კანონი ადამიანის ქსოვილების და უჯრედების გამოყენების შესახებ (01.11.2023)
20. საქართველოს კანონი "ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ" (29.11.2023)
21. ცვლილებები ""ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ"" და ""სააღსრულებლო წარმოების შესახებ"" საქართველოს კანონში (29.11.2023);
22. ცვლილებები „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (30.11.2023);
23. ცვლილებები "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში, (15.12.2024)

2023 წლის განმავლობაში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის **ასოცირების კომიტეტი**, **ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის 6 თემატური ჯგუფის** სხდომა, **ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგი, საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი.** 2023 წლის 16 ნოემბერს დაარსდა **პირველი მაღალი დონის ენერგეტიკული დიალოგი** ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

ასევე, ეროვნულ დონეზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 5 სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ

იქნა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მიმდინარე აქტუალური საკითხები და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2023 წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით **საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით პირველად მონაწილეობდა კულტურის საერთაშორისო ფესტივალში - „ევროპალია-საქართველო“,** რომლის ფარგლებშიც მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა და მოხდა საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას ევროკავშირში.

წარმატებით ფუნქციონირებს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების **მონიტორინგის ელექტრონული სისტემა** და შესაბამისი ინტერნეტ-პორტალი (aa-monitoring.ge), რომელიც სისტემატიურად იხვეწება, როგორც ფუნქციონალურად, ასევე, შინაარსობრივი თვალსაზრისით.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2.1 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2023 წლის განმავლობაში სულ შემოვიდა ევროკავშირის **უმაღლესი წარმომადგენლის სახელით გაკეთებული** 141 განცხადება, საიდანაც საქართველო **მიუერთდა 70 და არ მიუერთდა 71 განცხადებას;** მიერთების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 50%-ს. ამასთან, სულ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში შემოვიდა ევროკავშირის სახელით გაკეთებული 781 განცხადება, სანქციების და დეკლარაციების ჩათვლით. აქედან **საქართველო მიუერთდა 603-ს (78.%), არ მიუერთდა 178-ს.**

2022 წლის ნოემბერში **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს** თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ოცეულმა (35 ს/მ) განახორციელა ბოლო როტაცია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში **(EUTM RCA).** ევროკავშირთან კონსულტაციების შესაბამისად, ქვედანაყოფმა წარმატებით დაასრულა მისიაში მონაწილეობა და სამშობლოში დაბრუნდა 2023 წლის ივნისის დასაწყისში.

2023 წლის 25 იანვარს თავდაცვის სამინისტროში წარმატებით ჩატარდა **უსაფრთხოებისა და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP)** სფეროში ევროკავშირ-საქართველოს მორიგი კონსულტაცია.

PESCO-ს მიმართულებით იდენტიფიცირებული პროექტების ფარგლებში განხორციელდა ერთ-ერთი პროექტის წამყვან ქვეყანასთან (უნგრეთი) კონსულტაციების პროცესი. PESCO პროექტებში საქართველოს ჩართულობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ევროპულ **თავდაცვის სააგენტოსთან (EDA**) ადმინისტრაციული შეთანხმების გაფორმება, რის შესახებაც მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკების პროცესი.

კიბერუსაფრთხოების ბიუროს ახალ შენობაში **კიბერუსაფრთხოების ოპერაციების ცენტრის** (SOC) შექმნის მიზნით მოხდა პროექტის დამტკიცება და შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. ამასთან, ა.წ. მარტის თვეში დასრულდა თავდაცვის რელევანტური სამსახურების (IT დეპარტამენტი, გენერალური შტაბის ქსელური ოპერაციები) გაერთიანება სსიპ -

კიბერუსაფრთხოების ბიუროში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კიბერუსაფრთხოების ბიუროს მოქმედების სფერო. კერძოდ, ცვლილების შედეგად, **კიბერუსაფრთხოების ბიუროს პასუხისმგებლობის სფერო გაფართოვდა** და მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქსელებისა და სისტემების უსაფრთხოებას, სერვისების მართვის ადმინისტრირებას და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებასა და მართვას.

კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიის შექმნის მიზნით ნატოს მხარესთან მოხდა შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება და დაინიშნა პროექტის მენეჯერი NSPA-ის მხრიდან.

დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროს **მენტორინგის პროგრამის სახელმძღვანელო,** რომლის მიხედვით, განისაზღვრა მენეჯერული და დარგობრივი მენტორინგის უზრუნველყოფა.

2.2 კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა რეგულარული კონსულტაციები საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურთან, ევროკომისიასთან და სხვა პარტნიორებთან შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის გატარების, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის - **„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“** ეფექტიანი განხორციელების, ისევე როგორც ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის პროცესში ევროკავშირის როლისა და ჩართულობის ირგვლივ. რეგულარული კონსულტაციები ასევე ეხებოდა ისეთ თემებს, როგორიც არის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფუნქციონირება და ხელშესახები შედეგების მიღწევის საჭიროება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, ადამიანის უფლებათა დარღვევები, მათ შორის მოსახლეობის უკანონო დაკავებები და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება და ფინანსური დახმარების გამოყოფა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგისა და ნდობის აღდგენის გაღრმავება და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა **ევროკავშირთან და მის წევრ ქვეყნებთან,** რათა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემა, მათ შორის ევროკავშირის შუამავლობით **2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების** სრულად განხორციელება და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა თავიანთ სახლებში უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა, მაქსიმალურად გააქტიურებულიყო ევროკავშირის დღის წესრიგში და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მომხდარიყო ევროკავშირის შესაბამის ფორმატებში. საანგარიშო პერიოდში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემები დაისვა არაერთ შეხვედრაზე ევროკავშირის შესაბამის ფორმატებში, როგორიცაა პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, ასევე, ევროპარლამენტი. ამ პერიოდში აქტიური ხასიათი ჰქონდა თანამშრომლობას **სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან და მის ოფისთან**, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ევროკავშირის აღნიშნული ინსტრუმენტის როლისა და ჩართულობის შემდგომი განმტკიცების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ღიად უჭერდნენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, განცხადებებში, პრეს-რელიზებსა თუ კომენტარებში.

საანგარიშო პერიოდში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სამი რაუნდი ჩატარდა: 57-ე რაუნდი ჩატარდა 4-5 აპრილს; 58-ე რაუნდი - 11-12 ივლისს; 59-ე რაუნდი 5-6 დეკემბერს, სადაც ქართული მხარის აქტიური ძალისხმევითა და პარტნიორების მხარდაჭერით, აქცენტი გაკეთდა დღის წესრიგის მთავარ თემებზე, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნება, თუმცა რუსეთის ფედერაცია აგრძელებს აღნიშნული თემის პოლიტიზირებას და ძირს უთხრის ამ მიმართულებით პროგრესის შესაძლებლობას. პარალელურად მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-თავმჯდომარეებთან და აშშ-სთან, მოლაპარაკებების მუშობის ეფექტიანად გაგრძელებასა და ადგილზე არსებულ მძიმე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე. **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მესამე რაუნდზე** განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2023 წლის 6 ნოემბერს რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ საქართველოს მოქალაქის **თამაზ გინტურის მკვლელობის ფაქტს**; სრული სიმკაცრით დაისვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უკანონოდ დაკავებული პირების გათავისუფლებისა და საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფაზე პასუხისმგებელი პირების დასჯის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო **ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (**IPRM) 7 შეხვედრაში (17 იანვარი, 2 მარტი, 27 აპრილი, 3 ივლისი, 12 სექტემბერი, 1 ნოემბერი, 14 დეკემბერი) ერგნეთში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მწვავედ აყენებდნენ საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებასთან, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის თამაზ გინტურის მკვლელობის საკითხს, ასევე ითხოვდნენ უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელ გათავისუფლებას ჰუმანიტარული მიდგომის საფუძველზე, ასევე ახალგორის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების აღდგენას.

ამასთან, გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან, უპირველესად ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-თავმჯდომარეებთან, **ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით IPRM-ის** შეხვედრების აღსადგენად, რომლებიც საოკუპაციო ძალის მიზანმიმართული, პროვოკაციული ქმედებების გამო 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ შეწყვეტილი რჩება.

საანგარიშო პერიოდში **საქართველოსა და ევროკავშირს შორის** მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გააქტიურებისა და ევროკავშირის მხარდამჭერი განცხადებების გაკეთების მიმართულებით. თითოეული ვიზიტის, შეხვედრის, საჯარო გამოსვლის თუ საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობა, ასევე განსაკურებული ყურადღება ექცეოდა პროცესში **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის** როლსა და მნიშვნელობას, და შესაბამისად მისიის მანდატის გაგრძელების აუცილებლობას. **ამჟამად მისიის მანდატი გაგრძელებულია 2024 წლის დეკემბრამდე.**

საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან გამკლავების მიზნით. ამასთან რეგულარულად ხდებოდა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის ხაზგასმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროსაბჭოს, ეუთოს და გაეროს ფარგლებში. აქტიურად ხორციელდებოდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შუამავლობით მოქმედი **„ცხელი ხაზის“** მექანიზმის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან შეინიშნება „ცხელი ხაზის“ პოლიტიზირების მცდელობები, ქართული მხარის კონსტრუქციული მიდგომების საფუძველზე აღნიშნული მექანიზმი რჩება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ კომუნიკაციის ეფექტურ ინსტრუმენტად.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა როგორც პარტნიორ სახელმწიფოებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, რათა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემა მაღალ დონეზე შენარჩუნებულიყო საერთაშორისო დღის წესრიგში. თითოეული ვიზიტის, შეხვედრის, საჯარო გამოსვლის თუ საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად გამოიყენებოდა **გაერო-ს უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების და ადამიანის უფლებათა საბჭოს ფორმატები** რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. აღნიშნულ ფორმატებში იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით **გაკეთდა 80-მდე ეროვნული განცხადება.** მიმდინარეობდა რეგულარული კომუნიკაცია გაერო-სთან (ნიუ-იორკი, ჟენევა) რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე მიმდინარე განვითარებების შესახებ მათი სისტემატიური ინფორმირების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში **ეუთო-ს მუდმივი საბჭოს** სხდომაზე იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით გაკეთდა **20-ზე მეტი ეროვნული განცხადება,** რომელშიც ხაზი გაესვა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების საკითხს, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დარეგულირებისთვის განკუთვნილი მექანიზმებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მშვიდობიანი და ღირსეული დაბრუნების მნიშვნელობას. ასევე, საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების მიერ.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა **ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის,** საპარლამენტო ასამბლეის და ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესის ფორმატები რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. აღნიშნულ ფორმატებში იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით **გაკეთდა 25-მდე ეროვნული განცხადება.**

ამასთან, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემაზე მიღებულ იქნა არაერთი **საერთაშორისო დოკუმენტი**. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნია: გაერო-ს გენერალური ასამბლეის **„აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“** რეზოლუცია (7 ივნისი); გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში **„აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“** (1 მაისი); გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია - **„თანამშრომლობა**

საქართველოსთან“ (4 აპრილი); ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 27-ე კონსოლიდირებული ანგარიში **"კონფლიქტი საქართველოში"** (3 აპრილი); ევროპის საბჭოს რეიკიავიკის სამიტის დეკლარაცია (16-17 მაისი); მონიტორინგის კომიტეტის ყოველწლიური რეზოლუცია (23-27 იანვარი); აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ანგარიში (20 მარტი); აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ (15 მაისი); ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაცია (22 მაისი). აღნიშნული საკითხები აისახა, მათ შორის, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში - **„თანამშრომლობა საქართველოსთან“** (4 აპრილი), გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ანგარიშში - **„თანამშრომლობა საქართველოსთან“** (17 ივლისი), გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშში - „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (1 მაისი), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის ყოველწლიურ რეზოლუციაში (23-27 იანვარი), გაერო-ს უშიშროების საბჭოს განცხადებაში რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავთან დაკავშირებით; ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 27-ე და 28-ე კონსოლიდირებულ ანგარიშებში (3 აპრილი, 15 ნოემბერი), ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილებაში (31 ოქტომბერი), ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივ განცხადებაში (1 დეკემბერი).

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რჩებოდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფა. გრძელდებოდა **ჯანდაცვის სახელმწიფო რეფერალური პროგრამის** ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში; საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამით ორივე რეგიონიდან 1,422-მა პირმა ისარგებლა.

პარალელურად, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას მიმართავდა **ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის** და აგრძელებდა ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების დახმარებას. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის რეგიონს **საკოორდინაციო მექანიზმის მეშვეობით** მიეწოდა იმუნიზაციის და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინები, დიაბეტის და შიდსის სამკურნალო პრეპარატები, რომელთა ღირებულებამ დაახლოებით 1.5 მილიონი ლარი შეადგინა. ჯამში, 2023 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯული თანხა 7 მილიონ ლარს აჭარბებს. გარდა ამისა, საკოორდინაციო მექანიზმი უზრუნველყოფდა აფხაზეთის რეგიონისთვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნების და მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდებას; 2023 წელს აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები და პესტიციდები.

მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების კუთხით აქტიურად აგრძელებდა მუშაობას **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია**, რომელსაც თანა-თავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი. 2023 წელს კომისიის ორი შეხვედრა ჩატარდა. საანგარიშო პერიოდში, 14,424 ოჯახს ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით გაეწია ფინანსური დახმარება; ამასთან, 2000-მდე სტუდენტს სახელმწიფოს მიერ დაუფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების საფასური. სოფელ ზარდიაანთკარში აქტიურად გრძელდებოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული იმ 28 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა მფლობელებს სახელმწიფოსგან კომპენსაცია არ მიუღიათ და უზრუნველყოფილ იყვნენ დროებითი

საცხოვრებლით. ამ ეტაპისათვის პროექტი დასკვნით ეტაპზეა, შესრულებულია სამუშაოების 95%-ზე მეტი.

2023 წელს საქართველოს მთავრობა განაგრძობდა სამშვიდობო **ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ეფექტიან განხორციელებას.** ამ მიმართულებით, 15 მაისი - 30 ივნისის პერიოდში ჩატარდა **„მშვიდობის ფონდის უკეთესი მომავლისთვის“** რიგით მე-4 საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან 129 ბიზნეს-განაცხადი დარეგისტრირდა, რაც ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ ინტერესს გამყოფი ხაზის გასწვრივ ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მშვიდობის ფონდის ბენეფიციართა 43%-ს ქალები შეადგენენ.

გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის ჩატარდა სასწავლო ტრენინგი „**მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი**“.

2023 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა დევნილ და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებთან და მათ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს. ამ კონტექსტში, 18 დეკემბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით, ტრადიციულად, უმასპინძლა შეხვედრას სამოქალაქო საზოგადოებასთან, მრგვალი მაგიდის ფორმატში, თემაზე **„ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“**. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები და ფართოდ იქნა განხილული სამშვიდობო მოლაპარაკებების დინამიკა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა პრობლემებზე, მათი გადაჭრის შესაძლებლობებსა და სამშვიდობო პროცესებში **„ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების**“ დღის წესრიგის გაძლიერების საჭიროებაზე.

ხარისხიან განათლებაზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის შედეგად, 2023 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სახელმწიფო დაფინანსებით უგამოცდოდ ჩაირიცხა 235 სტუდენტი; ამასთან, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. **„1+4“ პროგრამის ფარგლებში,** 2023 წელს, ოსურ ენაზე მოსაუბრე 4აბიტურიენტი დარეგისტრირდა. ხოლო საკუთარი სურვილით ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად - აფხაზეთის რეგიონიდან დამატებით 6 ახალგაზრდა.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიის **„ჩართულობა თანამშრომლობის გზით“** და მისი თანმდევი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის პროცესი **„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის“** ფარგლებში 2021 წელს დაიწყო და მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის საერთო ინტერესებზე დაფუძნებული დიალოგისა და ნდობის აღდგენის გაღრმავებას, რაც ახლებურ ხედვებს, მიზნებსა და პრიორიტეტებს დაეყრდნობა დეპოლიტიზებული, ადამიანზე ორიენტირებული და საჭიროებებზე მორგებული მიდგომების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვა, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით მიმდინარე, უფრო ფართო - კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით შექმნილი სარგებელი თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის. **სამშვიდობო ინიციატივის** შესაბამისად, გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის, საქართველოს მოქალაქის პასპორტზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა. **შედეგად, 2023 წელს საქართველოს მოქალაქის პასპორტი ოკუპირებული რეგიონებიდან 142-მა ადამიანმა აიღო.**

ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების შემდგომი განმტკიცების მიზნით გაგრძელდა **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება**. სტრატეგიის ხუთი ურთიერთდაკავშირებული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, რაც ითვალისწინებს **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას; სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის გაზრდას და კულტურათაშორისი დიალოგის მხარდაჭერას**.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამშვიდობო პროცესში **ახალგაზრდების როლის გაძლიერების ხელშეწყობას**, მათ შორის, სხვადასხვა ფორმატებში მათთან გამართული რეგულარული შეხვედრებისა და ცნობიერების ამაღლების გზით: 1). ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში გამართული შეხვედრების ფარგლებში; 2). სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საინფორმაციო-სალექციო შეხვედრის ფარგლებში; 3). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის ფარგლებში -**„სამშვიდობო პოლიტიკა და ნდობის აღდგენა ოკუპირებულ რეგიონებთან“,** რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით გაიმართა; 4). თელავსა და წყალტუბოში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით და UNDP-ის მხარდაჭერით გამართული კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარების ფარგლებში; 5). ანაკლიის საზაფხულო ბანაკის ფარგლებში.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში, სამშვიდობო იდეების მქონე მეტი ახალგაზრდის ჩართვისა და წახალისების, ასევე ამ თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლებისა და დაინტერესების მიზნით, 2023 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კიდევ უფრო გააფართოვა 2021 წელს დაარსებული ინიციატივა **„მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის**“, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ახალი თემატური ნომინაციები - **„საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა“, „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ და „საუკეთესო სამშვიდობო გზავნილი“.** 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ, მაღალი დონის ყოველწლიურ ღონისძიებაზე - **„ახალგაზრდები უკეთესი მომავლისთვის“** - თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი პრემია 3000 ლარის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროსაბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სამივე ნომინაციაში გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს **სტრასბურგში, დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში,** რომელიც მშვიდობის თემას ეძღვნებოდა. გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) უზრუნველყო „საუკეთესო სამშვიდობო იდეის“ ნომინაციაში გამარჯვებული პროექტის დაფინანსება.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობით, გრძელდებოდა საქართველოში 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს

ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს გაუჩინარებულთა ხვედრისა და ადგილსამყოფელის დადგენას და მათი ოჯახების თანადგომას. პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს იდენტიფიცირებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული 58 პირის ნეშტი, რომლებიც ოჯახებს გადაეცა სათანადო პატივით დაკრძალვის მიზნით. ასევე, 2023 წელს განახლდა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე ICRC-ის ეგიდით მოქმედი, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისაგან შემდგარი ჰუმანიტარული საკოორდინაციო მექანიზმის შეხვედრები. აღნიშნული მექანიზმის მე-14 შეხვედრა 13-14 მარტს, ქ. ბელგრადში, ხოლო მე-15 შეხვედრა 20 დეკემბერს, ქ. სტამბოლში გაიმართა.

საქართველოს საზოგადოებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრირების მხარდაჭერის ფარგლებში, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა 2217 დევნილი ოჯახი, დევნილებს საკუთრებაში გადაეცათ 185 საცხოვრებელი ფართი; დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათ საკუთრებაში არსებულ 34 ობიექტში ჩასატარებელი სამუშაოებისთვის გამოიყო თანადაფინანსება; გადაუდებელ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ 20 091 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება და დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფილ იქნა 695 ოჯახი. ამას გარდა, დევნილებზე გაცემულია 236 მცირე გრანტი; პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული 180 დევნილისთვის გაცემულია დახმარება და განხორციელებულია 5 საინფორმაციო კამპანია.

კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამყარებისა და ადამიანის უფლებათა მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის 3 მონიტორინგი ენგურისა და 3 მონიტორინგი ახალგორის ე.წ. გამშვებ პუნქტებზე. მონიტორინგი განხორციელდა საოკუპაციო ხაზთან მდებარე 15 სოფელში.

2.3 მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა

მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში **ქბრბ საფრთხეების შემცირების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, გაიმართა რიგი** შეხვედრები სადაც საქართველოს სხვადასხვა უწყება იყო ჩართული:

1) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2023 წლის 7-8 თებერვალს ონლაინ ფორმატში **გამართულ ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური სემინარში ბირთვული მასალის ფიზიკური უსაფრთხოების კონვენციის (CPPNM) შესწორების შესახებ**. 2) 2023 წლის 13 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა **„ქიმიური უსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში"** პროექტის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. 3) 2023 წლის 9-10 მარტს ქ. ტოკიოში გაიმართა **დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური პარტნიორობის ჯგუფის შეხვედრა.** პლენარული სესიის ფარგლებში გაკეთდა განცხადება, სადაც მთავარი აქცენტები გაკეთდა რუსეთის მიერ წარმოებული გაუმართლებელი და არალეგიტიმური ომის შედეგად, უკრაინის ბირთვულ რეაქტორებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, განსაკუთრებით კი ზაპოროჟიაში არსებულ მძიმე ვითარებაზე. გამოსვლების შემდეგ გაიმართა დისკუსია ქბრბ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. 4) 2023 წლის 17-20 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

გაიმართა **შეიარაღებაზე კონტროლის, გაუვრცელებლობისა და განიარაღების საკითხებზე ნატო-ს ყოველწლიური კონფერენცია.** 5) 2023 წლის 10-11 მაისი, თბილისში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით **გაიმართა გაუვრცელებლობის საკითხებზე აშშ-შავი ზღვის ექსპერტთა კონფერენცია**. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, აკადემიასა და ექსპერტებს შორის დისკუსიები, სადაც მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები როგორიცაა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და შავი ზღვის გაფართოებული რეგიონის გამოწვევები და შესაძლებლობები. 6) 2023 წლის 30 მაისი-1 ივნისს, ჯეჯუზე, კორეის რესპუბლიკა გაიმართა **გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივის (PSI) მე-20 მაღალი დონის პოლიტიკური შეხვედრა**. შეხვედრის ფარგლებში ქვეყნების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს PSI-ინიციატივის მნიშვნელობაზე; ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ქმედებების, უკრაინაში მიმდინარე ომისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების (ხელოვნური ინტელექტი, quantum computing) გათვალისწინებით, მსოფლიო უსაფრთხოების, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე; 7) 2023 წლის 29 მაისი-2 ივნისს აშშ-ის, რუმინეთის და ნიდერლანდების ორგანიზებით დუშანბეში, ტაჯიკეთი გაიმართა სწავლება თემაზე: **"Snow Leopard Tabletop Exercise (TTX) on Legal Frameworks and Radiological/Nuclear Forensics and Investigations"**. "ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსიები ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალების კონტრაბანდაზე, ინციდენტზე რეაგირებაზე, აღმოჩენის სტრატეგიასა და სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ პრაქტიკაზე. ასევე განხილულ იქნა აღნიშნულ საკითხებთან სასამართლო ექსპერტიზა და შემდგომი სისხლის სამართლის გამოძიების კოორდინაცია. მონაწილეებს ასევე ქონდათ შესაძლებლობა მოენახულებინეთ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) სასამართლო ექსპერტიზის რეგიონალური ცენტრი. 8) 2023 წლის 15-16 ივნისს ვენაში გაიმართა **ბალისტიკური რაკეტების გაუვრცელებლობის ჰააგის ქცევის კოდექსის (HCoC) 22-ე რეგულარული შეხვედრა,** რომლის ფარგლებში ქვეყნების მიერ გაკეთებულ განცხადებებში აქცენტი გაკეთდა ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ წლიური ანგარიშების დროულად გავრცელების მნიშვნელობაზე. განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა მოიცავდა სამ თემას: რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ ომში რუსეთის მიერ გამოყენებული შეიარაღება, ირანის ბირთვული პროგრამები და ბალისტიკური და მსგავსი ტიპის შეიარაღების გადაცემის ფაქტები არასახელმწიფო აქტორებისათვის განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოყენების ფაქტები და ჩრდილოეთ კორეის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აღსრულების მნიშვნელობა. (საქართველო მიუერთდა ევროკავშირის განცხადებას). 9) 2023 წლის 12-17 ივნისს, ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტის (GCSP) ორგანიზებით შვარცენბერგის ფედერალურ სასწავლო ცენტრში, შვეიცარია გაიმართა ღონისძიება 21-ე საუკუნის კრიზისების მართვის **თემაზე: „6th International Course on Risk and Crisis Management: Responding to Crisis in the 21th Century"**. 10). 2023 წლის 7-8 აგვისტოს **გაიმართა ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის** სამუშაო ჯგუფის შეხვედრა **ჟენევაში გაერო-ს** შტაბ-ბინაში, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო თანამშრომლობის, დახმარების და ეროვნული იმპლემენტაციის საკითხებს. 11). 2023 წლის 3-8 სექტემბერს ფინეთსა და ნიდერლანდების სამეფოში განხორციელდა სამუშაო ვიზიტი **ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასა (OPCW) და სხვა ქიმიური უსაფრთხოების უწყებებში** ინსტიტუციური მოწყობისა და ქიმიური ნივთიერებებისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკისა და საქმიანობის გაცნობის მიზნით. სამუშაო ვიზიტი განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) ტერორიზმთან ბრძოლის (WMDT) სამმართველოს მხარდაჭერით

შემუშავებული პროექტის „**საქართველოში ქიმიური უსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების** გაძლიერება“ (2022-2025წწ) ფარგლებში, რომლის მიზანია ქიმიური უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გაუვრცელებლობა, ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესება, გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების განხორციელება. 12). 2023 წლის 24-29 სექტემბერს ვენაში გაიმართა **ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენციის 67-ე სესია**. კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნა შესაბამისი რეზოლუციების პროექტები, ასევე გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ატომური ენერგიის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებთან. 13). 2023 წლის 22-24 ნოემბერს ქ. ჰააგაში (ნიდერლანდების სამეფო) **ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (ქიაო) შტაბ-ბინაში** გაიმართება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პასუხისმგებელი ორგანოების წარმომადგენლების შეხვედრა. 14). 2023 წლის 4-8 დეკემბერს ჟენევაში გაიმართა **ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის** სამუშაო ჯგუფის მესამე შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ნდობის განმტკიცების, გამჭირვალობის, კონვენციასთან შესაბამისობისა და ვერიფიკაციის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხები. 15). 2023 წლის 10-15 დეკემბერს გაიმართა **ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის წევრი სახელმწიფოების** წარმომადგენლების შეხვედრა.

ქბრბ საფრთხეების შემცირების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა რიგი წლიური ანგარიშები: 1)ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის ნდობის განმტკიცების ზომების საინფორმაციო გაცვლის შევსებული ფორმა - საქართველოს წლის ანგარიში(UNODA BWC ISU); 2) ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციით გათვალისწინებული ეროვნული ანგარიშები გასულ წელს წარმოებულ (ADPA) და მომავალ წელს დაგეგმილ საქმიანობებთან (ADAA) - დაკავშირებით; 3)ბალისტიკური რაკეტების გაუვრცელებლობის შესახებ ჰააგის ქცევის კოდექსის (HCOC) - ყოველწლიური ანგარიში; 4) ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ერთობლივი კონვენციის ფარგლებში წლიური ეროვნული ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა **არსებული საერთაშორისო შეთანხმებებისა და გაეროს სამოქმედო გეგმის, უშიშროების საბჭოს რეზოლუციების** შესაბამისად, ასევე, ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო დოკუმენტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი და მონიტორინგი. ასევე, გაგრძელდა ექსპორტის კონტროლის ეროვნულ დონეზე განხორციელება, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, მათ შორის **#1540 რეზოლუციის მოთხოვნების და გაუვრცელებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო რეჟიმების** ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და პრინციპების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, **მცირე და მსუბუქი, ასევე ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტის კონტროლის სფეროში თანამშრომლობის კუთხით** გავრცელდა შემდეგი წლიური ანგარიშები: 1) გაერო-ს ‘‘**ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელი ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ**“ (CCW) კონვენციის მე-5 და მე-2 დამატებითი ოქმების შესაბამისი ყოველწლიური ანგარიშები. 2) **ეუთო-ს კონფლიქტების პრევენციის ცენტრისათვის** განკუთვნილი ანგარიში სამხედრო ბიუჯეტისა და დაგეგმარების შესახებ; ანგარიში ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმების შესახებ; სამხედრო ინფორმაციის გაცვლის ყოველწლიური ანგარიში.

2023 წლის ივნისში, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსდ - საქართველოს

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს აილენდის კლასის ორი საპატრულო კატარღა და სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფების პერსონალისათვის დეკონტამინაციისა და ქბრბ აღჭურვილობა გადმოეცა.

2023 წლის 19-22 ივნისს, ქ. პერიში (აშშ) გამართულ მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში, მხარეებს შორის ხელი მოეწერა **„ქბრბ შესაძლებლობების მდგრადობის შესახებ“** ურთიერთგაგების მემორანდუმს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების **სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წარმომადგენლები** პერმანენტულად ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ბირთვული და რადიაციული კონტროლის სისტემების პროგრამულ/ტექნიკურ მომსახურებას და ადმინისტრირებას.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წარმომადგენელმა, შსს-ს აკადემიის ბაზაზე, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი თანამშრომლებისთვის ჩაატარა საბაზისო სწავლება თემაზე **„სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული და რადიაციული კონტროლი“.** გადამზადდა 18 მესაზღვრე-კონტროლიორი;

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს, სსიპ სასწავლო ცენტრის და აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) თანამშრომლობით, სასაზღვრო უსაფრთხოებაში ჩართული უწყებების ოფიცრებისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრში დაინერგა სასწავლო პროგრამა - **„მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრევენცია და სასაზღვრო უსაფრთხოება“.** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- „ინსტრუქტორთა განვითარების კურსი“, გადამზადდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 8 თანამშრომელი;
- ერთი ტრენინგი და გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თანამშრომელი.

2023 წლის 12 დეკემბერს, ქ. თბილისში ჩატარდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-7 ყოველწლიური სხდომა, რომელზეც დამტკიცდა **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების სტრატეგიის (2021-2030) 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა.**

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ შეიმუშავა **საქართველოს მთავრობის N397 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს 17 სასაზღვრო გამტარ პუნქტში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესისა** და **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N150 ბრძანებით დამტკიცებული ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის** ცვლილებების პროექტები.

3. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები; ინსტიტუციური გაძლიერება;

3.1 ადამიანის უფლებები

2023 წლის 23 მარტს პარლამენტმა დაამტკიცა **ადამიანის უფლებების 2022-2030 წლების სტრატეგია.** 28 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე **დამტკიცდა 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა.** გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის საფუძველზე გეგმაში გათვალისწინებული იქნა პარლამენტის, მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები.

მომზადდა ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს **ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის, დისკრიმინაციისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისა და არსებული მექანიზმების შესახებ, ქალაქ ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიაში, ოზურგეთსა და დაბა ჩოხატაურში, ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ასევე, საანგარიშო პერიოდში, შსს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს კასპის მუნიციპალიტეტში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების საკითხებზე გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში.

კამპანია - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საინფორმაციო შეხვედრები სკოლებში; საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან; საინფორმაციო შეხვედრები სკოლის დირექტორებთან, სოციალურ მუშაკებთან და მანდატურებთან; 2 302 სკოლაში განთავსდა საინფორმაციო ბანერი; მედია სემინარი; საინფორმაციო ვიდეორგოლი; სატელევიზიო სიუჟეტი ნაადრევ ქორწინებაზე; ნახატების კონკურსი; საბეჭდი მასალების დარიგება სკოლის მოსწავლეებთათვის.

2023 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა **„თანასწორობის კვირეულს“,** მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ 16-დღიან კამპანიას.

2023 წლის პირველი მაისიდან განახლებული ფორმით ამოქმედდა - **ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმი.** აღნიშნული ინფორმაცია გაშუქდა, როგორც სატელევიზიო ეთერებში, ასევე სოციალურ ქსელში.

2023 წელს გაგრძელდა სერიალი - „პოლიციის ფაილები“, რომლის მე-6 სეზონის 2 სერია ეძღვნებოდა ოჯახში ძალადობის საკითხებს. აღნიშნული გავიდა ტელევიზიით და სოციალურ ქსელში.

2023 წლის პირველი მაისიდან **შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა**. საქართველოს ყველა რეგიონის საპოლიციო დანაყოფში პოლიციის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია ინსტრუმენტში განხორციელებულ

ცვლილებებთან და ელექტრონულ ზედამხედველობასთან დაკავშირებით. ჩატარებულია 70-მდე სამუშაო შეხვედრა, გადამზადებულია 1900-ზე მეტი თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირი საქართველოსთვის და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის (GCRT) მხარდაჭერით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ტერიტორიული დანაყოფების გამომძიებლებს **„სქესობრივი დანაშაულების გამოძიების პროცესში ტრავმა ინფორმირებული მიდგომის“** თემატიკაზე 2 ტრენინგი ჩაუტარდათ, რომლის ფარგლებშიც გადამზადებულია 30 თანამშრომელი.

დამატებით, შსს-ს და არასამთავრობო ორგანიზაციას - ,,ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის" - თანამშრომლობის ფარგლებში, შსს წარმომადგენლებისათვის, ჩატარდა ერთობლივი სამდღიანი ტრენინგები თემაზე - **„ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“.** ჩატარებული 5 შეხვედრის ფარგლებში გადამზადებულია 100-მდე თანამშრომელი.

საქართველოს გენერალური პროკურატორის მიერ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარდა 18 სასწავლო აქტივობა. აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა პროკურატურის 188-მა თანამშრომელმა. ასევე, ჩატარდა ოჯახში ძალადობის შესახებ დანაშაულის საქმეთა მონიტორინგი და მომზადდა ანგარიში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მონიტორინგი ხორციელდება, შეტყობინებებისა და ელექტრონულ სისტემაში ჩატვირთულ მონაცემებზე პოლიციელთა რეაგირების ადეკვატურობის და ხარისხის შეფასების გზით. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დეპარტამენტის თანამშრომელი უკავშირდება საქმის გამომძიებელს (ან/და მის ზემდგომს), აძლევს შესაბამის მითითებებს და გამოსცემს რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამომავლო აქტივობებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგი განხორციელდა არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის 3200-ზე მეტ ფაქტზე.

საანგარიშო პერიოდში, ევროპის საბჭოს (CoE) პროექტის ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრა, სადაც ექსპერტის მიერ განხილულ იქნა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართლის მიხედვით. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, სამინისტროს თანამშრომლები გადამზადდნენ სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებზე სამართალწარმოების შესახებ. ჩატარებული 5 ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულია 100 თანამშრომელი.

ადამიანის უფლებათა და **ანტი-დისკრიმინაციის** საკითხებზე **საქართველოს გენერალური პროკურატორის** მიერ ჩატარდა 57 სასწავლო აქტივობა. აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა 500-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა. **დისკრიმინაციის ნიშნით** შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე. ასევე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე შეგროვდა 2022 წლის 12 თვის სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები და გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

გენერალური პროკურატურის მიერ, გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თემაზე ჩატარდა 21 სასწავლო აქტივობა. აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა პროკურატურის 262-მა თანამშრომელმა. შემუშავდა ფემიციდის შესახებ სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგისა და სტატისტიკურ მონაცემთა აღრიცხვის მეთოდოლოგია.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში შემუშავდა.

2023 წლის 10 ივლისს გაიმართა **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს I მონიტორინგის შეხვედრა,** რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საბჭოს წევრი უწყებების მხრიდან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების პროგრეს-ანგარიშის წარმოდგენა. ამავე სამოქმედო გეგმის შესრულების ერთი წლის (2023 წლის) ანგარიში განხილულ იქნა ამავე საბჭოზე, 2023 წლის 27 დეკემბერს.

20-21 მაისს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, განხორციელდა ტრენინგი **ადამიანით ვაჭრობის თემაზე,** რომლის სამიზნე აუდიტორიას ქ. თბილისის მასშტაბით სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების პერსონალი წარმოადგენდა. ტრენინგის ფარგლებში გადამზადება ჯამში 25-მა სამედიცინო პერსონალმა გაიარა.

2023 წლის 28-29 ივლისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - **ადამიანით ვაჭრობის არასრულწლოვან მსხვერპლთა იდენტიფიცირება და სერვისების მიწოდების სპეციფიკა.** ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისათვის დამახასიათებელ ექსპლუატაციის ფორმებზე, ბავშვების ფსიქოლოგიური განვითარების სტადიებზე, არასრულწლოვან მსხვერპლთან კონტაქტის დამყარების ტექნიკასა და ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხზე. ტრენინგში მონაწილეობა ზრუნვის სააგენტოს 28 წარმომადგენელმა მიიღო.

2023 წლის 7-8 აგვისტოს, 5-6 სექტემბერს, 27-28 სექტემბერს და 17-18 ოქტომბერს, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 59-მა თანამშრომელმა.

2023 წლის 20-24 ნოემბერს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩატარდა რიგით მე-2 სიმულაციური ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დასაქმებულმა, სხვადასხვა უწყების 35-მა პროფესიონალმა.

2023 წლის 11-12 დეკემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ზემოხსენებული უწყებების 22-მა წარმომადგენელმა. ტრენინგს წარუძღვა მოწვეული ექსპერტი

ნიდერლანდებიდან და განსაკუთრებული აქცენტი იქნა გაკეთებული არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ონლაინ გადაბირების საკითხზე."

2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა სიღრმისეული კვლევა, თემაზე: **„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები (დამცავი ორდერები)**“. დამატებით, ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი სახელმძღვანელო სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით (პუბლიკაციები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.supremecourt.ge). ამასთანავე, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების ელექტრონული საძიებო სისტემის (HUDOC) ქართულენოვან ინტერფეისზე განთავსების მიზნით, ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 45 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

2023 წლის მარტში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების შესახებ 800 ცალი ექვსენოვანი ბროშურა გადაეცა - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში შემდგომი გავრცელების მიზნით. ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ტრეფიკინგის საფრთხეების და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ 729 საინფორმაციო ბროშურა გადაეცათ მოქალაქეებს.

2023 წლის განმავლობაში სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლებით ჩატარდა 15 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ჯამში 162 მოქალაქე დაესწრო. საინფორმაციო შეხვედრაზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს ბაზაზე არსებული იმ სახელმწიფო სერვისების შესახებ, რომელიც განკუთვნილია ტრეფიკინგის და ძალადობის მსხვერპლთათვის.

2023 წლის 16 ოქტომბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ქ. თელავში, №4 საჯარო სკოლასა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც ყურადღება იქნა გამახვილებული ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის რისკებზე, მოწყვლად ჯგუფებსა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფო უწყებების როლზე, ჯამში 70-მდე სტუდენტმა და მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. "

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების 6 დაწესებულება - **თავშესაფარი** და 7 ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების **კრიზისული ცენტრი**. კერძოდ, ესენია თბილისის (2), ბათუმის, სიღნაღის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), გორის და ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი ერთად), თბილისის, ოზურგეთის, მარნეულის, თელავისა და ზუგდიდის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრები.

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურებით, 2023 წელს ისარგებლა სულ ხელშეკრულებით ჩარიცხულმა 247 ბენეფიციარმა, ხოლო ხელშეკრულების გარეშე მომსახურებით ისარგებლა 2 132-მა

პირმა (იანვარი-დეკემბერი). 2023 წელს თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 97 დამოკიდებულმა პირმა, ხოლო კრიზისული ცენტრის მომსახურებით - 48 დამოკიდებულმა პირმა.

ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების მომსახურებით 2023 წელს სულ ისარგებლა ხელშეკრულებით ჩარიცხულმა 242 ბენეფიციარმა.

2023 წლის მანძილზე სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში შევიდა 14 განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში **ძალადობის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით**. ზემოხსენებული 14 განცხადებიდან კომპენსაციის მოთხოვნა 12 შემთხვევაში დაკმაყოფილდა.

2023 წლის განმავლობაში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების **ცხელ ხაზზე (116 006)** სულ შემოვიდა - 4 090 ზარი.

გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, საქართველოს **სახალხო დამცველის აპარატის მიერ**, საანგარიშო პერიოდში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს 8 რეგიონში (გარდა თბილისისა) ჩატარდა 181 შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 4191 ადამიანი. შეხვედრების თემატიკა იყო ადრეულ ასაკში ქორწინება, გენდერული ნიშნით ძალადობა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა და ფემიციდი. გარდა ამისა, აღნიშნულ თემებზე ჩატარდა 25 საინფორმაციო შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან (389 მონაწილე) და შეხვედრები 43 სოფელში ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებთან.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის 17 საინფორმაციო შეხვედრა რეგიონების მასშტაბით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 332 პირმა. შეხვედრების სამიზნე ჯგუფები იყვნენ საგანმანათლებლო რესურს ცენტრების, ბაგა-ბაღების გაერთიანებებისა და საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლების, შშმ პირთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სოციალურ საცხოვრისებსა და უფასო სასადილოებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით მომზადდა **სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები**, რომლებშიც აისახა გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, შეფასდა შშმ პირთა დასაქმების უფლების რეალიზების საკითხი. შეფასების შედეგად, აღნიშნული მიმართულებით შემუშავდა რეკომენდაციები.

გრძელდება შშმ პირთა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია. 2023 წლის მდგომარეობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფუნქციონირებს 3 დიდი ზომის პანსიონატი: მარტყოფში, ძევრში და დუშეთში. ჩეხეთის კარიტასთან თანამშრომლობით, განხორციელდა მარტყოფში და დუშეთში მცხოვრები შშმ პირების ბიოფსიქოსოციალური შეფასება. ჩეხეთის კარიტასის მიერ დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წელს შეძენილ 3 მცირე საოჯახო ტიპის სახლში მარტყოფის პანსიონატიდან გადაყვანილ იქნა 18 შშმ პირი, რაც წარმოადგენს დიდ ინსტიტუციებში მცხოვრებთა 10% -ზე მეტს. ამაჟამად, დიდი ზომის შშმ პირთა დაწესებულებში ირიცხება 142 ბენეფიციარი. ჩეხეთის მთავრობის გრანტის ფარგლებში, დაგეგმილია დამატებით 7 მცირე საოჯახო ტიპის სახლის შესყიდვაც.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და სახალხო დამცველის პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და

თანასწორობის საკითხებზე გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის 28 შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან; 13 შეხვედრა - კერძო კომპანიების თანამშრომლებთან და 30 შეხვედრა - მოსახლეობასთან. ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ შეხვედრები ჩატარდა აგრეთვე მუნიციპალიტეტების 659 საჯარო მოხელისთვის და საჯარო სკოლების 497 მასწავლებლისათვის.

3.2 პენიტენციური და პრობაციის სისტემის რეფორმა

2023 წელს **დაინერგა სრულწლოვან მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტისა და შემთხვევის მართვის წესი** N12, N14 და N18 პენიტენციურ დაწესებულებებში. საანგარიშო პერიოდში შემთხვევის მართვით მუშაობა დაინერგა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. 2023 წელს შემთხვევის მართვაში ჩართული იყო 741 ბენეფიციარი.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით (OPCAT) დაკისრებული მანდატის თანახმად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის შემდეგი ვიზიტები: მონიტორინგის ვიზიტები პოლიციის 47 სამმართველოსა და დეპარტამენტში, 33 ვიზიტი დროებითი მოთავსების 23 იზოლატორში; 3 ვიზიტი შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში; 20 ვიზიტი 8 პენიტენციურ დაწესებულებაში (N2, N3, N5, N8, N10, N14, N15, N16); 1 ვიზიტი შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში, 5 ვიზიტი შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში, 7 ვიზიტი 3 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, 4 ვიზიტი ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა 2 თავშესაფარში/საცხოვრისში, 6 ვიზიტი 6 სამხედრო ნაწილში. ასევე, განხორციელდა დაბრუნების 2 კოლექტიური ოპერაციის მონიტორინგი. გამოქვეყნდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში, მომზადდა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის ანგარიში და შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ანგარიში. მომზადდა ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიული სტაციონარის ვიზიტის შემდგომი ანგარიში. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპების შესახებ.

შემუშავდა სრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ მეუღლის /პარტნიორის ან/და სხვა პირის მიმართ **მოსალოდნელი ძალადობის რისკის შეფასების წესი (SPAPRA**) და მიმდინარეობს მისი იმპლემენტაცია.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა პენიტენციურ სისტემაში **ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტი** და გაიწერა ფსიქიკური ჯანდაცვის სამოქმედო გეგმა. 2023 წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე გადამზადდა 116 თანამშრომელი.

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ითარგმნა **ჯანმოს შშმ პირთა საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი WHODAS.** 2023 წელს გადამზადდა ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების 3 ჯგუფი.

სულ, პენიტენციურ სისტემაში, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 49 სხვადასხვა ტრენინგის შედეგად, გადამზადებულია 700 თანამშრომელი.

აშშ-ს საელჩოს INL-თან თანამშრომლობის ფარგლებში, პენიტენციური, პრობაციისა და მსჯავრდებულთა პროფესიული გადამზადების ცენტრის ჩართულობით **შემუშავდა გათავისუფლებისთვის მომზადებისა და გარდამავალი მენეჯმენტის სტრატეგია 2024-2030** წლებისათვის და ორწლიანი სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა სარეაბილიტაციო პროცესის მონიტორინგი და პროფესიული ზედამხედველობა, რაც გულისხმობს სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს. ამასთან, მიმდინარეობდა განრიდებული პირების, მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების ჩართვა ახალ სარეაბილიტაციო პროგრამებში. 2023 წელს, სარეაბილიტაციო პროგრამებსა და მომსახურებებში ჩართული იყო 932 პირობით მსჯავრდებული და 198 ყოფილი პატიმარი; 295 ბენეფიციარი ჩაერთო საგანმანათლებლო და კულტურულ-შემეცნებით აქტივობებში.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა **უვადო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების მიმართულებით.** საანგარიშო პერიოდში 35-მა ბენეფიციარმა გაიარა მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის 8 ეტაპი. ამჟამად პროცესში ჩართულია 4 უვადო მსჯავრდებული. გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა“-ში ჩართული მსჯავრდებულებისთვის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის დეპარტამენტის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობით მომზადდა საგანმანათლებლო მოდულები და პროცესის შეფასების ტესტები. სულ, **2023 წელს, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული იყო 327 ყოფილი პატიმარი.**

3.3 ბავშვთა უფლებები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელების მონიტორინგის ფარგლებში, მომზადდა საპარლამენტო ანგარიშის თავი (10 **თემატური ქვეთავით**) ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და მართლმსაჯულებაზე მათი მისაწვდომობის თაობაზე მომზადდა, აგრეთვე, 3 **სპეციალური ანგარიში**. **მონიტორინგი განხორციელდა მცირე საოჯახო ტიპის** 30 **სახლში, მუსლიმთა კონფესიას დაქვემდებარებულ ორ პანსიონში**, 3 დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში, **მიუსაფარ ბავშვთა** 4 „**დღის ცენტრსა**“ და 3 **თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა ორ თავშესაფარში. მონიტორინგი განხორციელდა** N2, N5, N8 **პენიტენციურ დაწესებულებებში** და N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში,

2023 წელს, **სახალხო დამცველის აპარატის** ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის მიერ **ჩატარდა 23 საინფორმაციო შეხვედრა** სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის **სკოლის მოსწავლეებთან. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა** ჩაატარეს **269** შეხვედრა ბავშვის უფლებებზე, აქედან **111** შეხვედრა, კონკრეტულად ეხებოდა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებსა და დაცვის მექანიზმებს. ასევე, **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა** ჩაატარა **100** შეხვედრა **2975** სკოლის მოსწავლესთან. თავის მხრივ, **გენდერის დეპარტამენტმა** გამართა ათეულობით შეხვედრა ბავშვთა ასაკში ქორწინების თაობაზე, ხოლო ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტმა ადამიანის უფლებათა სწავლებაზე.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ახალი მომსახურების გახსნის მიზნით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ქ. ქუთაისში, სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი. ამ

ეტაპზე, მიმდინარეობს ზემოხსენებული მომსახურების ცენტრის შენობის პროექტირების სამუშაოები.

მიუსაფარი და რთული ქცევის ბავშვების**თვის** 24-**საათიანი მომსახურების შექმნის მიზნით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ქ. თბილისში შეძენილ იქნა უძრავი ქონება**, **სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები**.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს**,** ორ მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა პერსონალური ასისტენტის ქვეპროგრამის **2** მომსახურების მიმწოდებელი და შინმოვლის **2** მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია**.**

ბავშვთა უფლებების საკითხებზე პროკურატურის მიერ ჩატარდა 13 სასწავლო აქტივობა. აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა 113-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა.

3.4 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

2023 წელს, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების განახლების პარალელურად, CEPEJ-ს ექსპერტების ჩართულობით გაკეთდა CEPEJ-ს ორწლიანი შეფასების ციკლი და წარმოდგენილ იქნა საქართველოს მონაცემები ძირითად ტენდენციათა ჩვენებით, გაანალიზდა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებლები. გაგრძელდა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტები **„სასამართლოს მენეჯმენტის მოდერნიზაციის მხარდაჭერა საქართველოში“** და **''სასამართლო რეფორმის შედეგების უკეთ შეფასების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში”,** რომლის ფარგლებშიც ნოემბრის თვეში ჩატარდა ტრენინგი ტრენერებისათვის: "სემინარი სტატისტიკოსებისთვის სასამართლო მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების შესახებ". ტრენინგზე წარმოდგენილ იქნა ტექნიკური დოკუმენტის პრეზენტაცია, განხილულ იქნა კომენტარები და დაისახა შემდგომი ნაბიჯები. მომავალი წლიდან დაიწყება მუშაობა სამოქალაქო საქმეების პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებისათვის ვებ ფორმების შესაქმნელად.

დამატებით, ევროსაბჭოს პროექტის **„თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“** ფარგლებში გაგრძელდა ტრენინგების ციკლი პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა თანაშემწეებისა და სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლებისათვის (მონაწილეობას იღებდა 80 მოხელე). ტრენინგზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ევროპულ სტანდარტებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში, ასევე სტატისტიკის როლს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის.

სტატისტიკის სექტორი აქტიურად ჩაერთო ევროსაბჭოს პროექტში **„ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“,** რომლის ფარგლებში სასამართლოს მოხელეებისათვის ნოემბერში ჩატარდა ტრენინგი „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შეახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების შესახებ“, რომლის მიზანი იყო მონაწილეთა ინფორმირება საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესახებ, სტამბოლის კონვენციისა და GREVIO-ს საბაზისო შეფასებაზე აქცენტებით, რეკომენდირებული ინდიკატორების დანერგვაში ხელშეწყობა, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების გაუმჯობესება, მსხვერპლისათვის კომპენსაციის გაცემის წესის თაობაზე. შედეგად, დაწყებულია მუშაობა მომავალი წლიდან ქალთა მიმართ და ოჯახში

ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის თემაზე სასამართლოში შემოსული საქმეების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად.

2023 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორი აქტიურად თანამშრომლობდა იუსტიციის საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის IT სამსახურთან საქმისწარმოების პროგრამის განახლების პროცესში, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ყველა მაჩვენებელი, რაც საბოლოოდ განაპირობებს სტატისტიკური მონაცემების ავტომატურ რეჟიმში მიღების შესაძლებლობას.

ამასთანავე, ჩატარდა არაერთი ტრენინგი/სემინარი **სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით.** კერძოდ, ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა საქართველოში: ბავშვთა დაცვა და პრევენცია ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ გარემოში“ ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების თანამშრომლებისთვის 6-8 ივნისს ჩატარდა ტრენინგი სისხლის სამართლის მიმართულებით, თემაზე: ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის შესახებ (სულ 5 მონაწილე). ასევე, ევროკავშირთან დაძმობილების (Twinning) პროექტის მხარდაჭერით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთან თანამშრომლობით, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, 23 ივნისს თანაშემწეებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე - მომხმარებლის უფლებების დაცვა - გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილება“ (სულ 11 მონაწილე). დამატებით, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, გერმანელი ექსპერტის მონაწილეობით, 7 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე - ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები ევროპული სამართლის ჭრილში (სულ 32 მონაწილე). აგრეთვე, გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით, 20 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებისთვის გერმანელი ექსპერტის, ულრიხ ჰაგენლოხის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა თემაზე - საქართველოსა და გერმანიის სასამართლო სისტემების ორგანიზაციული მოწყობის შედარება (სულ 27 მონაწილე), ხოლო ევროპის საბჭოს პროექტის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში 13-14 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი უზენაესი სასამართლოს თანაშემწეებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თაობაზე (სულ 25 მონაწილე).

საანგარიშო პერიოდში, **სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის** შემუშავების მიზნით, დონორი ორგანიზაციების დახმარებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასამართლოს თავმჯდომარეებისგან, მენეჯერებისგან, კოლეგიების სამდივნოების უფროსებისგან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარისა და შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტებისგან. მოწვეულმა ექსპერტებმა მოამზადეს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებით, სასამართლოს მენეჯერებითა და სასამართლო მოხელეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი საერთო სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის პროექტის შემუშავების ბოლო ფაზაშია. პროექტის საბოლოო ვერსია უახლოეს მომავალში შეჯერდება სამუშაო ჯგუფის წევრების, სასამართლო მოხელეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფისა და უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორის ჩართულობით.

სასამართლოს საქმიანობის შესახებ **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების** მიზნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაწყებული აქვს მუშაობა სასამართლოს საქმიანობის პრინციპების, წესებისა და პროცედურების თაობაზე საინფორმაციო ბროშურების მომზადებაზე.

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია ჩაატარა. ლექციის ფარგლებში, ინსპექტორმა სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებების თაობაზე.

სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2023 წლის 24 მარტს შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამივე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთაგან არის დაკომპლექტებული. სამუშაო ჯგუფი სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების საბოლოო ფაზაშია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფი განაგრძობს მუშაობას საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ახალი პლატფორმის დაწერასთან დაკავშირებით.

მართლმსაჯულების რეფორმის კუთხით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები, მათ შორის აღსანიშნავია:

- "სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი", რომელიც ჩატარდა 11-12 თებერვალს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ. ჯამში გადამზადდა 18 მოსამართლე;
- "დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები", რომელიც ჩატარდა 4-5 მარტსა და 13-14 მაისს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ. ჯამში გადამზადდა 10 მოსამართლე და 22 მოხელე.
- "დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა და საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა", რომელიც ჩატარდა 11-12 მარტს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში. სულ გადამზადდა 20 მოხელე. აღნიშნული ტრენინგი 17-19 ივნისს გაიმართა მოსამართლეებისთვის, სადაც გადამზადდა 12 მოსამართლე;
- "მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები", რომელიც ჩატარდა 1-2 აპრილს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ. სულ გადამზადდა 8 მოხელე.
- 6-7 მაისს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ლტოლვილთა სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე. სულ გადამზადდა 16 მოსამართლე. მე-2 ტრენინგი აღნიშნულ თემაზე ჩატარა 20-21 მაისს მოხელეებისთვის; შედეგად, გადამზადდა 15 მოხელე.
- 17-19 ივნისს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარდა ტრენინგი "დისკრიმინაციის აკრძალვა, სექსუალური შევიწროება, ქალთა მიმართ ძალადობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში". სულ გადამზადდა 12 მოსამართლე.
- 7-8 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და IOM-UN Migration-ის თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი "მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები". გადამზადდა 1 მოსამართლე და 12 მოხელე.
- 20-22 ოქტომბერსა და 22-24 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარდა 2 ტრენინგი "სამოსამართლო ეთიკის" შესახებ. სულ გადამზადდა 44 მოსამართლე.

3.5 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი ღონისძიება **საჯარო სამსახურის რეფორმისა** და **კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.**

საჯარო სამსახურის ბიურომ, ევროკავშირის პროექტის - **„საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“** - მხარდაჭერით, **საბოლოო სახით შეიმუშავა საჯარო სამსახურის სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი,** რომელიც მოიცავს საჯარო სამსახურის განვითარების ხედვასა და სამოქმედო გეგმას. ანალიზის პროცესში განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები: გაანალიზდა არსებული დოკუმენტაცია, ჩატარდა შეხვედრები ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიების ფორმატში, დამუშავდა ბიუროს ხელთ არსებული მონაცემები, რა დროსაც ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა გამოიყენეს სხვადასხვა ინდიკატორი. დამატებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების, ასევე, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლების ჩართულობით, რის შედეგადაც შემუშავდა საჯარო სამსახურის განვითარების ხედვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ამასთან, დოკუმენტში მოცემული ანალიზის შედეგების და მასზე დაყრდნობით შემუშავებული საჯარო სამსახურის ბიუროს სამომავლო პრიორიტეტული მიმართულებების გაცნობის მიზნით ჩატარდა HR ფორუმი, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების 50-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, ევროკავშირის პროექტის - **„საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“** - მხარდაჭერით შემუშავებული **ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო** მეთოდოლოგიის შესაბამისად, მომზადდა ტრენინგ მოდული "სამუშაო ძალის სტრატეგიული დაგეგმვა". ტრენინგ მოდულის საკითხებზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ცენტრალური და საჯარო დაწესებულების 70-მდე HR წარმომადგენლის მონაწილეობით.

საანგარიშო პერიოდში, ადამიანური რესურსების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის საფუძველზე შემუშავდა **ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის წესის პროექტი,** რომელიც მეთოდურ დახმარებას გაუწევს საჯარო დაწესებულებებს სტრატეგიის შექმნის პროცესში. წესი საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის ბრძანებით დამტკიცებულია.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - **„დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საჯარო სამსახურში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე"** - ფარგლებში ბიურომ ჩაატარა შეხვედრები საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხებზე, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის 130-მდე წარმომადგენელისათვის, რომლებსაც გაეცნოთ, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის მაკოორდინირებელი უწყების, ორგანიზებით **2023 წლის 11 იანვარს საჯარო მმართველობის რეფორმის მაღალი რანგის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.**

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 16 თებერვალს N66 დადგენილებით დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის **2023-2026 წლების სტრატეგია და მისი განხორციელების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.**

2023 წლის სექტემბერში PAR სამდივნომ დაიწყო **სამოქმედო გეგმის პირველი პროგრეს (მონიტორინგის) ანგარიშის** მომზადება. დამკვიდრებული წარმატებული პრაქტიკის შესაბამისად, მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩაერთნენ ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც სამდივნოს წარმოუდგინეს თავიანთი შეფასებები/კომენტარები სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესთან დაკავშირებით. **მონიტორინგის ანგარიში** PAR საბჭოს 2024 წლის დასაწყისში წარედგინება და საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება.

2023 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ღია მმართველობა საქართველოს მაღალი რანგის **უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს პირველ სხდომას** უმასპინძლა. OGP საქართველოს საბჭომ განიხილა ღია მმართველობა საქართველოს რიგით მე-5, **2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 29 დეკემბრის N 555 დადგენილებით დაამტკიცა.** 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, გეგმის განხორციელება დაწყებულია.

საზოგადოებრივი ცენტრების რებრენდინგის პროექტთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც 89 საზოგადოებრივი ცენტრი იუსტიციის სახლის ბრენდის ქვეშ გაერთიანდა და მომხმარებლისთვის გაორმაგებული ოდენობის - 470-ზე მეტი სერვისი გახადა ხელმისაწვდომი, ჩატარდა ფართო PR და მარკეტინგული კამპანია, მათ შორის, სატელევიზიო სივრცეში განთავსდა 2 ვიდეო-რგოლი.

2023 წლის ბოლოს, პროექტების ცნობადობის შესახებ მომხმარებლის გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხული მომხმარებლის 88% ინფორმირებულია მობილური იუსტიციის სახლის პროექტთან დაკავშირებით.

იუსტიციის სახლში დაინერგა შემდეგი სერვისები:

საპენსიო სააგენტოს სერვისები:

- პენსიისა და საპენსიო აქტივების გაცემა (მხოლოდ ერთიანი გატანის ფორმა);
- საპენსიო სქემიდან გასვლა;
- ავტორიზაციის პარამეტრების განახლება/გაცემა;
- ცნობის გაცემა;
- თავისუფალი შინაარსის განცხადება;
- საინვესტიციო პორტფელების არჩევა;

სემეკის სერვისები :

თავისუფალი შინაარსის განცხადება.

მიმდინარეობს Georgian e-service (ციფრული იუსტიციის სახლის) პორტალის განახლება და მობილური აპლიკაციის შექმნა. განახლებული პორტალის შედეგად, ელექტრონული სერვისები იქნება უფრო მარტივად ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დაიგეგმა პორტალის განახლების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები და გაიწერა განრიგი. გრძელდება მუშაობა UI/UX დიზაინზე. ასევე აქტიურად მიმდინარეობს iframe-ს სახით განთავსებული სერვისების

ჩანაცვლების პროცესი, რადგან ამ სახით განთავსებული სერვისები არ არის თავსებადი შშმ პირებისთვის განკუთვნილ არსებულ ფუნქციონალთან.

მობილური აპლიკაციის მხარეს დასრულდა პირველი ფაზის დეველოპმენტი, მიმდინარეობს ტესტირება და გრძელდება მუშაობა როგორც დიზაინის, ისე ფუნქციონალის დახვეწაზე.

ვებ-პორტალზე დასრულდა **კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ვიზუალიზაციის დანერგვისთვის დეველოპმენტი და ტესტირება.** მიმდინარეობს საჯარო რეესტრის iframe სახით განთავსებული სერვისების პორტალზე სრულყოფილად ინტეგრაციის და არსებული სერვისების განახლების პროცესი. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" ახალი სერვისების ინტეგრაციის მიზნით დასრულდა დეველოპმენტი საინფორმაციო სერვისებზე და მიმდინარეობს ტესტირება რეალურ გარემოში გადატანამდე, გრძელდება მუშაობა ფუნქციური სერვისების ინტეგრაციისთვის. მიმდინარეობს მუშაობა სხვა უწყებების სერვისების ინტეგრაციაზე.

დასრულდა MY.GOV.GE მობილური აპლიკაციის პირველი ეტაპის დეველოპმენტი და მიმდინარეობს ტესტირება რეალურ გარემოში გაშვებამდე. აპლიკაციაში დაინტეგრირდა როგორც არსებულიდან ყველაზე მოთხოვნადი სერვისები, ასევე ახალი საინფორმაციო სერვისები და ციფრული დოკუმენტები.

სახელმწიფო სერვისის გამცემი უწყების 173-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები, ხოლო სტრატეგიით გათვალისწინებული ერთიანი მიდგომები/პრინციპები მინიმუმ 1 მიმართულებით დაინერგა შემდეგ 6 უწყებაში:

1. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო);
2. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო);
3. სსიპ - შემოსავლების სამსახური (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო);
4. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო);
5. ააიპ - სოფლის განვითარების სააგენტო (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).
6. სსიპ - საპენსიო სააგენტო.

საქართველოში არსებული **კვალიფიციური სანდო მომსახურების ევროკავშირის მხრიდან აღიარებისთვის** საჭირო გარემოს შექმნის მიზნით, შემუშავდა დოკუმენტი, სადაც ასახულია რეკომენდაციები სანდო კვალიფიციური მომსახურებების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების შესახებ. რეკომენდაციული სახის დოკუმენტი ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში დაქირავებულმა ელ. ავთენტიფიკაციისა და სანდო მომსახურებების სფეროს ექსპერტმა Tarvi Martens-მა შეიმუშავა.

კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა. აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა **18-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა.**

კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების კუთხით, 2023 წელს, განხორციელდა 8 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, მათ შორის:

- ინტერპოლის ანტი-ტრანსნაციონალური ფინანსური დანაშაულის სამუშაო ჯგუფისა და ოპერაცია First Light 2023-ის წინასაოპერაციო მე-11 და მე-12 შეხვედრები, ონლაინ ფორმატში;
- გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ორგანიზებით **გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გამართული სემინარი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე**;
- აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ტრანსნაციონალური ანტიკორუფციული პარტნიორობის (TAP), აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის საპროკურორო განვითარების, მხარდაჭერისა და მომზადების ოფისისა (OPDAT) და ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელშეწყობით, უნგრეთის ქ. ბუდაპეშტში მდებარე საერთაშორისო სამართალდამცავ აკადემიაში (ILEA) გამართული რეგიონალური, უწყებათაშორისი შავი ზღვის ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა;
- დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ის ფარგლებში კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის მორიგი სხდომა.
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ორგანიზებით, ქ. თბილისში გამართული მეათე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "ქალები პოლიციაში" (Women in Police). ღონისძიება აერთიანებდა სამართალდამცავ უწყებებში მომუშავე ქალებს მსოფლიოს მასშტაბით;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს შორის გაიმართა ორი შეხვედრა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

2023 წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შესაბამისი უწყებების ჩართულობით, პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინიცირებულ იქნა და შესაბამისი კონსულტაციები/მოლაპარაკებები მიმდინარეობს **საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ 7 შეთანხმების პროექტზე და დანაშაულის, მათ შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2 შეთანხმების პროექტზე.**

ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინიცირებულ იქნა და შესაბამისი კონსულტაციები მიმდინარეობს პარტნიორი ქვეყნის შესაბამის უწყებასთან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტზე.

4. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

2.4 4.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვა

2023 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი**. კანონპროექტის მიღებამდე გაიმართა არაერთი შეხვედრა როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორთან. სულ ჩატარდა 20 საინფორმაციო შეხვედრა 1565 დაინტერესებულ პირთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სამსახურის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით საანგარიშო პერიოდში გაიმართა **ცნობიერების ამაღლების კამპანიები:** საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ მედიაში გამოქვეყნდა 204 პოსტი. ჩატარდა კამპანია „კონფიდენციალურობა შენი უფლებაა“, რომელიც 5 ვიდეოსგან შედგებოდა და წვდომის ჯამურმა ოდენობამ 255, 000 შეადგინა. სატელევიზიო, დილისა და შუადღის ეთერებში სამსახურის წარმომადგენლების სტუმრობით გავიდა 18 გადაცემა. თბილისის მეტროსა და ავტობუსებში განთავსდა საინფორმაციო პოსტერები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საინფორმაციო კუთხე.

გამოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დაფუძნებული ორენოვანი, საერთაშორისო, სამეცნიერო პერიოდული პუბლიკაციის — **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის“** ჟურნალის 2023 წლის პირველი გამოცემა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ჟურნალმა წარმატებით გაიარა HeinOnline-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირების პროცესი. შემუშავდა ჟურნალის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.journal.pdps.ge.

აღსანიშნავია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით, სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“.

სამსახურის მიერ მომზადდა შემდეგი **სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელთა უმრავლესობა ასევე მიღებულ იქნა:**

- **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“** საქართველოს ახალი კანონი (მიღებულია);
- **ეთიკის კოდექსის პროექტი** (მიღებულია);
- **დისციპლინური წარმოების წესის პროექტი** (მიღებულია) ;
- **პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესში ცვლილების პროექტი** (მიღებულია);
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების ცვლილების 2 პროექტი** (მიღებულია);
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტაჟირების გავლის წესის პროექტი** (მიღებულია);
- **ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის პროექტი** (შემუშავებულია);
- **მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის პროექტი** (შემუშავებულია);
- **პროექტი იმ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება, განსაზღვრონ/დანიშნონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** (შემუშავებულია);
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ სპეციალური წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის პროექტი** (შემუშავებულია).

ამასთანავე, სამსახურის მიერ მომზადდა არაერთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტები):

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თემატიკაზე **4 სარეკომენდაციო დოკუმენტი.**

- გზამკვლევი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნისა და საქმიანობის შესახებ (შემუშავებულია);
- გზამკვლევი ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე (შემუშავებულია);
- სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისთვის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან თავსებადობის მიზნით შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების გამოცემის/განახლების თაობაზე (შემუშავებულია);
- გზამკვლევი კერძო სექტორისთვის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ცვლილებების და მათი იმპლემენტაციის შესახებ (შემუშავებულია).

ამასთან, მომზადებულია თემატური სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო: **„არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი: თეორია და პრაქტიკა“.**

შემუშავებულია ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის თემატიკაზე სასწავლო სილაბუსი და თემატური სახელმძღვანელო. გარდა ამისა, სამსახურის უფროსის აქტით **დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომლის თაობაზე განხორციელდა არაერთი შეხვედრა. მიღებული დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სამსახურის თანამშრომლებს. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი დანერგილია პრაქტიკაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კონსულტაცია გაეწიათ საჯარო დაწესებულებებსა და კერძო ორგანიზაციებს, სამართალდამცავ ორგანოებსა და ასევე, ფიზიკურ პირებს. საანგარიშო პერიოდში გაიცა **5106 კონსულტაცია.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინების მიზნით, **მომზადდა 170 შიდა ეროვნული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა.** პროცესი უწყვეტად გრძელდება უწყებათა მომართვიანობის შესაბამისად.

სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებზე **გამოქვეყნდა 3 განცხადება და 7 გადაწყვეტილება.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაიწყო მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) 192 ფაქტზე. მათგან 78 შემოწმება (ინსპექტირება) დაიწყო გეგმურად, ხოლო 114 შემოწმება (ინსპექტირება) არაგეგმურად.

გამოვლინდა **სამართალდარღვევის 267 ფაქტი,** მათგან 39 ფაქტი გამოვლენილ იქნა 2022 წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული, ხოლო 228 ფაქტი საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმების (ინსპექტირების) საფუძველზე.

გამოვლენილ სამართალდარღვევათაგან, სამსახურმა ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა და გაფრთხილება გამოიყენა 225 შემთხვევაში. სახდელის სახით დაკისრებული 123 ჯარიმიდან, 19 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 104 — საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).

დაკისრებული 102 გაფრთხილებიდან, 15 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 87 საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).

გარდა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა, დაწესებულებებში/ორგანიზაციებში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, **სამსახური გასცემს რეკომენდაციებსა და შესასრულებლად სავალდებულო დავალებებს.** სამსახურმა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის, სამართალდამცავი ორგანოებისათვის გასცა **469 დავალება და რეკომენდაცია.** გაცემული 456 დავალებიდან, 63 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 393 — საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). გაცემული 13 რეკომენდაციიდან 1 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებას (ინსპექტირებას), ხოლო 12 — 2023 წელს დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ამაღლების 136 ღონისძიებაში. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სასწავლო კურსების** ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება

დისტანციური პლატფორმის ამოქმედება, **რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირების საჭიროებებზე.** დასრულებულია ელექტრონული პლატფორმის რებრენდინგი, იგეგმება სპეციალური მოდულების შემუშავება, რომელიც განთავსდება პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იქნება ფართო აუდიტორიისთვის. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა სრულად ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე.

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საჯარო მოსამსახურეების, კერძო სექტორის წარმომადგენლების, დაინტერესებული პირებისა და სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურის მიერ ჩატარდა **62 ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა**, რომელშიც **3158 მსმენელი** მონაწილეობდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კონსულტაცია გაეწიათ საჯარო დაწესებულებებსა და კერძო ორგანიზაციებს, სამართალდამცავ ორგანოებსა და ასევე, ფიზიკურ პირებს. საანგარიშო პერიოდში გაიცა **5106 კონსულტაცია.**

4.2 მიგრაცია და თავშესაფარი

მიგრაციის კომისიის წევრი უწყებების მიერ შევსებული ვრცელი კითხვარი თებერვალში წარედგინა ევროკომისიის საშინაო საქმეთა გენერალურ დირექტორატს (DG Home), რომლის საფუძველზეც **მომზადდა 2022 წლის მიგრაციისა და თავშესაფრის ე.წ. კონსოლიდირებული ანგარიში,** სადაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს და სხვა დამკვირვებელი ქვეყნების შესახებ. აღნიშნული ანგარიშის ტექსტუალური ნაწილის პარალელურად, კომისიის წევრი უწყებების მიერ მონაცემთა შეგროვებისთვის განკუთვნილი სპეციალური ფაილის მეშვეობით, ქსელს ასევე მიეწოდა მიგრაციისა და თავშესაფრის კუთხით, ბოლო ხუთი წლის (2018-2022 წწ.) სტატისტიკური ინფორმაცია.

შევსებული კითხვარის და წარდგენილი სტატისტიკის საფუძველზე, **მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) მიერ კონსოლიდირებულ ანგარიშთან ერთად მომზადდა ქვეყნის 2022 წლის მიმოხილვის დოკუმენტი,** რომელიც ეროვნული ანგარიშის რეზიუმირებულ ვერსიას წარმოადგენს და თან ახლავს სტატისტიკური დანართიც.

ამასთან ერთად, მიგრაციის კომისიის სამდივნო წევრ უწყებებთან ერთად მუშაობდა EMN-ის ეროვნული ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც შინაარსობრივად მიგრაციის პროფილის ანალოგია და შემუშავებულია მიგრანტთა დანიშნულების ქვეყნის (იმიგრაციის) პერსპექტივიდან. მოცემულ დოკუმენტში მხოლოდ საქართველოს შესახებ ინფორმაციაა წარმოდგენილი და უფრო დეტალურად აღწერს 2022 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიგრაციის სფეროში განხორციელებულ განვითარებებს. ათი თემატური მიმართულების მიხედვით შედგენილი დოკუმენტი აგრეთვე შეიცავს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს მიგრაციული ტენდენციების უკეთ გასაანალიზებლად.

მიგრაციის და თავშესაფრის 2022 წლის ეროვნულ ანგარიშზე მუშაობა ამ ეტაპისთვის დასრულებულია და იგი 2023 წლის 5 მაისს წარედგინა EMN-ს (ატვირთულია EMN-ის შიდა სამუშაო პორტალზე).

საქართველოს 2021-2030 წლების **მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი** მომზადდა მსსკ-ის სამდივნოს კოორდინაციით და კომისიის წევრ უწყებებთან ინტენსიური კომუნიკაციით, რომელიც ასევე შეთანხმდა დონორ/ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და 2023 წლის 26 დეკემბერს დამტკიცდა მსსკ-ის 32-ე სხდომაზე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულებების ფარგლებში, **შსს მიგრაციის დეპარტამენტმა** განიხილა რეადმისიის განაცხადი **4365 პირზე,** აქედან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა **4343 პირზე,** ხოლო უარყოფითი **22 პირზე.**

2023 წლის 26 იანვარს ხელი მოეწერა **„საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ"** შეთანხმებას. შეთანხმება ძალაშია 2023 წლის 1 მაისიდან.

2023 წლის 16 თებერვალს ხელი მოეწერა **„საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის "საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმების განხორციელების თაობაზე"** ოქმს.

2023 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა **„საქართველოსა და ისლანდიას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ"** შეთანხმება.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით გაუქმდა 4 536 არაბიომეტრიული პასპორტი. ჯამში მოქმედი დარჩა 2 080 არაბიომეტრიული პასპორტი. აღნიშნულ პერიოდში სულ გაიცა 315 480 ბიომეტრიული პასპორტი.

სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, **პროგრამაში ჩაერთო და დაფინანსება მიიღო 365 ბენეფიციარმა.**

2023 წელს, **საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრის** უცხოელთა ინტეგრაციის პროგრამით ისარგებლა 2550 პირმა.

4.3 საზღვრის მართვა

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა და დაინერგა საზღვრის ეფექტიანი მართვის კუთხით არსებული გამოწვევების შესაბამისად შექმნილი მოდულები; სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები გადამზადებულნი არიან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პარტნიორი ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან სასაზღვრო სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, **2023 წლის მარტში, მოლდოვის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ხელი მოეწერა 2023-2024 წლების თანამშრომლობის გეგმას.**

2023 წლის 24 აპრილს საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის და **ლიეტუვას რესპუბლიკის** სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს **2023-2024 წლების თანამშრომლის გეგმას** ქ. ვილნიუსში.

2023 წლის 14 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს** შორის ხელი მოეწერა ტექნიკურ შეთანხმებას **„შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეების NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში „ზღვის მცველი" მონაწილეობისას საბერძნეთის საზღვაო ძალების ხომალდებზე განთავსებასთან დაკავშირებით"**.

საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, **„ევროკავშირის უსაფრთხოების, ანაგრიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის" (SAFE)** პროგრამის ფარგლებში და **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM)** მხარდაჭერით:

- ორი სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე მოეწყო ელექტრონული დაკვირვების სისტემა (სუს სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ);
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციას გადაეცა 10 ერთეული ავტომობილი (SUZUKI JIMNY);
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციას გადაეცა 10 ერთეული სატვირთო ავტომობილი (IVECO);
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციას გადაეცა 6 სასაზღვრო სექტორის შსს-ს ქსელით უზრუნველყოფისთვის საჭირო აღჭურვილობა.

აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აილენდ კლასის ორი საპატრულო კატარღისა და სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფების პერსონალს სხვადასხვა სახის ქბრბ უსაფრთხოების აღჭურვილობა გადაეცა.

აშშ-ის ევროპული სარდლობის (EUCOM) დახმარებით, **"შავ ზღვაზე ვითარების გაცნობიერებულობის გაზრდის" (MDA)** პროექტის II ფაზის ფარგლებში განახლდა რადიო სადგურები სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 8 მცურავ საშუალებაზე. ხოლო პროექტის III ფაზის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტში მოეწყო წყალქვეშა დაკვირვების სისტემის ინსტალაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

აშშ-ის ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) დახმარებით, სახმელეთო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას გადაეცა

- 2 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი;
- 5 ერთეული თერმული ხედვის ხელსაწყო;
- 21 ერთეული ხელის რადიო-სადგური.

ევროპული საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შსს-ს 5 დეპარტამენტი აქტიურად ჩართულია სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (სასაზღვრო პოლიცია, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, მიგრაციის დეპარტამენტი და შსს აკადემია). საანგარიშო პერიოდში, Frontex-ის ორგანიზებით გამართულ **14 ღონისძიებაში** მონაწილეობა მიიღო **შსს-ს 79-მა თანამშრომელმა.**

ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია **2023 წლის 21 ნოემბერს** გამართული მაღალი დონის **შეხვედრა ევროკავშირის გაწევრიანების პროცესში მყოფ პარტნიორი ქვეყნების საზღვრის მართვის სამსახურების ხელმძღვანელებსა და ევროკავშირის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) მმართველ საბჭოს შორის.** ასეთი ფორმატის შეხვედრაში საქართველომ, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფმა ქვეყანამ, ევროკავშირის პარტნიორ სხვა ქვეყნებთან ერთად პირველად მიიღო მონაწილეობა.

დამატებით, საქართველოდან არალეგალი მიგრანტების ნაკადების შემცირების მიზნით, Frontex-თან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე **შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივლენილი იყვნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში:**

ლატვიაში 11-ჯერ, პოლონეთში - 7-ჯერ, იტალიაში 2-ჯერ, საფრანგეთსა და ჩეხეთში ერთხელ. იმავე პერიოდში, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გასაზიარებლად ქართველი ოფიცრები წარიგზავნენ რუმინეთში, კონსტანტას პორტში, ასევე, ლატვიის, მოლდოვის (პალანკა - 2-ჯერ; გურგულესტი - 2-ჯერ), პოლონეთისა (ტერესპოლი) და ესტონეთის (ნარვა) სახმელეთო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე.

ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში, შსს მიგრაციის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო **26 ერთობლივ დაბრუნების ოპერაციაში,** რომლის შედეგადაც დაბრუნდა **1338 პირი.**

4.4 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ძალისხმევას **ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.** ამ მიზნით, **შემუშავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა,** რომელიც საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №148 დადგენილებით, დამტკიცდა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ასახულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფებისა და ევროკომისიის რეკომენდაციის განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. საანგარიშო პერიოდში, ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში, გაიმართა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook“ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას **ოთხი მიმართულება** აქვს: **კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული.**

საანგარიშო პერიოდში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით **ჩატარდა 4 ბრიფინგი.** აღნიშნული ბრიფინგი გაშუქდა: სატელევიზიო ეთერებში, სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო სააგენტოებში.

შსს-ს თანამშრომლების მიერ სკოლებში ჩატარდა შეხვედრები თემაზე ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება. სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებმა შეხვედრებზე მოსწავლეებს გაუზიარეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე გადაღებული ვიდეორგოლები: ტრეფიკინგის, კიბერდანაშაულის, „ქურდული“ მენტალიტეტისა და ნარკოდანაშაულის შესახებ.

2023 წლის 21-22 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრო მონაწილეობდა **"საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი - 2023",** რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ორგანიზებით გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში, სერიალი - „პოლიციის ფაილები“-ს მე-6 სეზონის 2 სერია ეძღვნებოდა ორგანიზებულ დანაშაულს, რომელიც გავიდა ტელევიზიით და სოციალურ ქსელში.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის მხარდაჭერით საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს კიდევ 20-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება **კონტეინერების კონტროლის პროგრამა,** პროგრამის მიზანია მოძრავ ტვირთებზე რისკ-ფაქტორების შეფასება, დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში, მათი გახსნა და გადამოწმება, სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილი დანაყოფის მიერ მოხდა სარისკო გადაზიდვის გამოვლენა და 80კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის ფოთის პორტში ამოღება, რომელიც განკუთვნილი იყო ევროპის ქვეყნებისთვის.

2023 წლის ბოლოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა სამინისტროში გამართულ წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებულ საპოლიციო ღონისძიებებზე და შედეგებზე დეტალურად ისაუბრა. ასევე, აღინიშნა მასშტაბური და კომპლექსურად ჩატარებული ოპერაციების, ნარკორეალიზატორებთან წარმატებული ბრძოლის შედეგების საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით არაერთი ნარკორეალიზატორის დაკავების ფაქტები.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის და აღკვეთის, ასევე მისი პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი და სისხლის სამართლის **პასუხისგებაში მიცემული იქნა 46 ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი 160 პირის მონაწილეობით.**

ამასთანავე, აქტიური ღონისძიებები ტარდება **ქურდული სამყაროს წინააღმდეგ** როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ უცხოელ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 4 „კანონიერი ქურდი“, ასევე "ქურდულ შეკრებაში" მონაწილეობისთვის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 71 პირის მიმართ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა აქტიურ მუშაობას **ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის** მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში, სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა და შს მინისტრის **2023 წლის 5 აპრილის №1/153 ბრძანებით** დამტკიცდა **ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.**

მართლწესრიგის ოფიცრებმა 2023 წლის განმავლობაში, თბილისის მასშტაბით 25 სკოლაში განახორციელეს ვიზიტი, სადაც 1 400-მდე მოზარდს შეხვდნენ და არაერთ პრიორიტეტულ საკითხზე ესაუბრნენ, მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძირითად სასაუბრო თემას წარმოადგენდა **ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება.**

შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში **ანალიტიკოსთა გადამზადების სპეციალური კურსი.** აღნიშნული კურსის ფარგლებში გადამზადდა შს სამინისტროს 94 თანამშრომელი.

ამასთან, **საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის და გაერთიანებული სამეფო-საქართველოს კიბერთანამშრომლობის პროგრამის (UKGCP)** ორგანიზებით, 2023 წლის 13-15

დეკემბერს, გამართულ კიბერუსაფრთხოების ანალიტიკოსთა ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სამმა თანამშრომელმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (TOPCOP)** ფარგლებში 2023 წლის 5-7 სექტემბერს და 11-13 დეკემბერს ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში, სტრატეგიული ანალიზის საკონტაქტო პირების (ANASPOC) სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მის საგამოძიებო კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეების ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიების მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის ფორმირების ფარგლებში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა ორი ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი 1) **წამებისა და სასტიკი მოპყრობისა და მომიჯნავე დანაშაულების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტი** (თებერვალი-აპრილი, 2023); 2) **გამოძიების ხარისხის მონიტორინგის სახელმძღვანელო დოკუმენტი** (იანვარი-თებერვალი, 2023).

2023 წლის 8 მაისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიქმნა **მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველო**, რომლის შემადგენლობაში შედიან მსხვერპლის, მოწმისა და დაზარალებულის მრჩევლები. სამსახურის აღნიშნული თანამშრომლების უპირველეს მიზანს წარმოადგენს მსხვერპლის, მოწმისა და დაზარალებულების კონსულტირება მათი უფლებების შესახებ, მათ დასაცავად შექმნილი მექანიზმების, საგამოძიებო და სხვა პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რათა მაქსიმალურად გაუადვილდეს მსხვერპლს, მოწმეს ან დაზარალებულს თავის დაცვა, ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევა, სახელმწიფო ინსტიტუტისადმი ნდობისა და სამართლიანობის შეგრძნების ჩამოყალიბება.

2023 წლის 8 მაისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით, საგამოძიებო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, შეიქმნა **აღმოსავლეთ საქართველოს III სამმართველო.** აღნიშნული დანაყოფი მთლიანად ორიენტირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე, რაც საგამოძიებო დეპარტამენტს აძლევს საშუალებას ჰყავდეს თვისობრივად განსხვავებული კატეგორიის, ხასიათისა და შინაარსის მქონე დანაშაულებზე სპეციალიზებული გამომძიებლები. ამ ტიპის გამომძიებლები მხოლოდ ერთი კატეგორიის დანაშაულებს იძიებენ, რაც კიდევ უფრო მეტად ეფექტიან ხდის გამოძიების პროცესს და პოტენციურად ზრდის საქმეთა გახსნის მაჩვენებელს.

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიზნით **შეიქმნა ორი ახალი რეგიონული ოფისი სამეგრელო-ზემო სვანეთში და კახეთში.** რეგიონული ოფისები დაკომპლექტდა ღია კონკურსის წესით შერჩეული პროფესიონალებით. რეგიონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება. საანგარიშო პერიოდში გორის და რუსთავის მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობით სამსახურს გადმოეცა მიწები ოფისების ასაშენებლად. მიმდინარეობს სამშენებლო პროექტებზე მუშაობა.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის 2023 წლის იანვრიდან - ივნისის ჩათვლით ჩატარდა 31 სასწავლო აქტივობა, 316 მონაწილისთვის.

სამსახურის შექმნის დღიდან საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია - განხორციელებული რეფორმები, სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები და სამომავლო განვითარების გეგმა, პროაქტიულ რეჟიმში ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ Facebook-ის გვერდზე. მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე ვრცელდება ოფიციალური განცხადებები და მიმდინარე საქმეებზე ხდება საზოგადოების ინფორმირება. 2023 წლის განმავლობაში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გაავრცელა **47 ოფიციალური განცხადება,** ჩაატარა **2 ბრიფინგი,** გაიმართა **50-მდე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.**

სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ორგანიზებით და ევროკავშირის Twinning-ის პროექტის მხარდაჭერით კიბერ-უსაფრთხოების სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის პლატფორმის დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კიბერ-უსაფრთხოების სფეროში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მანდატის მქონე ორგანიზაციები და კრიტიკული ინფორმაციული სუბიექტები. პლატფორმის მეშვეობით საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლები ახალი სანდო პროდუქტებისა და გადაწყვეტების დანერგვის, ინოვაციური მიდგომების, ახალი სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ.

პლატფორმას ორი თანათავმჯდომარე (საჯარო და კერძო სექტორებიდან) ჰყავს. შეიქმნება რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, სადაც მონაწილეები განიხილავენ და შეჯერდებიან პრობლემური საკითხებიდან საერთო და საუკეთესო გამოსავალზე.

საჯარო კერძო პარტნიორობის პლატფორმის წევრები კიბერუსაფრთხოების სფეროში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მანდატის მქონე ორგანიზაციები და კრიტიკული ინფორმაციული სუბიექტები არიან. მათ შორის, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტო.

საჯარო კერძო პარტნიორობის პლატფორმის წევრები კიბერ-უსაფრთხოების სფეროში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მანდატის მქონე ორგანიზაციები და კრიტიკული ინფორმაციული სუბიექტები არიან. მათ შორის, სსიპ **ციფრული მმართველობის სააგენტო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერ-უსაფრთხოების ბიურო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტო.**

4.5 ბრძოლა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ

2023 წლის 24 თებერვალს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე დამტკიცდა **2023-2030 წლების ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.**

ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების შესახებ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის თემატური უწყებასთან, **EMCDDA-თან,** ინფორმაციის გაცვლა ხორციელდებოდა როგორც EMCDDA-სა და საქართველოს შორის ორმხრივი პროექტის "EMCDDA4GE" პროექტის ფარგლებში, ისე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის რეგიონალური პროექტის "EU4MD"-ის ფარგლებში, სადაც ერთიანდებიან აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ქვეყნებიც (უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი). მიმდინარე წლის განმავლობაში საბჭოს წევრმა უწყებებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალური დონის 10-მდე

შეხვედრაში. უშუალოდ დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფარგლებში აღარ ჩატარებულა საანგარიშო პერიოდში.

ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის თემაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება - მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციის საკითხებზე გადამზადნენ მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღები პირები და სკოლის დირექტორები (სულ 40-მდე პირი). **ტრენინგები ჩატარდა EMCDDA-ის სტანდარტების შესაბამისი სასწავლო კურსის "პრევენციის ევროპული კურიკულუმის" (EUPC) საფუძველზე.**

"EMCDDA-ისა და საქართველოს შორის **ორმხრივი პროექტი ""EMCDDA4GE"" წარმატებით განხორციელდა,** რომლის დახურვის ღონისძიება გაიმართა 14 ივნისს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების დიდი უმრავლესობა შესრულდა წარმატებით, დაიხვეწა ნარკოვითარების შესახებ ინფორმაცის შეგროვების, მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგების მექანიზმები. პრევენციის მიმართულებით ითარგმნა და ადაპტირდა პრევენციის ევროპული კურიკულუმი (EUPC), რომელიც აქტიურად გამოიყენება გადაწყვეტილების მიმღები პირების გადამზადებისთვის. ამასთან, ჩატარდა ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS) და ადაპტირდა მინი სახელმძღვანელოები მკურნალობის მიმართულებით ეფექტიანი მიდგომების ხელშეწყობისთვის.

ევროპის საბჭოს პომპიდუ ჯგუფმა პროექტის ''ნარკოტიკების პრევენციის მხარდამჭერი ქსელის განვითარება მშობლებისთვის და პროფესიონალებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA) თანამშრომლობით და პარტნიორობით დაასრულა რეგიონული კასკადური ტრენინგები საქართველოს სკოლების დირექტორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტების) წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. 2023 წლის განმავლობაში ტრენინგები ჩატარდა 10 მუნიციპალიტეტში: თბილისში, რუსთავში, გორში, თელავში, ახალციხეში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ზესტაფონში. ტრენინგი გაიარა 146 პირმა.

ეროვნული ადრეული გაფრთხილების სისტემის (NEWS) დანერგვის მიზნით, პირველ ეტაპზე იდენტიფიცირდა არსებული გამოწვევები და თემატური უწყებები და ორგანიზაციები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობს ქვეყანაში EWS მოდელის შემუშავებაზე. ასევე მომზადდა კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია EWS დანერგვის ეტაპები. 19 სექტემბერს ჩატარდა უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა, რა დროსაც განხილულ იქნა კონცეპტუალური ჩარჩო და დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯები NEWS დანერგვასთან დაკავშირებით.

მომზადდა ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შეხვედრების ოქმი, სადაც ასახულია დეტალური ინფორმაცია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ. 2021-2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 მონიტორინგის შეხვედრა.

დაინერგა უწყებრივი ანგარიშვალდებულებითი ახალი სისტემა, რომელიც ამუშავდა 2021 წლიდან და გულისხმობს ექვს თვეში ერთხელ, რელევანტური უწყებების შეკრებას პირისპირ (პანდემიის პერიოდში ხორციელდებოდა დისტანციურად) და განვლილი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ ზეპირსიტყვიერ მოხსენებას პრეზენტაციასთან ერთად. ასეთი მიდგომა აღმოჩნდა მეტად ეფექტიანი, ვიდრე აქამდე მოქმედი წერილობითი ანგარიშგების

სისტემა. პირისპირ შეხვედრებზე საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, განიხილონ ის საკითხები, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მათ უწყებაში არის აქტუალური, აღმოცენებული გამოწვევების შესახებ მოისმინონ სხვა წევრი უწყებების რეკომენდაციები და ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი გადაიჭრას რამდენიმე უწყების თანამშრომლობით. აღნიშნული შეხვედრები ტარდება ექვს თვეში ერთხელ და 2021-2022 წწ. **ნარკოპოლიტიკის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე მონიტორინგის მიზნით ჩატარდა 4 შეხვედრა:** 2021 წლის 16 ივლისს; 2022 წლის 20 იანვარს; 2022 წლის 11 ოქტომბერს; 2023 წლის 7 თებერვალს.

საქართველო განაგრძობს აქტიურ ძალისხმევას **ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ.** საანგარიშო პერიოდში გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, **დაკავებული იქნა 282 ნარკორეალიზატორი.** ნარკოტიკებით ონლაინ ვაჭრობისთვის დაკავებული და პასუხისგებაში მიცემული **იქნა 89 პირი, დაიხურა 12 ინტერნეტ-ნარკოსარეალიზაციო მაღაზია. ნარკოტიკების კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული იქნა 82 პირი.**

4.6 ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა/ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსება

რეკომენდაციების შესრულებისა და შემდგომი აპროქსიმაციის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილება მომზადდა და საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 16 მაისს დაამტკიცა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რითაც გათვალისწინებულ იქნა MONEYVAL-ის რეკომენდაციები.

ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) 2012 წლის მე-6 სპეციალური რეკომენდაციით (ტერორიზმთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული ფინანსური სანქციების შესახებ) გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2023 წლის 29 ნოემბერს, მიღებულ იქნება საკანონმდებლო ცვლილებები ""ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ"" და ""სააღსრულებლო წარმოების შესახებ"" საქართველოს კანონში;
- 2023 წლის 5 ივნისს დამტკიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულება;
- შემუშავდა და 2023 წლის 26 აპრილს მიღებულ იქნა სანქციადაკისრებულ პირთა სიების ფორმირების წესი და პროცედურა;
- სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანილ იქნა 2 პირი;
- 2023 წლის 26 აპრილს ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის სხდომა.
- 2023 წლის 26 აპრილს კომისიის სხდომაზე დაამტკიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციების იმპლემენტაციის სახელმძღვანელო;
- 2023 წლის ნოემბერში შემუშავდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელოს პროექტი ნოტარიუსებისთვის.
- ევროკავშირის პროექტის დახმარებით, დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა ლატვიის ნოტარიუსთა პალატასთან, ზედამხედველობის ნაწილში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2023 წლის თებერვლიდან **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის** სამსახურში შექმნილია **ფულის გათეთრების**

წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების, საბუღალტრო ფირმების, სერტიფიცირებული ბუღალტრების, აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ზედამხედველობას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისთვის. დეპარტამენტის 2-მა თანამშრომელმა გაიარა **ACAMS**-ის **CAMS** სერტიფიცირება.

2022 წლის დეკემბრის **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს კანონსა და **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“** საქართველოს კანონის საკანონმდებლო ცვლილებებით ანგარიშვალდებულ პირთა სიას შეემატნენ პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრები და საბუღალტრო ფირმები, რაც ხელს უწყობს ევროკავშირის მეოთხე (2015/849) დირექტივის 2(1) მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობას. აღნიშნულ პირებთან მიმართებით 2023 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის N-3 ბრძანება **„პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესის, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“,** რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პირების იდენტიფიცირებას. აღნიშნული ემსახურება ევროკავშირის მეოთხე (2015/849) დირექტივის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას რათა სამსახურს გააჩნდეს შესაბამისი შესაძლებლობები რომ უზრუნველყოს ზედამხედველობა, რაც თავის მხრივ სრულად აღნიშნული დირექტივის მე-6 თავის მე-2 სექციით (ზედამხედველობა) სამსახურის მიმართ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების წინაპირობაა.

2023 წლის 25 აგვისტოს ძალაში შევიდა **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის** უფროსის №ნ-8 ბრძანება, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“. ასევე, ძალაში შევიდა სამსახურის მიერ შემუშავებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს №ნ-13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანება №ნ-9.

2023 წლის 7 ნოემბერს ძალაში შევიდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-14 **„ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“,** რომელიც მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულ პირთათვის, კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლისა და მფლობელობის სტრუქტურის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების შექმნას, რაც თავის მხრივ, ანგარიშვალდებულ პირებს, ხელს შეუწყობთ სამუშაო პროცესები წარმართონ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფს (**FATF**) რეკომენდაციების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების შესაბამისი თანამშრომლებისათვის **„საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“** (PAR) - ფარგლებში, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე ტრენერთა ტრენინგი.

ანგარიშვალდებულ პირებთან გაიმართა 2 შეხვედრა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და „პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრების ელექტრონული ფორმით წარმოების წესების“ შესახებ.

2023 წლის 6 სექტემბერს სამსახურმა **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ სახელმძღვანელო გამოაქვეყნა.** სახელმძღვანელო ანგარიშვალდებულ პირებს ღირებულ დახმარებას გაუწევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი მექანიზმის დანერგვაში. იგი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, ის ევროკავშირის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (PAR) -ის ფარგლებში შეიქმნა.

2023 წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შესაბამისი უწყებების ჩართულობით, საქართველოს მხრიდან ხელი მოეწერა **ევროპოლთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას** და იგი გაიგზავნა მეორე მხარესთან ხელმოსაწერად. ამასთან, პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინიცირებულ იქნა და შესაბამისი კონსულტაციები / მოლაპარაკებები მიმდინარეობს საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის **შესახებ 7 შეთანხმების პროექტზე** და დანაშაულის, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ **2 შეთანხმების პროექტზე.**

4.7 სამართლებრივი თანამშრომლობა

სსიპ - საქართველოს შსს აკადემია, როგორც **სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL)** საკონტაქტო უწყება საქართველოში, კოორდინაციას უწევს CEPOL-ის გაცვლით პროგრამებს, რეზიდენტულ/ონლაინ კურსებს და ვებინარებს. 2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)“** გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 14-მა, ინგლისური ენის ონლაინ კურსებზე მონაწილეობა მიიღო 5-მა და ონლაინ OSINT კურსზე - 2-მა ქართველმა სამართალდამცავმა.

ამავე პროექტის ფარგლებში **2023 წელს განხორციელდა 29 აქტივობა** (ტრენინგი, ვებინარი, სამუშაო შეხვედრა და სასწავლო ვიზიტი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 159-მა წარმომადგენელმა.

2023 წლის 11-15 დეკემბერს CEPOL-ის და TOPCOP პროექტის ორგანიზებით საქართველოში პირველად ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ნარკოდანაშაულთან ბრძოლის თემაზე, რომელსაც შსს აკადემიამ უმასპინძლა.

2023 წლის განმავლობაში, **ცკპდ-ს სამართალდაცვით სფეროში** საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის მიერ სხვადასხვა არხის გამოყენებით (ევროპოლი, ინტერპოლი, ატაშეები, ორმხრივი თანამშრომლობა), საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ჯამში გაცვლილ იქნა 9500-ზე მოთხოვნა მათ შორის, მხოლოდ სიენა-ს არხით მიღებულ იქნა 1300-ზე მეტი მოთხოვნა და გაცვლილ იქნა ოპერატიული ინფორმაცია 19500-ზე მეტი პირის შესახებ.

საქართველო ევროპოლთან თანამშრომლობის ფარგლებში იტალიასთან, საბერძნეთსა და უკრაინასთან ერთად მონაწილეობს **არალეგალური მიგრაციის წინაამდეგ ბრძოლის ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში.**

2023 წლის პერიოდში, ევროპოლთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით განხორციელდა არაერთი მნიშნელოვანი აქტივობა, მათ შორის:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განახორციელა აუცილებელი პროცედურები **კონტრტერორისტული მიმართულებით ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის (CT SIENA)** ასამოქმედებლად, მათ შორის, მხარეებს შორის გაიმართა შეხვედრა (ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით), რა დროსაც შეთანხმდა არხის ასამოქმედებლად საჭირო ტექნიკური დეტალები. ასევე, სამსახურმა განსაზღვრა ქსელზე პასუხისმგებელი შესაბამისი პირები;
- **„საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ“** შეთანხმებას ხელი მოეწერა საქართველოს მხრიდან და ხელმოწერილი ტექსტები დიპლომატიური არხებით მიეწოდა ევროპოლის მხარეს, მათი მხრიდან ხელმოწერის მიზნით;

სუს-ის ინიციატივითა და უწყების მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად, საქართველო გახდა ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს **(ევროპოლი)** კონტრტერორისტული ანალიზის შემდეგი **ოთხი პროექტის წევრი:**

- პროექტი „მოგზაურები“ (Travellers));
- პროექტი - „ტერორიზმის დაფინანსების მიდევნების პროგრამა“ (TFTP);
- პროექტში - „ქსელის შემოწმება“ (CTW – Check the Web);
- პროექტი - „ჰიდრა“ (AP Hydra).

ამასთან, ანალიზის პროექტებში გაერთიანების პარალელურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით, საქართველო ავტომატურად გახდა **ევროპოლის ერთობლივი კონტრტერორისტული მეკავშირე ჯგუფის (CT JLT) წევრი.**

საანგარიშო პერიოდში, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ორგანიზებით და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის ფარგლებში, **საქართველოში მრავალეროვნული სწავლება EU MODEX 2023 ჩატარდა.** სწავლების მიზანს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა წარმოადგენდა. ასევე, ქვეყანაში კრიზისების დროს ტექნიკური (ექსპერტული) მხარდაჭერის უზრუნველყოფა და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის რეგულაციების დატესტვა. სწავლებაში მონაწილეობა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციის, ასევე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ მიიღო.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი შიდა-სახელმწიფოებრივი პროცედურები, პროკურორის ოფისის მიერ მოწოდებული თხოვნების შესრულებისა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით. უწყვეტად მიმდინარეობს რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან ეფექტიანი კოორდინაცია, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და პროკურორის ოფისისთვის მიწოდება. რეგულარულად იმართება შეხვედრები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე თანამშრომლობის შედეგად, 2022 წლის 10 მარტს, აგვისტოს ომის დროს ქართველი სამოქალაქო ტყვეების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეპიზოდზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა წინა-სასამართლო პალატას მიმართა განცხადებით 3 ბრალდებულის (ცხინვალის „ხელისუფლების“ წარმომადგენლების) მიმართ დაკავების ბრძანებების გამოცემის შესახებ. მას შემდეგ, რაც 2022 წლის 30 ივნისს, სასამართლომ ქართველი სამოქალაქო ტყვეების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეპიზოდზე ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო „ხელისუფლების“ წარმომადგენლების მიმართ დაპატიმრების ორდერები გასცა, საქართველო განაგრძობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათ შორის, ორდერების აღსრულების მიზნით, რათა დამნაშავე პირები წარსდგნენ საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა განაგრძობს თანამშრომლობას **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „დაზარალებულთა ნდობის ფონდთან“** (Trust Funds for Victims - TFV). ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 1 აპრილიდან TFV ახორციელებს დახმარების პროგრამას აგვისტოს ომის ფარგლებში დაზარალებული პირებისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 3 წელი და სრული ბიუჯეტი შეადგენს 600,000 ევროს. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისები მოიცავს როგორც სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციას, ისე საარსებო და მატერიალურ მხარდაჭერას.

„სასამართლო არჩევის თაობაზე შეთანხმებების შესახებ“ 2005 წლის კონვენცია წარდგენილია საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის და მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვები.

2023 წლის 25 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მოაწერა ხელი **„ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“** 2007 წლის ჰააგის კონვენციასა და ჰააგის 2007 წლის კონვენციის **„რჩენის ვალდებულებებზე გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“** 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმს. კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 2023 წლის 15 დეკემბერს. კონვენციების იმპლემენტაციის მიზნით სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და რელევანტური უწყებების თანამშრომლების გადამზადება დაიწყება 2024 წელს.

მიმდინარეობს რელევანტური სახელმწიფოების **"ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ"**, ჰააგის 1980 წლის კონვენციაზე მიერთების აღიარების მოსამზადებელი სამუშაოები.

5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წლის განმავლობაში სააგენტოს -აწარმოე საქართველოში - დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა იტალიაში, გერმანიაში, პორტუგალიასა და საფრანგეთში გამართულ 10 საერთაშორისო გამოფენასა და ორი მოდის კვირეულის თანმდევ შოურუმში. ჯამურად მოცემულ ღონისძიებებზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა 114 თანადაფინანსების ფაქტი.

სააგენტოს მიერ **მცირე და საშუალო მეწარმეობის სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში, 2023 წელს უნივერსალური პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 560 კომპანიის - 655 სესხის/ლიზინგის თანადაფინანსება, რომელთა ჯამური დამტკიცებული

მოცულობა - 519.6 მილიონი ლარია. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია 898.1 მილიონი ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება და 5 700 -ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა ექსპორტის მენეჯერთა 3 სასერთიფიკატო კურსი, თბილისში, ზუგდიდსა და თელავში, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 60 ექსპორტის მენეჯერი.

2023 წელს პლატფორმაზე - Trade with Georgia დარეგისტრირდა **100-მდე კომპანია.**

2023 წლის პირველი იანვრიდან, სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მიენიჭა **სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) აფილირებული წევრის სტატუსი.** დაწყებულია სამუშაოები სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში შემდგომი ინტეგრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნებისა და არსებული მდგომარეობის შესაფასებლად.

2023 წლის მდგომარეობით, სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 4 261 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 45;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 4 216.

მიმდინარეობს მონაცემთა ბაზის განახლებისა და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის სამუშაოები.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) ჩანაწერების რაოდენობა შენარჩუნებულია და შეადგენს 65 ჩანაწერს. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე, გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლისათვის სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში მომზადდა ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროგრამები, გაანალიზდა და შეირჩა სხვადასხვა ქვეყნის (ჩეხეთი (CMI), თურქეთი (UME), პოლონეთი (GUM), იტალია (InRIM), ესპანეთი (CEM)) მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები. ტვინინგ პროექტის ფარგლებში, დასრულდა ეტალონური ტვირთდგუშიანი მანომეტრის დაკალიბრების სამუშაოები ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CEM), დაკალიბრდა ეტალონები და გამზომი საშუალებები ჩეხეთის (CMI), თურქეთის (UME), პოლონეთის (GUM) მეტოლოგიის ინსტიტუტებში. მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, ტვინინგ პროექტის ფარგლებში, იტალიის მეტროლოგიის ინტიტუტში InRIM გაგზავნილია ეტალონები დასაკალიბრებლად. დაიგეგმა ევროპული მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის (EURAMET-ის) რეგიონალურ საკვანძო შედარებებში მონაწილეობა ტემპერატურული გაზომვების სფეროში, ასევე, ორმხრივი შედარება ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტთან ფიზ-ქიმიური გაზომვების სფეროში.

EURAMET-ის ექსპერტების (იტალიის და ესპანეთის მეტროლოგიური უწყებების წარმომადგენლები) მიერ, 2023 წლის 24-27 ივლისს, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში (ელექტრობის, ტემპერატურისა და ტენიანობის, მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები, ასევე, ხარისხის მენეჯმენტის ნაწილში) ჩატარდა **შეფასება (Peer-review) ISO/IEC 17025:2017-სტანდარტის შესაბამისად.** წარმატებით ჩატარებული შეფასების საფუძველზე დაიგეგმა GEOSTM-ის ხარისხის სისტემის პირველადი პრეზენტაცია, რომელიც 2023 წლის 7 ნოემბერს წარდგენილ იქნა

EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე, რაც EURAMET-ის სრული წევრობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/35/EU დირექტივის *(ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოყენებისათვის განკუთვნილი ელექტრო მოწყობილობების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე)* იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის N165 დადგენილებით, დამტკიცდა **„ტექნიკური რეგლამენტი – ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრომოწყობილობების შესახებ“.** საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული და გამოქვეყნებულია სტანდარტების სია (ჰარმონიზებული სტანდარტები) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის (sst.geostm.gov.ge).

2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივის *(ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე)* დასანერგად, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - **„ტექნიკური რეგლამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ" დამტკიცების თაობაზე“.** მიმდინარეობს შესაბამის უწყებებთან კონსულტაციები, რის შემდეგაც დასამტკიცებლად იქნება წარდგენილი საქართველოს მთავრობისთვის.

2011 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 305/2011 რეგულაციასთან, *რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქციის ჰარმონიზებულ პირობებს ბაზარზე განთავსებისათვის,* ტექნიკური რეგლამენტის მომზადების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის **2023 წლის 18 აპრილის N156 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“** და მოხდა 17 ახალი სამშენებლო პროდუქტის დაფარვა.

2014 წლის 16 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/53/EU დირექტივის *(რადიო მოწყობილობების ბაზარზე განთავსების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების თაობაზე)* მიხედვით, **2023 წლის 24 აპრილს, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N161 დადგენილება „რადიომაუწყებლობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.**

სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, რისკის ანალიზის საფუძველზე, 2023 წლის განმავლობაში საზედამხედველო სფეროებში განხორციელდა ბაზარზე ზედამხედველობის შემდეგი პროცედურები:

- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 150 სამშენებლო პროდუქტი;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული წნევის ქვეშ მომუშავე 9 მოწყობილობა;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 14 მანქანა-დანადგარი;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 138 ლაქ-საღებავი;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 174 სათამაშო;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული აირად საწვავზე მომუშავე 82 მოწყობილობა;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 35 ინდივიდუალური დაცვის საშუალება;
- განხორციელდა შემზღუდველი ღონისძიებების გატარების შესახებ გამოცემული 108 დადგენილების გადამოწმება;
- აღებულ იქნა 44 სამშენებლო პროდუქტის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში;
- აღებულ იქნა 138 ლაქ-საღებავის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში;

- აღებულ იქნა 171 სათამაშოს ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში;
- აღებულ იქნა აირად საწვავზე მომუშავე 2 მოწყობილობის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში.

ამასთანავე, შემოწმდა **შემოსავლების სამსახურის საბაჟოს 7 გაფორმების ეკონომიკური ზონიდან** შემოსული:

- 12313 სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;
- 2721 მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;
- 5052 სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება;
- 1574 ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმპორტის წინასწარი შეტყობინება;
- აირად საწვავზე მომუშავე 3055 მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა და რეკომენდაცია გაიცა 72 ტიპის სამშენებლო პროდუქტზე;
- ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 29 ელექტრო მოწყობილობა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრისთვის, აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის (EA) მიერ განხორციელებული **თანასწორთა შეფასების** საბოლოო შედეგი გამოქვეყნდა 2023 წლის 24 ივლისს, რომლის თანახმად აკრედიტაციის ცენტრმა აღიარება შეინარჩუნა წინა წლებში აღიარებულ ყველა სფეროში:

- საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17025-ის შესაბამისად);
- საკალიბრო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17025-ის შესაბამისად);
- სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო 15189-ის შესაბამისად);
- ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17020 სტანდარტის შესაბამისად);
- პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17065 სტანდარტის შესაბამისად);
- პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17024 სტანდარტის შესაბამისად).

EA-ს მიერ განხორციელებული თანასწორთა შეფასების დადებითი შედეგების საფუძველზე, **საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა 2023 წლის 1 აგვისტოს გაიფართოვა საერთაშორისო ლაბორატორიების აკრედიტაციის თანამშრომლობის (ILAC) აღიარება** პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანოების აკრედიტაციის მიმართულებით (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად).

ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან დაახლოების ფარგლებში, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები:

- ტექნიკური რეგლამენტის – ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 დეკემბრის N565 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 მაისის N174 დადგენილება "მსხვილფეხა საქონლის ტანხორცის, ნახევარი ან მეოთხედი ტანხორცის ზედაპირის მიკრობიოლოგიური დაბინძურების შესამცირებლად რძემჟავას გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ";

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 ივნისის №225 დადგენილება "ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველური წარმოშობის სურსათში აკრძალულ/დაუშვებელ ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით მოქმედებისათვის საცნობარო მაჩვენებლების (RPA) შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის №212 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარჩენების ანალიზის მეთოდების განხორციელების, ნიმუშის აღების და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
- “ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 ნოემბრის N446 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 ნოემბრის N447 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების „საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის №648 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N306 დადგენილება;
- „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N305 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N304 დადგენილება „გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარევების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N303 დადგენილება;
- “კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” 2023 წლის 29 დეკემბერის №545 დადგენილება;
- „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 24 ივლისის №275 დადგენილება;
- „სახელმძღვანელო მითითებები - კონტროლირებად პირობებში/ჩაკეტილ სისტემებში გენმოდიფიცირებულ მიკროორგანიზმების გამოყენების შესახებ და კონტროლირებად პირობებში/ჩაკეტილ სისტემებში გენმოდიფიცირებულ მიკროორგანიზმებთან მუშაობისას რისკის შეფასების განხორციელების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 10 მარტის N2-120 ბრძანება;
- „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №304 დადგენილება;
- „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისათვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის No. 493 დადგენილება;
- „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის N199 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 დეკემბრის No. 472 დადგენილება;

- „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის N494 დადგენილება.

მომზადებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილების პროექტები:

- „ცხოველის სამკურნალო საკვების წარმოება, ბაზარზე განთავსება და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;
- „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ;
- ტექნიკური რეგლამენტი - მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსების შესახებ დამტკიცების შესახებ.

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურები განხორციელდა:

- ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 28 399 სასაქონლო პარტიის მიმართ;
- ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 17 732 სასაქონლო პარტიის მიმართ;
- არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა 2 933 სასაქონლო პარტიის მიმართ.

შემუშავდა და 2023 წლის 3 აპრილიდან ძალში შევიდა ეროვნულ დონეზე ტრანზიტის აპლიკაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ცვლილება შევიდა **„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების ტექსტში** და ასევე, დაემატა დანართი №20 - **„ინსტრუქცია საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“.**

ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) აპლიკაციის შექმნა დასრულებულია. აპლიკაცია ფუნქციონირებს (იტესტება) ეროვნულ დონეზე მიმდინარე წლის 3 აპრილიდან.

2023 წლის 31 მაისს, გაიმართა ტრენინგი **საბაჟო დეპარტამენტის** თბილისის, ფოთის, ბათუმისა და თბილისის აეროპორტის გაფორმების ეკონომიკური ზონების, ასევე, ახალციხისა და ქუთაისის გაფორმების განყოფილებებისა და მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის NCTS აპლიკაციის ტესტირებისა და გამოყენების შესახებ. 14 ივნისს გაიმართა ტრენინგი ბათუმის პორტის, ვალეს, კარწახის, ფოთისა და ყულევის პორტებისა და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის თანამშრომლებისათვის. 13 აპრილს **„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS)** პრეზენტაციის მიზნით, გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. 26 ივნისს გაიმართა შეხვედრა შემოსავლების სამსახურის წარმომდგენლებსა და შვეიცარიულ კომპანია „SGS“ შორის, სადაც განხილულ იქნა NCTS მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტივები. 6 და 7 სექტემბერს გაიმართა ტრენინგი კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, NCTS აპლიკაციის გამოყენების შესახებ.

ითარგმნა **ერთიანი ტრანზიტის კონვენცია (CTC) და ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის (Single Administrative Documant SAD)** კონვენციების ტექსტები. კონვენციებთან მიერთების შესაბამისი შიდა პროცედურები დაწყებულია.

ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების, კერძოდ, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტის პირველადი რედაქცია შემუშავებულია.

2023 წლის 6 ივნისს გაიმართა **ევროკავშირი-საქართველოს საბაჟო ქვეკომიტეტი.**

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, 2023 წლის 9 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო **ახალი კანონი საჯარო შესყიდვების შესახებ.** რეფორმა მიზნად ისახავს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და ეფექტიანი ხარჯვის გაუმჯობესებას, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ევრო-რეგულაციებისა და დირექტივების შესაბამისად, საჯარო შესყიდვების სისტემის კარდინალურ განახლებასა და მოდერნიზებას. კანონის ძირითადი დებულებები ამოქმედდება 2025 წლის პირველი იანვარიდან, ხოლო ცალკეული საკითხების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 და 2029 წლები.

ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის **კომუნალური სექტორის დირექტივასთან** დაახლოების პროცესი. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტთან თანამშრომლობით მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. კანონპროექტის პირველი ვერსია გადაეგზავნა OECD-SIGMA-ს ექსპერტებს შენიშვნებისათვის. 2024 წლიდან დაგეგმილია კანონპროექტის ფართო განხილვა, რომელიც შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი **„ელექტრონული კომერციის შესახებ“ თანმდევ ცვლილებებთან ერთად „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო“ კოდექსსა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში.**

საქართველოს კანონმდებლობის ასოცირების შეთანხმების XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოების ფარგლებში, მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში **„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“,** ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით:

- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC);
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC);
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ (2002/19/EC);
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC).

ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მსოფლიო ბანკთან დაწყებულ „Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში, რომელშიც საკონსულტაციო კომპანია EY-იც იყო ჩართული, დასრულდა მუშაობა **უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების** მომზადების საკითხებზე. მომზადდა ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების

შესახებ“ აღნიშნული ცვლილებების პროექტების მიღების მიზნით, იგეგმება შემდგომი პროცედურების განხორციელება.

„ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე ევროკომისიასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, საქართველო, გარდა არსებული ვალდებულებისა *(97/67/EC amended by Directives 2002/39/EC, 2008/6/EC),* ევროკომისიის შემოთავაზების შესაბამისად, აიღებს ახალ ვალდებულებას **საზღვრისპირა ამანათების მიწოდების შესახებ რეგულაციასთან** *(Regulation (EU) 2018/644)* დაახლოების მიმართულებით, რომელიც აისახება „ფოსტის შესახებ“ კანონის არსებულ პროექტში. აღნიშნულის იმპლემენტაციისთვის საქართველოს განესაზღვრა 2024 წელი. ასოცირების შეთანხმების არსებულ დანართ XV-C-ში მიმდინარეობს შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან) დაკავშირებით, 2023 წელს კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 15 ღონისძიებაში. ამასთანავე, სააგენტოს თანამშრომლებისათვის 5 ტრენინგი ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ტვინინგის“ პროექტის - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ - ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებზე განხილული იყო ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები, კონცენტრაციების კონტროლის ეფექტური მექანიზმები, ბაზრის შესწავლის მექანიზმები, ჯარიმის განსაზღვრის მეთოდოლოგია და OSINT ხელსაწყოების გამოყენება მოკვლევების დროს.

ხუთი მარეგულირებელი უწყების - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, სემეკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით 16-18 ნოემბერს გაიმართა, **II საერთაშორისო კონფერენცია - „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“.** კონფერენციაში 20-მდე ქვეყნის დელეგაცია და 10-მდე სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის და მომხმარებლის სექტორში მომუშავე უწყების პირველი პირები, სამთავრობო და საპარლამენტო გუნდის წევრები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საჯარო უწყებების, მარეგულირებელი ორგანოების, აკადემიური წრის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2023 წლის 1 თებერვალს, **სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის** თავმჯდომარემ და მოლდოვის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა ხელი მოაწერეს **ორი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას.** შეთანხმების საფუძველზე მოლდოვის რესპუბლიკა იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მქონე პროდუქტების დაცვას ნებისმიერი არასწორი გამოყენების, იმიტაციის ან მიბაძვისაგან. თავის მხრივ, საქართველოში დაცული იქნება მოლდოვის რესპუბლიკის ათი გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მქონე პროდუქტი.

„საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება განხორციელდა, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 15 იანვრიდან. აღნიშნული შეთანხმება გააძლიერებს სამრეწველო საკუთრების დაცვას და ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზნების მიღწევას. ვალიდაციით იზრდება საქართველოს EPO-ში გაწევრიანების შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს საპატენტო კანონში.

2023 წლის 3 მაისს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ **ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის** პრეზენტაცია გაიმართა. კრებული ქართულ ენაზე გამოიცა EUGIPP პროექტის ფარგლებში. ნაშრომი შედგენილია ევროკავშირის საერთო სასამართლოს (GCEU), ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა (CJEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო საბჭოს (BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე და მისი მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის დაახლოება.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის ორგანიზებით, 14-16 ივნისს, **საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი გაიმართა,** რომელსაც 62 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი დაესწრო, ხოლო დისტანციურად ჩაერთო 800-მდე მონაწილე სხვადასხვა ქვეყნიდან. ამასთან, მოეწყო საქპატენტში რეგისტრირებული **64 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის** გამოფენა.

საქპატენტის და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, 24-25 ივლისს, ბათუმში, გაიმართა **რიგით მე-7 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“.** კონფერენციას სხვადასხვა ქვეყნის აღსრულების უწყებების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო 200-მდე საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელი.

DCFTA-ის განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრა გაიმართა 26-27 დეკემბერს, ქ. გორში, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა **DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) და 2024 წლის სამოქმედო გეგმების პროექტები.** DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2024-2026 წლების) სამოქმედო გეგმის პროექტის დამტკიცება იგეგმება 2024 წლის პირველ კვარტალში.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების, **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2024-2025 წლების გეგმა** შემუშავებულია.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023), **2022 წლის ანგარიში** მომზადებულია. ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და განთავსდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიანი გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) მომზადება დაწყებულია, შეირჩნენ ექსპერტები და ჩამოყალიბებულია დოკუმენტების შესაბამის ნაწილებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფები. ეროვნული სათბურის აირების ინვენტარიზაციის მოსამზადებლად ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი - ინვენტარიზაციის კომპონენტი შევა, როგორც მე-5 ეროვნულ შეტყობინებაში (FNC), ისე, პირველ ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშშიც (BTR). ასევე, დაიწყო იდენტიფიცირებული სექტორებისთვის მოწყვლადობის ანალიზისა და ეროვნული ინვენტარიზაციის მომზადება. შემუშავდა BTR-ის 1 თავის (ეროვნული გარემოებები) სამუშაო ვერსია.

ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელის შეწყობის მიზნით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოეწყო დამატებით **23 საქმიანი ეზო.** ჯამში ქვეყნის მასშტაბით ამ დროისთვის მოწყობილია **54 საქმიანი ეზო.**

ტყის ახალ კოდექსთან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობაში მოყვანისათვის, მიმდინარე წელს დამტკიცდა:

- ✓ **"საქართველოში „მეტყევის პროფესიული დღის" გამოცხადებისა და ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისების" წესი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, 16.02.23; №2-66;
- ✓ **"ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ" წესი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, 16.02.23; №2-67;
- ✓ "**ტყის სარეპროდუქციო მასალების იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების შესახებ"** წესი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, 12.07.2023; №2-553.
- ✓ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს კანონქვემდებარე აქტებზე: **"სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ"**; **"ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის წარმოების ინსტრუქციის შესახებ**" და **„სახელმწიფო ტყეში დასაქმებული პირების თანამდებობათა რანგირებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ".** აღნიშნული კანონქვემდებარე აქტების სამუშაო ვერსიები გაგზავნილია მართვის ორგანოებთან განსახილველად. 2023 წელს ჯამში დამტკიცდა 3 კანონქვემდებარე აქტი.

6. ეკონომიკური თანამშრომლობა

წინასწარი შეფასებით, 2023 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, **რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 8.3 პროცენტი შეადგინა,** ხოლო 2023 წლის საშუალო რეალური ზრდა 7 პროცენტით განისაზღვრა.[1]

2023 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **„საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"** რაც სრულად აახლოებს საქართველოს სტატისტიკის კანონმდებლობას საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან.

საქსტატის მიერ შემუშავებულია და გავრცელებულია **ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები (UVI)** საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით.

საქსტატის მიერ განხორციელდა 2022 წლის კვარტალური მონაცემების დამუშავება, დეტალური მონაცემები გამოქვეყნდა 2023 წლის 31 ივლისს. მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე.[2] ასევე, განხორციელდა 2022 წლის მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება, დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდა 2023 წლის ოქტომბერში.[3]

[1] https://www.geostat.ge/ka/single-news/3058/ekonomikuri-zrdis-tsinastsari-shefaseba-dekemberi-2023
[2] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/713/sagareo-vachrobis-erteulis-ghirebulebis-indeksebi
[3] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/766/momsakhurebit-saertashoriso-vachroba

სასოფლო-სამეურნეო აღწერის კითხვარის საპილოტე ვერსია შემუშავებულია.

მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- პირველი ეტაპის („შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა“) საველე სამუშაოები ჩატარებულია;
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის კითხვარის საპილოტე ვერსია მომზადებულია;
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის პროგრამული უზრუნველყოფის საპილოტე ვერსია მომზადებულია.

ეროვნული ანგარიშების სისტემის ძირითადი ანგარიშები (წარმოების ანგარიშიდან კაპიტალის ანგარიშის ჩათვლით) ინსტიტუციური სექტორებისათვის გაანგარიშდა 2021 და 2022 წლების საფუძველზე. საქსტატის ვებ-გვერდზე სექტორული ანგარიშების გამოქვეყნება დაგეგმილია 2024 წლის პირველ ნახევარში.

შემუშავდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა **სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიში.** ანგარიში მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N893 განკარგულებით).

OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით განხორციელდა **შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები,** რაც გულისხმობს სერტიფიცირების მოდულებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებას, ტრენერების გადამზადებას, დონორებთან კომუნიკაციას, სატრენინგო მასალისა და საგამოცდო ტესტების შედგენას.

ჰარმონიზაციის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან პროგრამის დანერგვის თვალსაზრისით. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით დაწყებულია 20 შიდა აუდიტორის სერტიფიცირების პროცესი. ისინი გადამზადებულნი არიან 2 მოდულში (4-დან). ასევე, 2024 წლის დასაწყისიდან დაგეგმილია დამატებით 20 შიდა აუდიტორის გადამზადება. ამ მიმართულებით დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, Ernst & Yong-ის საქართველოს ოფისის ჩართულობით შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის სახელმძღვანელო შიდა აუდიტორებისთვის. მიმდინარე ეტაპზე 2 პილოტური აუდიტორული შემოწმება ხორციელდება აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებით.

6 ცენტრალურ სამინისტროში (ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) და დამატებით თავდაცვის სამინისტროში განსაზღვრულია **რისკის ოფიცერი.** რისკის ოფიცრებისთვის განხორციელდა სასწავლო ვიზიტი შვედეთში. თავდაცვის სამინისტროს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემუშავებული აქვს რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხოლო ზემოთ ხსენებულ დანარჩენ 5 სამინისტროში აღნიშნული პროცესი მიმდინარეა.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მომზადებულია **საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია.**

"2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ" მთავრობის ანგარიშზე, მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** მოხსენება.

ჩატარდა **3 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი,** 13 ფინანსური აუდიტი და 24 შესაბამისობის აუდიტი, გაცემულია სისტემური ხასიათის რეკომენდაციები საჯარო რესურსების მართვის ეფექტიანობის, ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის კუთხით; ჩატარდა 10 ეფექტიანობის აუდიტი;

ითარგმნა ერთიანი ტრანზიტის კონვენცია **(CTC)** და ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის **(Single Administrative Documant SAD**) კონვენციების ტექსტები. კონვენციებთან მიერთების შესაბამისი შიდა პროცედურები დაწყებულია.

ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავების მიზნით, **გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან,** რომლის ფარგლებშიც მიეწოდათ ინფორმაცია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების, კერძოდ, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტის პირველადი რედაქცია შემუშავებულია.

2023 წლის 26 იანვარს გაიმართა შეხვედრა ევროკავშირში საქართველოს მისიის წარმომადგენლების და DG TRADE-ის (ვაჭრობის გენერალური დირექტორატი) შორის, რომელზეც განხილული იყო **DCFTA**-ს განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მათ შორის საქართველოსა და ევროკავშირის შორის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) ურთიერთაღიარების შეთანხმება.

7. თანამშრომლობის სხვა სფეროები

7.1 ტრანსპორტი

ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას **საზღვაო, საგზაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის** მიმართულებით.

საზღვაო ტრანსპორტი

ასოცირების შესახებ შეთანხმებით (კარი VI, თავი 1, დანართი XV-D, **საზღვაო ტრანსპორტი,** ტექნიკური და სამოქმედო წესები) განსაზღვრულ დირექტივებთან სამართლებრივი დაახლოების კუთხით, დასრულდა მუშაობა შემდეგ დირექტივებზე:

1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივასა *(რომელიც ეხება "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" შეთანხმებას, რომელიც გაფორმდა ევროპის გაერთიანების გემთმფლობელთა ასოციაციასა (ECSA) და ევროკავშირში ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებების ფედერაციას (FST) შორის – დანართი: "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" ევროპული შეთანხმება)* და 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC

დირექტივასთან *(გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე),* საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, 2023 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ N2774-XIმს-Xმპ დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა - ***„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2006 წლის 23 თებერვლის „საზღვაო შრომის კონვენცია“.*** ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ***"მეზღვაურთა შრომის შესახებ",*** რომელიც სრულად ასახავს კონვენციისა და დირექტივებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ძალაში შედის 2024 წლის 1 ივლისს.

2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/65/EU დირექტივა *(გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნავსადგურებში შემოსული ან/და ნავსადგურებიდან გასული გემების ფორმალობებთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ)* ჩანაცვლდა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1239 (EU) რეგულაციით *(ევროპული საზღვაო ერთი ფანჯრის გარემოს დაფუძნებისა და 2010/65/ EU დირექტივის გაუქმების შესახებ).* შედეგად შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი **"საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ",** რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტში. კანონპროექტის მიღების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მთავრობის დადგენილების მიღება **„საქართველოს ნავსადგურებში საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემის ფუნქციონირებისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“.**

საგზაო ტრანსპორტი

ასოცირების შესახებ შეთანხმებით (კარი VI, თავი 1, დანართი XXIV, **საგზაო ტრანსპორტი**) განსაზღვრულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციის ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივასთან *(საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ საბჭოს (EEC) N 3820/85 და (EEC) N 3821/85 რეგულაციების იმპლემენტაციის მინიმალური პირობების შესახებ),* საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, **„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტები მომზადებული და წარდგენილია საქართველოს მთავრობაში. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად გზისპირა ზონებში.

2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 1071/2009 რეგულაციის *(რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს)* მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ბ) გ) და დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ქვეყნის შიდა საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვის სფეროში დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში, 2023 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა **„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზე კანონქვემდებარე აქტებში აისახება აღნიშნული რეგულაცის შესაბამისი ქვეპუნქტები.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება **„მართვის მოწმობების შესახებ“** ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 2006/126/EC დირექტივით დადგენილ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისთვის დადგენილ ჯანმრთელობის სტანდარტებს, მათ შორის შეზღუდვის კოდების განსაზღვრებას. აღსანიშნავია, რომ ამ

მიმართულებით, დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების პროექტი**, რომელიც შემდგომი განხილვების მიზნით მიწოდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის.

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვების პრაქტიკული გამოცდის რეალურ საგზაო პირობებში ჩასატარებლად, როგორც კანონმდებლობით, ასევე, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისთვის განისაზღვრა დამატებით პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის (რეალურ საგზაო მოძრაობაში) ჩაბარების ვალდებულება. კერძოდ, **„B" და „BE" კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორ ეტაპიანია, რაც ასევე მოიაზრებს რეალურ საგზაო მოძრაობაში გამოცდის ჩაბარებას**. შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს აღნიშნული კატეგორიების უფლების მოპოვებისთვის პრაქტიკული გამოცდა რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებშიც უტარდებათ.

რკინიგზა

ასოცირების შესახებ შეთანხმებით (კარი VI, თავი 1, დანართი XXIV, **სარკინიგზო ტრანსპორტი**) განსაზღვრულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციის ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/59/EC დირექტივასა *(იმ მატარებლის მემანქანეთა სერტიფიცირების შესახებ, რომლებიც მართავენ ლოკომოტივებსა და მატარებლებს გაერთიანების სარკინიგზო სისტემაში)* და 2008 წლის 24 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/68/EC დირექტივასთან *(სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირების შესახებ)* საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, 2023 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა **საქართველოს №2998-XIმს-Xმპ კანონი „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"**, რის შედეგადაც საქართველოს კანონმდებლობაში აისახა 2007/59/EC და 2008/68/EC დირექტივების ძირითადი პრინციპები და შეიქმნა საკანონმდებლო საფუძველი დირექტივებთან სრულად დაახლოებისთვის. ამასთან, კანონის ამოქმედების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (2025 წლის 1 იანვრამდე), უნდა იქნას მიღებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ხსენებულ დირექტივებთან სრული თავსებადობისთვის. დაწყებულია მოლაპარაკებები ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც, გათვალისწინებულია 2007/59/EC და 2008/68/EC დირექტივებთან დაახლოების საკითხები.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობაში აისახა 2016/798 დირექტივის (ჩაანაცვლა 2004/49/EC დირექტივა - *გაერთიანების რკინიგზების უსაფრთხოების შესახებ*) ძირითადი პრინციპები. დაფუძნდა **სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო** და შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი მასთან სრულად დაახლოებისთვის. ამასთან, კანონის ამოქმედების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (2025 წლის 1 იანვრამდე), უნდა იქნას მიღებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ხსენებულ დირექტივასთან სრული თავსებადობისთვის. დასრულდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების (Twinning) I პროექტი. დაწყებულია მოლაპარაკებები ევროკავშირის მორიგი Twinning პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 2016/798 დირექტივასთან დაახლოების საკითხები.

საჰაერო ტრანსპორტი

ასოცირების შესახებ შეთანხმებით (კარი VI, თავი 1, დანართი XXIV, **საჰაერო ტრანსპორტი,** ,,ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოს, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“ შეთანხმება) განსაზღვრულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციის ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა:

ევროპარლამენტის და საბჭოს No 1321/2014 რეგულაციასთან *(რომელიც აწესებს ტექნიკურ მოთხოვნებს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს და პერსონალის მიმართ)* დაახლოების მიზნით, დანერგილია რეგულაციის შემდეგი ნაწილები (part 145, part 147, part 66, Part CAMO, part CAO), დარჩენილია part M, რომლის პროექტი მომზადებულია და წარდგენილია ინდუსტრიის მოსაზრებებისთვის.

7.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

ენერგეტიკის სფეროში საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით (კარი VI, თავი 2, **თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში,** XXV დანართი) ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით, 2023 წლის განმავლობაში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

2023 წლის 16 ნოემბერს დაარსდა პირველი **მაღალი დონის ენერგეტიკული დიალოგი** ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივასთან - *„ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“* - საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, **„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2023 წლის 22 თებერვალს.** კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, 10 აპრილს, გამოიცა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება №11/027. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად დირექტივის მოთხოვნები სრულად იქნა გათვალისწინებული.

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/28/EC დირექტივასთან - *„განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“* - საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მისაღებად, ენერეგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან და სხვა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით **მომზადებული და დამტკიცებულია 8 კანონქვემდებარე აქტი.** ასევე, შემუშავებულია ერთი კანონქვემდებარე აქტის პროექტი. დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და დამტკიცება იგეგმება EU/KfW ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/27/EU დირექტივასთან - *„ენერგოეფექტურობის შესახებ“, რომელსაც ცვლილებები შეაქვს 2009/125/EC და 2010/30/EU დირექტივებში და აუქმებს 2004/8/EC და 2006/32/EC დირექტივებს”* - საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, ამ ეტაპზე, მომზადებული და დამტკიცებულია **15 კანონქვემდებარე აქტი. ასევე, მომზადებულია 4 კანონქვემდებარე აქტის პროექტი.** აღნიშნული აქტივობა ხორციელდება ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 8,4 მლნ. ევროს.

2018 წლის 11 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018/2002 *ენერგოეფექტურობის ახალი დირექტივის, რომელიც ანაცვლებს 2012/27/EU დირექტივას,* საქართველოს კანონმდებლობაში გადმოსატანად, ამ ეტაპზე მომზადებულია კანონში ცვლილებების პროექტი განახლებული დირექტივის შესაბამისად, რომელიც წარდგენილ იქნება დასამტკიცებლად.

2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/31/EU დირექტივასთან - *"შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ",* რომელიც წარმოადგენს ენერგოეფექტურობის შესახებ გარკვეული დირექტივების განხორციელებასთან დაკავშირებული 2009 წლის 18 დეკემბრის 2009/05/MC-EnC გადაწყვეტილების შესწორებას, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, დამტკიცებულია **"შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონის 4 კანონქვემდებარე აქტი.** დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების პროექტები მუშავდება დასამტკიცებლად.

7.3 გარემოს დაცვა

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით (კარი VI, თავი 3, **გარემოს დაცვა,** XXVI დანართი და თავი 4, **კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები,** XXVII დანართი) ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით, 2023 წლის განმავლობაში გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივის - *"სამრეწველო ემისიების შესახებ"* - შესაბამისი მოთხოვნები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, 2023 წლის 29 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო **„სამრეწველო ემისიების შესახებ"** საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები.

2023 წლის 30 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ***„წყლის რესურსების მართვის შესახებ"*** *და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო პაკეტი.* „წყლის რესურსების მართვის შესახებ" საკანონმდებლო პაკეტი კომპლექსურ საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებს, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, სრულად ცვლის წყლის რესურსების მართვის პრინციპებს და აყალიბებს წყლის რესურსების მართვის ერთიან, წყლის რესურსების მართვის სფეროში მოქმედი ევროდირექტივების შესაბამის თანამედროვე სისტემას.

2023 წლის 16 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო **ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებასთან დაკავშირებული კანონპროექტთა პაკეტი,** მათ შორის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

2023 წლის 31 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა **„ვერცხლისწყლის შესახებ მინამატას კონვენციის" რატიფიცირებას** და აღნიშნული კონვენციისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ქართველი და ევროპელი ექსპერტებისა და ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის ჩართულობით, შემუშავდა **ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმის პროექტი.** პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა 26 ივნისს. გეგმა დამტკიცდა **საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით.**

პარალელურად, ევროპელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის - **„გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“** - ფარგლებში, მომზადდა **საბაზისო კვლევა თბილისის აგლომერაციისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის** შესამუშავებლად. 2023 წლის 20 ივნისს, გაიმართა თბილისის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა. სამუშაო ჯგუფის წევრებს წარედგინათ აღნიშნული კვლევის წინასწარი შედეგები და გაიმართა დისკუსია დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების საკითხებზე. 24 ნოემბერს, თბილისის სამუშაო ჯგუფის მეორე სხდომაზე, წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის საბოლოო შედეგები, სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები და რეკომენდირებული აქტივობები. შემუშავებულია სამოქმედო გეგმის პროექტის სამუშაო ვერსია, რომლის განხილვაც აქტიურად მიმდინარეობს. ამავე პროექტის ფარგლებში, დაიწყო **შავი ზღვის ზონის ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავება.** 2023 წლის 7 დეკემბერს გაიმართა შავი ზღვის ზონის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა. სამუშაო ჯგუფის წევრებს წარედგინათ ინფორმაცია ზონაში ჰაერის დაბინძურების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე, პროექტის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები და შედგა დისკუსია შავი ზღვის ზონაში არსებული გამოწვევების შესახებ. პირველ ეტაპზე დაგეგმილია საბაზისო კვლევის ჩატარება, რომლის საფუძველზეც შემუშავდება სამოქმედო გეგმის პროექტი.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში, საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 16 ივნისს მიიღო სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ შემუშავებული საქართველოს კანონი “**რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ**”, რომელიც არეგულირებს რადიოაქტიური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის N640 დადგენილებით დამტკიცებული **რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017–2031 წლების ეროვნული სტრატეგიით** განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ შეიმუშავა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტი. ცვლილებები დამტკიცდა საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებებით:

1. ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 20 ნოემბრის N453 დადგენილება;
2. ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ 2023 წლის 20 ნოემბრის N452 დადგენილება;
3. ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოსა და საცავის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ 2023 წლის 20 ნოემბრის N455 დადგენილება.

აქართველოს მდინარეთა აუზისათვის წყალდიდობის საფრთხის რუკების შედგენის ღონისძიებების ფარგლებში, **5 მდინარის (მტკვარი, ხრამი-ქცია, იორი, ალაზანი, ჭოროხი-აჭარისწყალი)** აუზისთვის წყალდიდობის რუკები მომზადებულია UNDP-ის პროგრამის - "კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" - ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით. საფრთხეების რუკების მომზადების მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის მოთხოვნებს.

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და ტერიტორიული წყლების გარემოს მდგომარეობის შეფასების მიზნით, 2023 წ. სექტემბრის პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა 12 სადგურზე.

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი (ავტომატური და ხარისხობრივი) განხორციელდა 70 წყალპუნქტზე; მონიტორინგის ქსელის გაფართოების მიზნით, შესყიდულია 2 ჭაბურღილის შესაბამისი აღჭურვილობა და იწყება ტექნიკური სამუშაოები ავტომატური სადგურების მოსაწყობად. საინფორმაციო ბიულეტენის - საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ - მომზადების მიზნით, ნაწილობრივ დამუშავებულია ინფორმაცია მონიტორინგული კვლევების შესახებ. მონიტორინგის ქსელის წყალპუნქტებიდან 2023 წელს აღებულია 357 სინჯი ლაბორატორიული ანალიზებისთვის (149 - ქიმიური, 136 - ბაქტერიოლოგიური, 56 - მძიმე მეტალები და 16 - ნავთობპროდუქტები).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO/GFCM) და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით, **„საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აპრილის N639 განკარგულების** საფუძველზე, დამტკიცებულია თევზის მეურნეობებისათვის 3 ზონა, ხოლო მოლუსკების წარმოებისათვის 5 აკვაკულტურის ზონა.

დამტკიცებული ზურმუხტის ქსელის 4 ტერიტორიისთვის - ალაზანი (GE000022), გოდერძი (GE0000026), გომბორი (GE0000027), თბილისის წავის კუნძული (GE000048) - მომზადდა მართვის გეგმების საბოლოო სამუშაო ვერსიები

„ბიომრავალფეროვნების შესახებ" კანონპროექტის საბოლოო სამუშაო ვერსია შემუშავებულია. კანონპროექტმა გაიარა საჯარო განხილვები. ასევე, წარდგენილ და მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. კანონპროექტი უახლოეს მომავალში გაიგზავნება საქართველოს პარლამენტში განსახილველად.

7.4 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება (ასოცირების შეთანხმება კარი VI, თავი 10), სოფლის მეურნეობის პოტენციალის სრულად ათვისება და მისი მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. შესაბამისად, საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარების სფეროებში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო **კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში, 2023 წელს დამტკიცდა 16 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში, ჯამური ღირებულება შეადგენს 18,554,855 ლარს, საიდანაც თანადაფინანსება შეადგენს 6,830,940 ლარს. **შემნახველ საწარმოთა კომპონენტში** დამტკიცდა 24 პროექტი, ჯამური ღირებულებით 34,791,864 ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 8,368,675 ლარს. სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 15 გადამამუშავებელი საწარმოს და 44 შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა.

არსებული პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების კუთხით, 32 ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი (HACCP, ISO-22000, BRCGS, GLOBAL G.A.P), ხოლო 29 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის ბრენდირება. 7 ბენეფიციართან გაფორმდა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის) წარმოებული პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის ხელშეკრულება. 10-მა

ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. აქტივობების/პროექტების ჯამური ღირებულებაა 1,657,868.65 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი აქტივობების/პროექტების ღირებულებაში შეადგენს 839,665.00 ლარს. სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსებაა 841,088.61 ლარი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 62 ხელშეკრულება. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 18,484,026 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 6,307,042 ლარი. საანგარიშო პერიოდში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 59 ბენეფიციარი. ხოლო **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,** საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ იქნა 3 კოოპერატივი.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“-ის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულება გაუფორმდა 4 ბენეფიციარს, სარეაბილიტაციო პლანტაციების ფართობი შეადგენს 120.97 ჰექტარს. რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 438,137 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 305,136 ლარს.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის (DIMMA) პროგრამის ფარგლებში 412 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 535 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 16,643,022 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 12,958,866 ლარი. საანგარიშო პერიოდში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 264 ბენეფიციარი.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, დამტკიცებულია 2,610.32 ჰა-ზე გასაშენებელი 412 ბაღის პროექტი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 63,388,385 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 29,008,899 ლარით; 2) **სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის** თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 10 განაცხადი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 4,574,512 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 474,278 ლარით, ხოლო ფართობი - 71.89 ჰა; 3) **წვეთოვანი სარწყავი სისტემის** მოწყობის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 46 განაცხადი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 1,164,242 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 492,003 ლარით, ხოლო ფართობი - 239.02 ჰა; 4) **ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის** მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 63 განაცხადი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 2,186,531 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 1,077,821 ლარით, ხოლო ფართობი - 299.86 ჰა; 5) **მრავალწლიანი კულტურ(ებ)ის ბაღში,** პლანტაციაში, ვენახში დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 2 (ორი) განაცხადი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 155,274 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 133,092 ლარით, ხოლო ფართობი - 51.07 ჰა; 6) შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 1 განაცხადი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 5,000 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 5,000 ლარით.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 6 ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესაბამისმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 97,048 ლარი. პროგრამის ფარგლებში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებულ იქნა 8 კოოპერატივი.

"შეღავათიანი აგრო-კრედიტის" პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ბანკების მიერ გაცემულია 1,031,194,901 ლარის ოდენობის 10,000 სესხი. სააგენტოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 209,468,368 ლარი. მომსახურება გაეწია 38,907 სესხს.

აგრო-დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 15,035 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ფართობი შეადგენს 16,641.34 ჰა-ს. დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 167,683,280 ლარს. სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიაში შეადგენს 11,499,259 ლარს.

"საპილოტე პროგრამა ქალებისთვის" ფარგლებში, 8 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 8 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 182,996 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 164,222 ლარი. საანგარიშო პერიოდში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 36 ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდში, ქართული **აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის** მიზნით ჩატარდა 4 საერთაშორისო და 1 ადგილობრივი გამოფენა. ასევე, **სოფლის მეურნეობის დარგში ექსტენციის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:** ჩატარებულია 62 ტრენინგი; გამოცემულია 80 სტატია; გაცემულია 596 რეკომენდაცია; 40 კონფერენცია; 6 საგრანტო პროექტი; 13 მონოგრაფია/წიგნი/ბროშურა; დათესილია: ბოსტნეული, ბაღჩეული, პარკოსანი და ტექნიკური კულტურების 1468 ჯიში და ჯიშპოპულაცია; ათვისებულია საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი - 181 ჰა; ხეხილის ჯიშების საკოლექციო ნარგაობა - 42 ნიმუში (მ.შ- ადგილობრივი ფორმა - 28); გაშენებულია 4 საკოლექციო ბაღი; კვლევაში ჩართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებული ნიმუშების შესაბამისი რაოდენობა - 30; შედგენილია ნიადაგის 6 რუქა; სერტიფიცირებული სანერგე მეურნეობის რაოდენობა - 34; სერტიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალის რაოდენობა - 1804 ტონა. შეგროვილია გენეტიკური რესურსები; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ვაზის 506 ნიმუში (მ.შ. ადგილობრივი ფორმები და ნიმუშები - 460 , ველური - 46); ხეხილის 150 ჯიში და ფორმა; ტყის მერქნიანი სახეობების ცოცხალი კოლექციის - 2005 ძირი; თუთის ძირითადი კოლექციის - 450 ძირი; თუთის სადედე-საკალმე პლანტაციის - 342 ძირი; თუთის სადედე სათესლე კოლექციის - 20 ძირი; ინვიტრო ბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა-1350 (მ.შ- კარტოფილის - 1400, ვაზის - 15, ბატატის - 5, გოჯი ბერის - 30, ქრიზანთემას - 10); მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკში დაცულია ხორბლის - 45 და სიმინდის - 35 ნიმუში; შესწავლილია ნიადაგის - 25000 ჰა ფართობი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე ლაბორატორიულ პირობებში გამოკვლეულია ნიადაგის - 800 ნიმუში; გამოცდილია 12 ბიოპრეპარატი; ჩაის ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნარგაობის 11 ნიმუში, 6000 ადგილობრივი ჯიშები და ფორმები. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ქართული გენოფონდის შესანარჩუნებელი რესურსი -1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 394 (მ.შ. ქართული მთის ძროხა - 18, კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხა - 315, აჭარული პოპულაციის ძროხა - 14, მეგრული ძროხა - 47; კახური ჯიშის ღორი - 630; ცხვარი და თხა - 519 (მ.შ. ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხვარი - 47, იმერული ცხვარი - 276, თუშური ცხვარი - 37, მეგრული თხა - 159); შინაური ფრინველები - 910 (მ.შ. ქათამი - 550, ჩალისფერი ინდაური - 180, ჭრელი იხვი - 30, ჯავახური ბატი - 150); თევზი „ფარიონისა“ და სარკისებური კობრის ნაჯვარი თაობა ბიომასით - 150 კგ; 6.ფუტკრის ოჯახი - 59; თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში - 65.

7.5 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების მიმართულებით (ასოცირების შეთანხმება, კარი **VI, თავი 14, დანართი XXX**) ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება.

2023 წელს ჩატარდა **სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 1 სხდომა**. სხდომაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2024-2028 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები, ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უსაფრთხოების კოდექსის სამთავრობო კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების მიერთებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს რეკომენდაციები, ევროკომისიის „ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის“ 2023 წლის ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციები. **სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის** შეხვედრაზე განხილულ იქნა "შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საშუამავლო კომპანიების სერტიფიცირების პროცედურები.

2023 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა **საკანონმდებლო ცვლილებები შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში.** ცვლილებები ხელს შეუწყობს ლეგალურ შრომით მიგრაციას, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევების შემცირებას, საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაზე სახელმწიფო მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, მათი კანონიერი საქმიანობის წახალისებას და განვითარების მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. კანონპროექტი ითვალისწინებს საშუამავლო კომპანიების საქმიანობის ლეგალიზაციას და საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ მონაცემების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და მიგრაციის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა 11 **კოლექტიური შრომითი დავის მედიაცია,** საიდანაც შეთანხმება შედგა 4 დავაზე (მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს 7 შემთხვევაში).

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 17339 სამუშაოს მაძიებელმა, ხოლო 1111 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 11470 თავისუფალი ვაკანსია. **მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა** 198 შშმ პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. **დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის** მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 120 ვაკანსია, დასაქმა 19 შშმ პირი. 11329 სამუშაოს მაძიებელს ჩაუტარდა ინდივიდუალური კონსულტაციები. ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება გაეწია 4856 სამუშაოს მაძიებელს. **ჩატარდა 9 დასაქმების ფორუმი.**

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 36 სასწავლო ორგანიზაცია. 97 მოთხოვნად პროფესიაზე ჩაერთო 3911 მოსარგებლე, რომელთაგან სწავლა დაასრულა 2007-მა. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის

ამაღლების სახელმწიფო პროგრამის სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 31 დამსაქმებელი და 144 სტაჟიორი, დასაქმდა 87 სამუშაოს მაძიებელი.

შრომის უსაფრთხოების კუთხით, ასოცირების დღის წესრიგის თანახმად, მომზადდა და **№167 დადგენილებით** მიღებულ იქნა **ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი,** რომელიც სრულად შესაბამისობაშია 1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივასთან.

2023 წლის მდგომარეობით, ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით განსაზღვრული 26 დირექტივიდან:

სრულად ასახულია 6 დირექტივა; ნაწილობრივ ასახულია 2 დირექტივა; 3 დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი მზად არის თემატურ ჯგუფში - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - განსახილველად; 5 დირექტივის შესაბამისად მომზადებულია ნორმატიული აქტის პროექტები.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ევროკავშირის საჯარო უწყებების დაძმობილების (Twinning) ახალი პროექტი შრომის უსაფრთხოების კუთხით, რომლის მიზანია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა საქართველოს კანონმდებლობის 10 ევროდირექტივასთან დაახლოების მიზნით.

რაც შეეხება **შრომის ინსპექციის სამსახურის** მიერ უშუალოდ **ინსპექტირების პროცესების შედეგებს,** 2023 წლის მდგომარეობით განხორციელებული ინსპექტირების შედეგები შემდეგნაირად ნაწილდება:

- **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად** განხორციელდა 3767 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1636 ობიექტზე, განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 82 508-მე დასაქმებულ პირს და გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით გაიცა 14178 მითითება;
- **საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა“ და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად** განხორციელდა 1779 ინსპექტირება. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა 1395 ობიექტი/სამუშაო ადგილი; გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით სამსახურის მიერ გაიცა 2620 მითითება; განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 72 000-მდე დასაქმებულ პირს;
- **იძულებითი შრომის პრევენციის მიმართულებით საქართველოს მთავრობის N112 დადგენილების შესაბამისად** განხორციელდა შემოწმება 303 ობიექტზე, რომელთაგანაც 292 იყო გეგმური, ხოლო 11 არაგეგმური.
- განხორციელდა 119 ინსპექტირება ამდენსავე ობიექტზე (111 გეგმიური და 8 არაგეგმიური); 118 ობიექტზე დარღვევები არ გამოვლენილა, 1 ობიექტზე კი კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

შეიქმნა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი lio.moh.gov.ge; ასევე, უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს **სამსახურის ცხელი ხაზი 1575**, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას შრომით ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2023 წელს, აღნიშნულ ცხელ ხაზზე შემოვიდა 11 000-ზე მეტი ზარი.

გარდა ამისა, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა მიღებული განცხადებების საფუძველზე წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაუწია 1090 დაინტერესებულ პირს.

7.6 ჯანმრთელობის დაცვა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის (ასოცირების შეთანხმება, კარი VI, თავი 15, დანართი XXX) მიზნით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები: **"სისხლის და სისხლის კომპონენტების დონორთა შერჩევისა და შესაბამისობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ"** და **"სისხლის და სისხლის კომპონენტების შეგროვების წესის დამტკიცების შესახებ"** შემუშავებული და განხილულია დაინტერესებულ/მონაწილე მხარეებთან და წარდგენილია დასამტკიცებლად სამინიტროში; შემუშავებულია მისაღებად **შემდეგი კანონქვემდებარე აქტების პროექტები: "იმუნოჰემატოლოგიური ტესტების ჩატარების პროცედურის დამტკიცების შესახებ"; "ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების სისტემის საერთაშორისო და ნაციონალური კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებებისა და სტანდარტების ნუსხის აღიარების და ნაციონალური კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებებისა და სტანდარტების დანერგვის შესახებ".**

2023 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონები: „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ და „საქართველოს კანონი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“. კანონები უზრუნველყოფს სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც აწესრიგებს ადამიანის ორგანოების გადანერგვის და ქსოვილების /უჯრედების გამოყენების ძირითად პრინციპებს; ორგანოს, ქსოვილთა და უჯრედთა დონაციასთან დაკავშირებული სამართლებრივ ურთიერთობებს; განსაზღვრავს დონორისა და მიმღების უფლებებს; არეგულირებს ორგანოთა და ქსოვილების მოპოვებასთან, ხარისხსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე მიკვლევადობის და უსაფრთხოების ნორმების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

2023 წელს დასრულდა მუშაობა და საქართველოს მთავრობას წარედგინა საქართველოს კანონის პროექტი **„მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“.** აღნიშნული კანონის პროექტი არეგულირებს ხელოვნური განაყოფიერების, სუროგაციისა და მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის ყველა ასპექტს. კანონი შემუშავებულია ევროპული დირექტივების მიხედვით და აწესრიგებს აქამდე ნაკლებად დარეგულირებულ სფეროს საქართველოში. პარლამენტის მიერ დაიწყო კანონპროექტის განხილვა.

შემუშავდა **კანონის პროექტი „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“,** რომელიც აწესრიგებს ამ სფეროში არსებულ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს, ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს სათანადო ნორმატიულ მასალას და შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ, ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ აქტებთან. მიმდინარეობს კანონპროექტის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის პროცესი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 5 აპრილის №21/ნ ბრძანებით **დამტკიცდა "საქართველოს 2023-2025 წლების ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა". „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“**

2023 წელს განხორციელდა **ლუგარის ცენტრის ზოგადი ბაქტერიოლოგიის ლაბორატორიის აკრედიტაცია ISO 17043 სტანდარტის მიხედვით.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 6 სექტემბრის N65/ნ ბრძანებით **დამტკიცდა საქართველოს 2023-2025 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2023 წლის 21 ივლისის N54/ნ ბრძანებით დამტკიცდა ტუბერკულოზთან ბრძოლის 2023-2025 წწ. ეროვნული სტრატეგია.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2023 წლის 21 დეკემბრის №96/ნ ბრძანებით დამტკიცდა ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2024-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა.**

CAESAR-ის ანტიმიკრობული რეზისტენტობის (ამრ) ზედამხედველობის პროტოკოლზე დაყრდნობით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა ამრ-ის ეროვნული ზედამხედველობის პროტოკოლი; ასევე განახლდა №01-26/ნ ბრძანება პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად (ბრძანების ნომერი: №79/ნ; თარიღი: 02/11/2023)

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელობით, **85 სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მარეგულირებელი დოკუმენტების, პროტოკოლების და გაიდლაინების აღსრულების მონიტორინგი და კონტროლი.**

ათი სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ქირურგიული პროფილის განყოფილებებში **დაინერგა ქირურგიული ანტიბიოტიკო-პროფილაქტიკის თანამედროვე პრინციპები.**

7.7 თანამშრომლობა ინოვაციის სფეროში

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით **ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის** გაფორმდა 1 სამუშაო შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის პროექტზე - ***Do IT with the EU.***

უცხოური სარისკო კაპიტალის ინვესტორებისა (angel and venture investors) ან/და **მენტორების ქართულ სტარტაპებთან დაკავშირების** (pitching სესიებისა და B2B შეხვედრების ორგანიზება) ფარგლებში, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია (AXEL); DataFest; ProdAct Community Conference; Touch Summit; MarTech Festival by Touch; Startup Investment Forum Batumi; 500 Global-ის მასტერკლასი.

ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ ორგანიზებულ სტარტაპების ხელშემწყობ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები) ქართული სტარტაპების მონაწილეობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, ქართულმა სტარტაპებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში: "Startup World Cup " კონკურსის ეროვნული რაუნდი; Globalize ნიუ-იორკის კონფერენცია; 500 Global -ის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები; Web Summit; Polish Demo Day.

ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების დაფინანსების მიმართულებით, **თანადაფინანსების პროგრამის გრანტებით** დაფინანსდა - 40 ბენეფიციარი; **მცირე გრანტები რეგიონებისთვის** პროგრამის ფარგლებში კი - 41 ბენეფიციარი.

თბილისსა და რეგიონებში განხორციელებული **ICT სასწავლო კურსის** ფარგლებში ჩატარებული შემდეგი ღონისძიებების ფარგლებში გადამზადება გაიარა: ტექნოლოგიური კვირეულები - 1446

ბენეფიციარი; ხელოვნური ინტელექტის, მანქანური სწავლების, ელექტრონული კომერციის, ტექნოლოგიური განვითარების პროცესების, STEAM დისციპლინების, ICT ტექნოლოგიების ტრენინგები - 2969 ბენეფიციარი.

2023 წელს გაიხსნა **სენაკის ინოვაციური ცენტრი.**

საქართველოს ინოვაციების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის შემუშავების ფარგლებში, 2023 წლის 2 ივნისს, გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან თანამშრომლობით, შემუშავდა და გამოქვეყნდა ინოვაციური პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციები რეგიონისთვის - **Interim Sub-regional Innovation Policy Outlook 2022: Eastern Europe and the South Caucasus**. (https://unece.org/economic-cooperation-and-integration/publications/interim-sub-regional-innovation-policy-outlook)

7.8 თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში

2023 წლის 30 ივნისს **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში** - რომელიც უზრუნველყოფს სრულ დაახლოებას აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების (AVMSD) ახალ დირექტივასთან (2018/1808/EU - (მიღებული 2022 წლის 22 დეკემბერს) შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შემუშავებისა და დამტკიცების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 1 ივლისი. კერძოდ, ეს საკანონმდებლო აქტებია:

- გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურებებისა და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლების ქცევის კოდექსი (კოდექსები);
- სახელმძღვანელო მითითებები ევროპული წარმოების პროდუქციის განთავსების ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნებისთვის მცირერიცხოვანი აუდიტორიისა და დაბალი შემოსავლის მქონე აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის განსაზღვრის შესახებ;
- მედია მომსახურებების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განგრძობითად და პროგრესირებადად ხელმისაწვდომობის სტანდარტები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო პორტალი (სადაც შესაძლებელი იქნება საჩივრების მიღებაც) და ამ პორტალის შექმნისა და ფუნქციონირების წესი.

7.9 ტურიზმი

2023 წლის 15 დეკემბერს მიღებულ იქნა ცვლილებები საქართველოს კანონში „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკასა და ტურისტული საქმიანობის სუბიექტებსა და მიმართულებებს, აწესრიგებს ტურისტულ საქმიანობას, აგრეთვე განსაზღვრავს ტურისტის, როგორც მომხმარებლის, უფლებებსა და გარანტიებს, ტურისტული მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციებსა და ვალდებულებებს, ტურიზმის სფეროში კერძო და საჯარო თანამშრომლობის მექანიზმებს, ტურისტის უსაფრთხოებასა და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, 2023 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან უმასპინძლა **40 პრეს და გაცნობით ტურს.**

ამავე პერიოდში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამართულ შემდეგ **საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში:** FITUR - მადრიდი, ესპანეთი; MATKA - ჰელსინკი, ფინეთი; Baltour - რიგა, ლატვია; BIT - მილანი, იტალია; ITB - ბერლინი, გერმანია. Top Resa - პარიზი, საფრანგეთი; PTAK Warsaw - ვარშავა, პოლონეთი.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა **მარკეტინგული კამპანიები** შემდეგ პლატფორმებზე:

- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, გერმანულ საკომუნიკაციო სააგენტო KPRN Network GmbH-თან თანამშრომლობით, განახორციელა ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანია გერმანიაში. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პოზიციონირება გერმანულ ბაზარზე. კამპანიის ფარგლებში ყოველთვიურად იყო გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის პიარ და მარკეტინგული აქტივობები, როგორებიცაა: ციფრული რეკლამა, ბეჭდური რეკლამა, ინფლუენსერების აქტივაცია, სტატიების გამოქვეყნება, როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ პლატფორმებზე, საქართველოს შესახებ პრეზენტაციების გამართვა, კულინარიული წარმოდგენების მოწყობა.
- მაღალმხარჯველი ტურისტული ნაკადების მოზიდვის მიზნით, 2023 წლის ივლისი - დეკემბრის პერიოდში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, მედია პლატფორმა Bloomberg-ზე განახორციელა მასშტაბური ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანია, რომლის სამიზნე ბაზრებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, წარმოადგენდნენ იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია.
- 2023 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, სამოგზაურო პლატფორმა Expedia-ზე განახორციელა მარკეტინგული კამპანია, რომელიც მოიცავდა ციფრული ბანერების განთავსებას Expedia-სა და მის პარტნიორ ვებ-გვერდებზე, Expedia-ს სპეციალურ სექციაში საქართველოს შესახებ ინფორმაციის განთავსებას და აქტივობებს სოციალურ მედიაში. კამპანიის სამიზნე ბაზარს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან წარმოადგენდა გერმანია.
- 2023 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, პლატფორმა Skyscanner-ზე განახორციელა მარკეტინგული კამპანია, რომლის სამიზნე ბაზრებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან წარმოადგენდნენ გერმანია და პოლონეთი. კამპანია მოიცავდა ციფრული ბანერების განთავსებას სკაისკანერის ვებ-გვერდებზე, სკაისკანერის სპეციალურ სექციაში და ასევე, სოციალურ მედიაში (Instagram, Facebook, TikTok).

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქვეყნის **საქმიანი ტურიზმის პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით,** 2023 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამართულ საქმიანი ტურიზმის მიმართულების შემდეგ **საერთაშორისო ღონისძიებებში:**

- 2023 წლის 29-31 იანვარს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ მონაწილეობა მიიღო გერმანიის ფედერაციაში, ქ. დრეზდენში გამართულ ფორუმში MCE Central and Eastern Europe. ფორუმის მონაწილეებს წარმოადგენდნენ საკონვენციო ბიუროები და მომსახურების მიმწოდებლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ასევე, საერთაშორისო ღონისძიებების დამკვეთი კომპანიებისა და ასოციაციების

წარმომადგენლები ისეთი პრიორიტეტული ბაზრებიდან, როგორებიცაა: დანია, შვედეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია. ღონისძიების განმავლობაში, ბიუროს წარმომადგენლებმა გამართეს B2B შეხვედრები.

- 2023 წლის 16 მარტს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, ქ. პარიზში გამართულ ღონისძიებაში - "PURE Meetings and Events, 2023". ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ბიზნეს ტურიზმის სფეროში მოღვაწე წამყვანი, ფრანგული კომპანიების წარმომადგენლებთან და პოტენციურ დამკვეთებთან.
- 2023 წლის 22-25 ოქტომბერს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ, საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოპულარიზაციისა და პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრების გამართვის მიზნით, მონაწილეობა მიიღო იტალიაში გამართულ ფორუმში m&i Lake Como 2023. ფორუმის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი) მოწვეულ ბიზნეს სფეროში მოღვაწე წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან.
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 23-25 მაისს გერმანიაში, ქ. ფრანკფურტში გამართულ საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში „IMEX 2023". აღნიშნულ გამოფენაზე, ბიურო წარდგენილ იყო 10 წევრ კომპანიასთან (სასტუმროები და ტურისტული კომპანიები) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად. გამოფენის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები პოტენციურ პარტნიორებთან: გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის სტუმარმასპინძლობისა და ღონისძიებების სფეროს წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა საქართველოში მასშტაბური კონფერენციების გამართვის და კორპორაციული ტურების ორგანიზების საკითხები.
- საქართველოს საქმიანი ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ მონაწილეობა მიიღო ITB Berlin 2023-ს ფარგლებში, საქმიანი ტურიზმის პავილიონში გამართულ ღონისძიებებში. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა B2B შეხვედრები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ბიზნეს ტურიზმის სფეროში მოღვაწე კომპანიებთან და ასოციაციებთან.
- 2023 წლის 28-30 ნოემბერს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამფენო ბიურომ, მონაწილეობა მიიღო ესპანეთის სამეფოში, ქ. ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში - IBTM World. აღნიშნულ გამოფენაში, საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროსთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ბიუროს რვა წევრი კომპანიის წარმომადგენელმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა და იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ. გამოფენის ფარგლებში, საქმიანი ტურიზმის მიმართულებით პარტნიორობის გაღრმავების მიზნით, გაიმართა პრეზენტაციები, საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები 40-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიის და ასოციაციის წარმომადგენლებთან.

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, ქვეყნის **საქმიანი ტურიზმის პოტენციალის** პოპულარიზაციის მიზნით, 2023 წლის განმავლობაში, გამართა **შემდეგი როუდშოუ,** ქვეყნის პრეზენტაცია და B2B შეხვედრები:

- 2023 წლის 6-8 ივნისს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ, ავია-კომპანია "Air Baltics"-თან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა

და კურორტების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, გამართა როუდ შოუ დანიასა და შვედეთში - Roadshow – Scandinavia (Denmark, Sweden). 6 ივნისს, დანიის სამეფოში, ქ. კოპენჰაგენში, ხოლო 8 ივნისს შვედეთის სამეფოში, ქ. სტოკჰოლმში, ბიურომ უმასპინძლა ღონისძიებებს, რის ფარგლებშიც, ქართული კერძო სექტორისა (ბიუროს წევრი 14-მდე კომპანია) და ადგილობრივისაქმიანი ტურიზმის სფეროში მოღვაწე წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გაიმართა B2B შეხვედრები, საქმიანი ტურიზმის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

7.10 განათლება, მეცნიერება, ახალგაზრდობა

საქართველო ახორციელებს ევროკავშირთან დაახლოებას აღნიშნული მიმართულებით (ასოცირების შეთანხმება, კარი VI, თავი 16, დანართი XXXII).

2023 წლის მდგომარეობით, კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა „**ჰორიზონტი ევროპა**“-ს ფარგლებში, ქართველი მონაწილეების ჩართულობით დაფინანსდა 31 პროექტი (28 ორგანიზაციის მონაწილეობით), სადაც ევროკავშირის პირდაპირი კონტრიბუცია 3 633 399 ევროა. სულ, საქართველოს მხრიდან შეტანილ იქნა 166 საპროექტო განაცხადი 101 ორგანიზაციის მიერ.

2023 წლის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს **ჰორიზონტი ევროპა**“-ს 16 საგრანტო ოფისი, რომელთა მიერაც საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 99 საინფორმაციო შეხვედრა, 1800-ზე მეტი მონაწილით. ამ პერიოდში პოტენციურ აპლიკანტებთან უნივერსიტეტის საგრანტო ოფისების მიერ ჩატარდა 262 ინდივიდუალური კონსულტაცია.

2023 წლის მდგომარეობით, საქართველოს მკვლევარები ჩართული არიან მიმდინარე 31 “**COST Action**”-ში; აქედან 36 აქციის მმართველი კომიტეტის წევრებად ნომინირებულები არიან ქართველი მკვლევარები.

საანგარიშო პერიოდში, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ევროკავშირის **„უნარების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის“** პროგრამით 2022 წლისთვის გათვალისწინებული **ინდიკატორების შესრულების შესახებ საბოლოო ანგარიში, დოკუმენტაცია** და შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად, წარედგინა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს.

განახლდა სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი, შემუშავდა სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და შეფასების პროცედურების პროექტი. https://eqe.ge/ka/page/static/1033/jandacva-socialuri-ketildgheoba

2023 წლის განმავლობაში, **ფორმალური განათლების სისტემაში** დაემატა 198 ახალი, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა - ინფორმაციისა და კომუნიკაციის, სოფლის მეურნეობის, საინჟინრო საქმის, წარმოება-გადამუშავების, ბიზნესის ადმინისტრირების, განათლების, პერსონალური მომსახურებების, არქიტექტურისა და მშენებლობის, ხელოვნების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში, პროგრამებზე ჩაირიცხა 7000 მსმენელი.

შემუშავდა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია 2023-2026წწ. და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

2023 წლის აპრილში ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს მიენიჭა **არაფორმალური განათლების აღიარების უფლება** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პროფესიული

მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში. 2023 დეკემბრის მდგომარეობით, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება გააჩნია 11 დაწესებულებას.

2023 წლის მდგომარეობით, არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია 11 სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება, ხელოვნება.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა რეგისტრაცია **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე**. 2023 წლის მიღების ფარგლებში, **ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე** ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 40%-მდე გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წელს ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 783 სტუდენტი.

პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით, 2023 წელს **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებული კონკურსის** ფარგლებში დაფინანსდა 30 საპროექტო განაცხადი, რომელიც ხორციელდება 23 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დაფინანსებული პროექტები ხორციელდება სამეგრელოში, კახეთში, რაჭაში, გურიაში, ქვემო და შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, აჭარაში, იმერეთსა და თბილისში მოქმედ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ევროპული სკოლის შემდგომი განვითარების კუთხით, საანგარიშო პერიოდში, ღია კონკურსის ჩატარების საფუძველზე შეირჩა **სკოლის** ეროვნული დირექტორი. შეიქმნა სკოლის მმართველი საბჭო, დამტკიცდა დებულება და განისაზღვრა საბჭოს წევრები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა 8 სამუშაო ჯგუფი, სხვადასხვა ინიციატივებში ევროპული სკოლის დასახმარებლად.

2023 წლის 23 მაისს ჩატარდა მე-4 კოჰორტის (38 სტუდენტი) გამოსაშვები ცერემონია, ასევე დასრულებულია მე-5 კოჰორტის მიღება - აპლიკანტთაგან 20 საუკეთესო შეუერთდა ევროპული სკოლის 2023-2024 წწ. პროგრამას.

ევროპული სკოლის მშენებლობა დაწყებულია და დასრულების ვადები უცვლელია; სკოლის ახალი შენობა გაიხსნება 2024 წლის სექტემბერში. ევროპული სკოლა, ახალი ინფრასტრუქტურის შესაბამისად, მოემსახურება 504 მოსწავლეს, აქედან 384 მოსწავლეს საბაზო (7-9 კლასები) და საშუალო (10-12 კლასები) საფეხურებზე ხოლო 120 მოსწავლეს საერთაშორისო საბაკალავრო IB პროგრამაზე (11-12 კლასები).

2023 წლის მდგომარეობით, **ევროპის სასკოლო განათლების პლატფორმაზე (ESEP)** სულ რეგისტრირებულია 4500 მასწავლებელი 1400 სკოლიდან. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 19 მასწავლებელი იქნა მივლინებული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილ სემინარსა და კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, უნგრეთი, გერმანია, პოლონეთი).

პროფესიული განვითარების კუთხით, გადამზადდა 2962 მასწავლებელი შემდეგ ტრენინგ-მოდულებში: „ევროპის სასკოლო განათლების პლატფორმაზე მუშაობა და eTwinning-ის პროექტების ინიცირება"- გადამზადდა 1572 მასწავლებელი; „eTwinning-ის პროექტების დაგეგმვა ვებ 2.0 ინსტრუმენტებით" - გადამზადდა 1391 მასწავლებელი.

მუდმივად მიმდინარეობს ESEP-ის პორტალზე განთავსებული სიახლეების/რესურსების ქართულად თარგმნა.

ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის - "Skills4Success" (უნარები წარმატებისთვის) - ფარგლებში, სიტუაციის ანალიზისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით **მომზადდა ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი**. დოკუმენტი მიმოიხილავს ადგილობრივ კონტექსტს, ეყრდნობა საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას და წარმოადგენს რეკომენდაციებს საქართველოში ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდასაჭერად. დოკუმენტს თან ახლავს საჯარო კონსულტაციების ანგარიში და სამოქმედო გეგმა.

2023 წლის 5 ივნისის #205 დადგენილებით დამტკიცდა **ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი.**

დასრულდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი - "Skills4Success" (უნარები წარმატებისთვის), რომლის ფარგლებშიც დასაქმებულმა 20-მა მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკმა საქართველოს 5 რეგიონის 10 მუნიციპალიტეტში შექმნა ახალგაზრდული სერვისები და მათში ჩაერთო 2000 ადგილობრივი ახალგაზრდა. პროექტის დასრულების შემდგომ, ჩატარდა შიდა შეფასება, რის საფუძველზეც 6-მა მუშაკმა განაგრძო საქმიანობა საქართველოს 3 რეგიონის 6 მუნიციპალიტეტში.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (Skills4Jobs) პროგრამის ფარგლებში **შემუშავდა ახალგაზრდობის შესახებ კანონის სამუშაო ვერსია.** ევროპის საბჭოს დახმარების ფარგლებში, კანონპროექტმა სახელმწიფოს ახალგაზრდულ სტრატეგიასთან ერთად, ახალგაზრდული პოლიტიკის ექსპერტის რევიზია გაიარა. კანონპროექტის სამუშაო ვერსია მიწოდებულია პარლამენტისთვის.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (Skills4Jobs) პროგრამის ფარგლებში შემუშავდა, აგრეთვე, **ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების კურსის სამუშაო ვერსია; ახალგაზრდული სერვისების კონცეპტუალური დოკუმენტი** და მის საფუძველზე **ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტის დოკუმენტები** (ახალგაზრდული ცენტრების, სივრცეების და ბანაკების), რომელიც მიზნად ისახავს ცენტრების, სივრცეების და ბანაკების ხარისხის სტანდარტის დანერგვას და ხარისხიანი სერვისების განვითარების ხელშეწყობას.

2023 წლის მდგომარეობით, 25 მუნიციპალიტეტში მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული ახალგაზრდული სათათბიროები/ ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოები.

ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) ჩაატარა ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით ტრენინგი სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2022 წლის საგრანტო კონკურსის განმცხადებელთათვის. შეირჩა 20 სხვადასხვა ორგანიზაციიდან (მთელი საქართველოს მასშტაბით), ჯამში 20 მონაწილე ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად - "დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი", რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში პოტენციური მიკრო/მცირე მეწარმეებისთვის ან ბიზნეს კონსულტაციის მიღების მსურველთათვის ტრენინგების ჩატარებას მეწარმეობის განვითარების მიზნით.

7.11 კულტურის და სპორტის სფეროში თანამშრომლობა

კულტურის და სპორტის სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება ასოცირების შეთანხმების ფარგლებში (ასოცირების შეთანხმება, კარი VI, თავი 17, 19) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა.

2023 წლის 4 ოქტომბერს, ბრიუსელის ხელოვნების ცენტრში "BOZAR" კულტურის საერთაშორისო ფესტივალი - „ევროპალია-საქართველო" ოფიციალურად გაიხსნა. რომელშიც **საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით პირველად მონაწილეობდა**. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს კულტურის სამინისტროს ჩართულობით, ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში, 2023 წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა ფესტივალ „ევროპალია-საქართველოს" ფარგლებში.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) 2005 წლის **„კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ"** კონვენციის შესრულების მხარდაჭერის მიზნით, სხვა მრავალ კომპონენტთან ერთად, უდიდესი ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების, შშმ და სსსმ პირების ჩართულობით და მათთვის განხორციელებული პროექტების ხელშეწყობას. კულტურის სამინისტრომ განახორციელა პროგრამა - **"კულტურის ხელშეწყობა",** რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა სახელოვნებო და კულტურის დარგების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წლის განმავლობაში დაკონტრაქტდა 438 პროექტი, მათ შორის 286 საკონკურსო, ხოლო 152 - არასაკონკურსო წესით.

„შემოქმედებითი ევროპის" (Creative Europe) პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლების, ბენეფიციარებთან კონსულტაციებისა და მათთვის აქტიური დახმარების კუთხით სამუშაო პროცესში. ჯამში სულ გაიმართა 250-მდე საკონსულტაციო შეხვედრა კულტურის ქვე-პროგრამის და 200-მდე შეხვედრა MEDIA ქვეპროგრამის შესახებ (როგორც ფიზიკურ, ასევე, ონლაინ ფორმატებში); პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსების შესახებ გაიმართა 10 საინფორმაციო შეხვედრა როგორც საქართველოში, ასევე, პროგრამაში მონაწილე სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, გაიმართა პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კონკურსის **„თანამშრომლობის პროექტების"** (Matchmaking) სესია. 2023 წელს დაფინანსდა 8 პროექტი საქართველოს მონაწილეობით **„შემოქმედებითი ევროპის"** ყველა მიმართულებაში (კულტურა, MEDIA, სექტორთა შორისო).

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაწყებულია **„კულტურის კოდექსის"** პროექტის შემუშავება, რის ფარგლებში სამინისტროს მიერ ერთ-ერთ მიმართულებად გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. კოდექსის პროექტის გარკვეული ნაწილი შემუშავებულია. ორი თავი განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან. საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტის ინიცირება მოხდება მისი შინაარსობრივი და რედაქციული სრულყოფის შემდეგ.

საანგარიშო პერიოდში **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მუზეუმების** მიერ განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები მათ შორის: 1). 40-მდე გამოფენა და 25-მდე საგანმანათლებლო პროგრამა. ხოლო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თეატრების მიერ წლის განმავლობაში გაიმართა 140-მდე სპექტაკლი, რასაც 22000-მდე მაყურებელი ესწრებოდა. 2). **სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის** მიერ, ქვემო ქართლსა და კახეთში ჩატარდა აზერბაიჯანული თემის ტრადიციული მუსიკის კვლევა. მოეწყო საველე ექსპედიციები ფოლკლორის ცენტრის ეთნო-მუსიკოლოგების მიერ. შედგა ადგილობრივი ოსტატებისა და მუსიკალური საკრავების აღნუსხვა; 3). **ა(ა)იპ ქალთა ალიანსი განვითარებისთვის** - მიერ, განხორციელდა პროექტი

"**ხალიჩის თანამედროვე კონტექსტი სწავლება და ხელოვნება",** რაც გულისხმობს ტრადიციული, მათ შორის "ბორჩალოს" ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიის შესწავლას მარნეულისა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდებისათვის; 4). გამოიცა საიუბილეო წიგნი-ალბომი ოთხ ნაწილად, ორენოვანი კრებული **„ART მინიატურა - ქართველი მხატვარი ქალები'**, რომელიც მოიცავს ქართული მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ბიოგრაფიას, მათ შორის გერმანული წარმოშობის ქართველი მხატვრის - ირინა შტენბერგის საიუბილეო (120 წელი) კრებული. 5). გამოიცა საიუბილეო ალბომი (2-ტომეული) ,, **მზერა ოთხმოციანებიდან თბილისი 1988 წელი**" და ' **მზერა ოთხმოციანებიდან თბილისი 1989 წელი**" - სადაც ასახულია სომხური წარმოშობის ქართველი ფოტოგრაფის იური მეჩითოვის ფოტოგრაფიაში მოღვაწეობის 60 წელი; ეროვნულ გალერეაში მოეწყო უკრაინული წარმოშობის ქართველი მხატვრის ოლეგ ტიმჩენკოს გამოფენა; 6). **ა(ა)იპ ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის „ნართები"** მიერ, პროექტის **„საახალწლო კონცერტები საზღვრისპირა სოფლებში"** ფარგლებში გაიმართა 2 კონცერტი შიდა ქართლის საზღვრისპირა ორ სოფელში. 7). ა(ა)იპ ქალთა უფლებების სათემო ინიციატივის პროექტის - ,, **საქართველო ჩვენი თვალით დანახული"** - ფარგლებში, სექტემბრის თვეში მოეწყო სხვადასხვა ეროვნების (სომეხი, აზერბაიჯანელი, იეზიდი) ქალი მხატვრების გამოფენა თბილისის სამხატვრო აკადემიაში; 8). სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროექტის - "**უსაზღვრო სახელოვნებო სივრცეები**" ფარგლებში სამხატვრო აკადემიის პედაგოგები, სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედია ხელოვნების მიმართულების სტუდენტები იმყოფებოდნენ საზღვრისპირა სოფლებში (გორში, ახალქალაქში, მარნეულში) სადაც ჩაატარეს სემინარები და ვორქშოპები. ადგილობრივმა მოსწავლე ახალგაზრდებმა შექმნეს ნამუშევრები. მოეწყო გამოფენები; 9). შოთა მაღლაკელიძის პროექტის ,,**გაცოხლებული ნამსხვრევები"** - ფარგლებში მოეწყო შოთა მაღლაკელიძის ნამუშევრების გამოფენა მარნეულში; 10). სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის პროექტის -**„აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები-ტრადიციის შენარჩუნება**" - ფარგლებში, აზერბაიჯანელმა პროფესიონალმა მქსოველმა ქალებმა ჩაატარეს მასტერკლასები. მოეწყო ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა; 11). ა(ა)იპ კულტურა და კონტაქტების პროექტის -**„საუკუნოვანი მეჩეთების ვიზუალური კვლევა მაღალმთიან აჭარაში"** - ფარგლებში, განხორციელდა ფოტოგადაღებები ხულოში, ქედასა და შუახევში და მომზადდა ციფრული კატალოგი. პროექტის მიზანი იყო გაკეთებულიყო ვიზუალური აღწერა იმ მეჩეთების რომლებიც ერთგვარი მეხსიერებაა მრავალკონფესიური და მრავალფეროვანი საზოგადოებისა, რითაც ქრისტიანული და ისლამური კულტურების საუკუნოვანი თანაცხოვრება დასტურდება. აღწერილია ჩვიდმეტი ხის მეჩეთი, მათთვის დამახასიათებელი ყველა დეტალი, ლაზი ოსტატების მიერ შექმნილი უნიკალური მხატვრობა და ხეზე ნაკვეთი სხვა, უნიკალური ნამუშევრები; 12). პროექტის - **„თეატრობანა - შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავების** ხერხები" ფარგლებში, სტუდია ასტეროიდის ხელმძღვანელის, მსახიობის, რეჟისორის და პედაგოგის რუსუდან ბოლქვაძის მიერ შემუშავდა მასტერკლასების სერია, რომელიც სტუდიის მოსწავლეების (რომლთა შორის არიან სხვადასხვა ეროვნებისა და შესაძლებლობის, მათ შორის, სსსმ, შშმ და იძულებით გადაადგილებული პირები) მონაწილეობით ჩატარდა და გადაღებულ იქნა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში; 13). **ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე ,,ევროპალია 2023**" 10 ნოემბერს, ქალაქ ბრიუგეს საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა აზერბაიჯანული წარმოშობის ქართველი ხელოვანი, უძველესი აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის შემსრულებელი თინათინ მეითოვი (ნარგილე მეჰთიევა), რომელიც ერთადერთი აშუღი ქალბატონია საქართველოში. მან აშუღური სიმღერები შეასრულა ტრადიციული ინსტრუმენტის - საზის გამოყენებით; 14). კონკურსის - **ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონებში** - ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით - ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა ა(ა)იპ **ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა ,,ნართები",**

რომელმაც აპრილი-მაისის თვეში 2 კონცერტი ჩაატარა საჩხერესა და მარნეულში. 15). კონკურსის **„დოკუმენტური/სამეცნიერო-პოპულარული კინოს** ხელშეწყობის“ ფარგლებში, დაფინანსება მოიპოვა პროექტმა **„ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“** (ქართველ-ებრაელი მწერლის, ჯემალ აჯიაშვილის როლი ქართულ ლიტერატურაში). 16). კონკურსის - **„მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა"** ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი - **„თანამედროვე ქართველი და ოსი პოეტების ერთობლივი კრებულის გამოცემა**“ და **"მიხა ლაკერბაიას ნოველების თარგმნა და წიგნად გამოშვება**“.

საანგარიშო პერიოდში კონკურსის **„ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“** ფარგლებში დაფინანსდა შვიდი პროექტი: "თანამედროვე ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია"; „შემოქმედებითი ინტეგრაცია"; „ინტერაქტიური კონცერტი პარაორკესტრის მონაწილეობით"; „ინკლუზიური სპექტაკლი „ზღვის კარიბჭე"; „პატარა უფლისწული"; "ვეფხისტყაოსნის ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა"; „მწერლობა - დიალოგი წარსულთან"; „ინკლუზიური პროგრამა - ფიროსმანის დღე ეროვნულ გალერეაში".

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით **ევროპის სპორტის კვირეულის** ფარგლებში მოეწყო **სპორტული სოფელი**, წარმოდგენილი იყო სპორტის 20-ზე მეტი სახეობა. მონაწილეობა მიიღო 3000-ზე მეტმა პირმა. გაიმართა სხვადასხვა სახის **#BeActive** სპორტული ფესტივალები; პარა-სპორტული აქტივობები; ვეტერანთა ტურნირები; საშეჯიბრო მარათონები; მედია ტურნირი; ბავშვთა ველო-გარბენი და სხვა. ჯამში ჩატარდა 50 -ზე მეტი აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 000-მდე მონაწილემ.

7.12 რეგიონული განვითარება

რეგიონული განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს საქართველოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფორმირებაში, შესაბამისად ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება (ასოცირების შეთანხმება, კარი VI, თავი 21) ქვეყნის და მისი რეგიონების რესურსული პოტენციალის გამოყენებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (Smart Specialization/S3) მიმართულებით სამეწარმეო აღმოჩენის პროცესის (EDP) ეფექტიანი განხორციელების შემდგომ, მომზადდა და მოწონებულ იქნა EDP-ის შესაბამისი ანგარიში. ასევე, 2023 წლის აპრილში დაიწყო აქტიური სამუშაოები და მომზადდა იმერეთის ჭკვიანი სპეციალიზაციის (S3) სტრატეგიული დოკუმენტის პირველადი პროექტი. დასკვნით ეტაპზე გადადის აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების პროცესი. სტრატეგიის დოკუმენტის განხილვა უშუალოდ იმერეთის რეგიონის საკონსულტაციო საბჭოს (RCC) მიერ მისი მოწონებისთვის, დაგეგმილია 2024 წლის პირველ კვარტალში. აღნიშნული პროცესის პირველადი შედეგების შესაბამისად, იგეგმება "ჭკვიანი სპეციალიზაციის" მიდგომის სხვა რეგიონ(ებ)ში გავრცელების შესაძლებლობის განხილვა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და სამინისტროს ვებ-გვერდზე აიტვირთა **ინტეგრირებული რეგიონული განვითარების 2020-2022 წლების პროგრამის (PIRDP) განხორციელების 2022 წლის მონიტორინგის ანგარიში.**

2020-2022 წლების **საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის** (PIRDP) **წარმატებულად დასრულების** შემდგომ, 2023 წლის დასაწყისიდან აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები, ახალი **2024-2026 წლების ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამის (ITDP) დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით.** აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს

რეგიონული განვითარების გრძელვადიან ხედვას და მოიცავს მათ შორის ახალ პრიორიტეტულ სფეროებს, როგორიცაა - **ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა, ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური ინფრასტრუქტურა.** ახალი პროგრამის ფარგლებში დაიფარება ყველა რეგიონი (9), განსხვავებით წინა საპილოტე პროგრამისა, რომელიც მხოლოდ 4 საპილოტე რეგიონს ფარავდა. პროგრამის პროექტი მომზადებულია ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი საბოლოო შეთანხმება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

სამეწარმეო აღმოჩენის პროცესის (EDP) ეფექტიანი განხორციელების შემდგომ მომზადდა და მოწონებულ იქნა EDP-ის შესაბამისი ანგარიში;

საქართველოს ევროკავშირის ტერიტორიული ერთეულების სტატისტიკის ეროვნულ ნომენკლატურასთან (NUTS) დაახლოების მიზნით, 2023 წლის დასაწყისში დასრულდა მუშაობა **„ჰარმონიზაციის გეგმის“** დოკუმენტზე, რომელიც კონსულტაციების შედეგად საბოლოოდ შეჯერდა საქსტატსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, შემუშავდა **„ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელების მონიტორინგის სახელმძღვანელო**“, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებელი უწყებები წელიწადში ორჯერ ამზადებენ და კოორდინატორ უწყებას წარუდგენენ ანგარიშს ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელების სტატუსთან დაკავშირებით. მომზადდა ჰარომიზაციის გეგმის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების 2023 წლის კონსოლიდირებული ანგარიში.

არასასიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტის მშენებლობის მიზნით სამშენებლო კომპანიის შერჩევასთან დაკავშირებული კონკურსის საფუძველზე შეირჩა სამშენებლო კომპანია და დაიწყო სამშენებლო პროცედურებთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები.

7.13 ფინანსური მომსახურება

ფინანსური მომსახურების ნაწილში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მიზანია (ასოცირების შეთანხმების კარი VI, თავი 7; დანართი XV-A) სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ორივე მხარეს შორის სავაჭრო კავშირების ხელშეწყობა.

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 28 ივნისს მიიღო **"ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ"** კანონი.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოში განსახორციელებელ ცვლილებებზე. მიმდინარეობს მუშაობა ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტების განმარტება/დაზუსტების კუთხით, ასევე პროცესშია მაქსიმუმ განაწილებადი ოდენობის (MDA) შემოღება. ამასთან, ეროვნული ბანკი აგრძელებს **კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოზე** მუშაობას. 2023 წლის მარტში შემოღებულ იქნა **ნეიტრალური კონტრციკლური ბუფერი,** რომელიც პილარ 1-ის მოთხოვნებშია გათვალისწინებული და კომბინირებული ბუფერის მოთხოვნების ნაწილია. აღნიშნული თავის მხრივ, ეფუძნება ბაზელ III-ის ჩარჩოს.

ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად მუშაობს კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოში განსახორციელებელ ცვლილებებზე, მათ შორის: მიმდინარეობს მუშაობა ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტების განმარტება/დაზუსტების კუთხით; ეროვნული ბანკი მუშაობს კაპიტალში ჩასართავი და დაქვითვადი ნაწილების შემოღებაზე; ამასთან, ,,კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში"; შემუშავდა კანონქვემდებარე აქტის პროექტი

კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის დამატებითი მეთოდოლოგიის შემოღების მიზნით, CRR რეგულაციისა და ბაზელ III-ის მიდგომების გათვალისწინებით; ასევე, მომზადდა საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლებასთან დაკავშირებით კანონქვემდებარე აქტის პროექტი, **CRR** რეგულაციის შესაბამისად. აღნიშნულ პროექტებზე მუშაობა გრძელდება. დამატებით, **CRD** დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით, მომზადდა კანონქვემდებარე აქტის პროექტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიმართ საზედამხედველო მანდატის განხორციელების ფარგლებში დაკისრებული სანქციების (ფულადი ჯარიმების) გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვას. პროექტი მომზადდა დირექტივის მიდგომების გათვალისწინებით და ამჟამად გამოქვეყნებულია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე საჯარო კონსულტაციის მიზნით.

2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივის, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ მოთხოვნების შესრულების მიზნით 2023 წლის ნოემბერში სამი მოსმენით საქართველოს პარლამენტმა მიიღო **"ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ"** საქართველოს კანონი და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. კანონი დეკემბერში, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა. დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკი და შესაბამისი უწყება - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განაგრძობენ საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების იდენტიფიცირებასა და შემუშავებაზე მუშაობას.

2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა და დეკემბერში საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც 2014/65/EC დირექტივის შესაბამისად ადგენს დაკისრებული სანქციების (ჯარიმა, გაფრთხილება) გამოქვეყნების მარეგულირებელ ჩარჩოს.** შედეგად, დირექტივის შესაბამისად, შესაძლებელი იქნება დაკისრებული ჯარიმების და გაფრთხილებების შესახებ გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.

2023 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა ასევე დაამტკიცა ეროვნული ბანკის თანაავტორობით მომზადებული ცვლილებები "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში, რომლის მიხედვითაც 2014/65/EC დირექტივის შესაბამისად დარეგულირდა საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმის საკითხი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული **საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის "ტვინინგის"** ფარგლებში (რომელიც დასრულდა 2022 წლის სექტემბერში) პროექტის ექსპერტების და **საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის** მიერ მომზადდა კანონმდებლობის პირველადი ჩარჩო (ძირითადი მარეგულირებელი კანონპროექტი და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები). სამსახურში თანამშრომლებისგან და მოწვეული ექსპერტებისგან შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ კანონმდებლობის პირველადი ჩარჩოს დამუშავება უახლოვდება დასასრულს. მეორე ეტაპს წარმოადგენს მისი დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა.

გადახდისუნარიანობა 2-ის (SOLVENCY II) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, სამსახურში თანამშრომლებისგან და მოწვეული ექსპერტებისგან შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ დასრულდა **სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი**

კანონპროექტის დამუშავება; მიმდინარეობს კანონპროექტისთვის საბოლოო სახის მიცემა, მისი შემდგომი, შესაბამისი წესით განხილვის მიზნით.

2023 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის** უფროსის N63 ბრძანება **„პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესის, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“.** ამოქმედდა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრი.

2023 წლის განმავლობაში **აუდიტორების/აუდიტორული ფირმებისათვის სამსახურის მიერ განხორციელებულია 27 ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი;** ასევე სარასის მიერ შემუშავდა და საპარლამენტო სესიაზე განხილვის ფარგლებში ხორციელდება პარლამენტის მიერ შემდგომი სამართლებრივი პროცედურები, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" საქართველოს კანონისა და ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტებთან მიმართებით. კანონპროექტი მოიცავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაციის (EU) No 537/2014-ის („საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ”) საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე ცვლილებას, აღნიშნული რეგულაციიდან გამომდინარე, ცვლილებები შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა **აუდიტორული ფირმებისათვის გამჭვირვალობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულების** შემოღება და ასევე, **აუდიტორული ფირმებისათვის არააუდიტორული მომსახურებების აკრძალვა,** რომელიც პირდაპირ უქმნის დამოუკიდებლობის საფრთხეებს სდპ-ებისათვის მომსახურების გამწევ პირებს. ასევე, ცვლილების პროექტი მოიცავს ნორმებს, რომელთა ახლებურად ჩამოყალიბება განაპირობა სამსახურის ფუნქციონირების განმავლობაში, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლენილმა რიგმა საკითხებმა, რომელთა გათვალისწინებით კანონმდებლობა საჭიროებდა დახვეწასა და სრულყოფას.

წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხისა და სანდოობის ზრდის ხელშესაწყობად 2020 წლიდან, ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით, სარასმა კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დაიწყო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვა - საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. ასევე, აქტივობის ფარგლებში, ანგარიშგებათა ხარისხის ამაღლების მიზნით, სამსახური ახორციელებს ანგარიშგებათა დეტალურ შემოწმებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.
2023 წელს ჯამში დეტალურად შემოწმდა 11 სდპ, 11 პირველი და 29 მეორე კატეგორიის სუბიექტის ანგარიშგება. ჯამში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევა გაიარა 51 სუბიექტის ანგარიშგებამ.

ანგარიშგებების პორტალზე **(www.reportal.ge)** 2023 წლის განმავლობაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შემოწმდა და გასაჯაროვდა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდზე სდპ-ების, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების/შესაბამისი ჯგუფების 73 901 ანგარიშგება, მათ შორის სდპ სტატუსის საწარმოთა 123, პირველი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 241, მეორე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 718, მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 4 955 და მეოთხე კატეგორიის

საწარმოს/ჯგუფის 67 864 ანგარიშგება; ასევე, შემოწმდა და გასაჯაროვდა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდზე სდპ-ების, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების/შესაბამისი ჯგუფების 3 657 ანგარიშგება, მათ შორის სდპ სტატუსის საწარმოთა 12, პირველი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 52, მეორე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 135, მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 511 და მეოთხე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის 2 947 ანგარიშგება.

სამსახურსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) შორის ხელშეკრულება გაფორმდა. თანამშრომლობის მიზანია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ანგარიშგების საკითხებში. ასევე, საქართველოში უკეთესი მდგრადობის შესახებ ანგარიშგების განვითარება, მათ შორის ESG-ის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად, გათვალისწინებული იქნება აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროკავშირის კორპორაციული ანგარიშგების დირექტივის (CSRD) მოთხოვნები.

8. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი

საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა დოკუმენტს: "Support in Implementation of the Deep and Comprehensive Free Trade Area and Small and Medium Enterprise Development in Georgia (DCFTA-SMEs) NDCI-GEO-NEAR/2022/ACT-61198".

განხორციელდა უწყებათაშორისი კონსულტაციები ევროკავშირის პერსპექტივის (EU Perspective) მინიჭების საფუძველზე ახალი ვალდებულებების გათვალისწინებით, ევროკავშირის დახმარების პროექტებში თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული სისტემების რეფორმირების მიზნით.

9. ინსტიტუციური თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველო-ევროკავშირის ინსტიტუციური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები და სამომავლო გეგმები.

18-19 ივლისს ქ. ბრიუსელში გაიმართა **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-8 სხდომა.**

20 ივნისს, ქ. თბილისში გაიმართა **ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-16 შეხვედრა.**

8 ივნისს ქ. ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს **ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის (PAC) მე-12 სხდომა.**

25 იანვარს ქ. თბილისში გაიმართა **საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის რიგით მე-5 შეხვედრა.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო 30 მარტს, ქ. ბრიუსელში გამართულ **აღმოსავლეთ პარტნიორობის მაღალი რანგის თანამდებობის პირთა შეხვედრაში (SOM).**

საანგარიშო პერიოდში, ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ევროკავშირის მხარესთან

ინფორმაციის გაცვლის და მომავალი ერთი წლის სამოქმედო ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით და ჩართულობით, გაიმართა **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის 6 თემატური ჯგუფის** შეხვედრები, საქართველოს შესაბამისი უწყებებისა და სააგენტოების და ევროკომისიის, ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მონაწილეობით. კერძოდ, გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

- 9 მარტს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის III თემატური ჯგუფის - **„ენერგეტიკა, გარემო, კლიმატი, ტრანსპორტი და სამოქალაქო დაცვა“** რიგით მე-8 სხდომა.
- 22 მაისს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის - **„დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა“** რიგით მე-8 სხდომა;
- 29 ივნისს, ქ. ბრიუსელში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-2 თემატური ჯგუფის - **„სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“** რიგით მე-8 სხდომა.
- 14 ივლისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-5 თემატური ჯგუფის - **„სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე** “- რიგით მე-8 სხდომა;
- 11 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-4 თემატური ჯგუფის - **„საინფორმაციო საზოგადოება; აუდიოვიზუალური და მედიის სფერო; მეცნიერება და ტექნოლოგიები; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურა, სპორტი და ფიზიკური აქტივობა“** რიგით მე-8 სხდომა;
- 4 დეკემბერს ქ. თბილისი გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის პირველი თემატური ჯგუფის - **„ეკონომიკური დიალოგი, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი; სტატისტიკა; ფინანსური მომსახურება; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი“** რიგით მე-7 სხდომა.

29 მარტს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თეიმურაზ ჯანჯალიას ხელმძღვანელობით, ქ. ბრიუსელში შედგა საქართველოს უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა კონსულტაციები ევროკომისიის გაფართოებისა და სამეზობლო მოლაპარაკებების საკითხებში გენერალური დირექტორატისა (DG NEAR) და სხვადასხვა სექტორული სამსახურების (DG) წარმომადგენლებთან. აღნიშნული ვიზიტით დაიწყო **გაფართოების პაკეტის ფარგლებში ევროკომისიასთან დიალოგის ახალი ეტაპი,** რომლის მიზანს წარმოადგენდა ევროკომისიისგან ინფორმაციის მიღება, გაფართოების პაკეტის ფარგლებში საქართველოს მხრიდან მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების და აქტივობების შესახებ.

10. სტრატეგიული კომუნიკაცია

საქართველოს ევროკავშირში წევრობის განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით და ევროკავშირის მიერ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის ოფიციალური დადასტურების შესაბამისად, უწყებებთან შეთანხმების საფუძველზე ადაპტირდა „**ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების შესახებ საქართველოს**

მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“ დოკუმენტები, სტრატეგიის ტექსტი და ლოგიკური ჩარჩო.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა **„ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“** უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები. შემუშავებულ იქნა 2023 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში. **„ევროკავშირის და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II“** პროექტის დახმარებით, მოწვეული ექსპერტის მიერ გაიმართა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ტრენინგები კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის აქტივობათა შემუშავების თემატიკაზე. სადაც, სსიპ **„ციფრული მმართველობის სააგენტომ“** სტრატეგიის მონიტორინგის პროგრამის პრეზენტაცია წარადგინა და დეზინფორმაციის მთავარი ნარატივებისა და მათთან გამკლავების ხერხების თემატიკა განიხილა.

სსიპ-ის საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებითა და მონაწილეობით საანგარიშო პერიოდში **გაიმართა 994 სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიება ევროკავშირის შესახებ.** აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო **29 780-მდე ადამიანმა,** როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

საქართველოს მასშტაბით გავრცელდა ცენტრის მიერ მომზადებული 8290-მდე საინფორმაციო მასალა, მათ შორის გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

ინტენსიური ციფრული კამპანიის ფარგლებში, ევროკავშირის თემაზე, იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით შეიქმნა და გამოქვეყნდა **60 სოც-მედია პროდუქტი, რომელმაც ჯამში დააგროვა 1,911,995 ჩვენება.** ასევე, ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული) ითარგმნა და გამოქვეყნდა 76 სოც. მედია პოსტი, რომელმაც ჯამში დააგროვა 809,782 ჩვენება.

ევროპის დღეების ფარგლებში **ჩატარდა 60 ღონისძიება,** რომელშიც მონაწილეობა მიიღო **3 700-მდე ადამიანმა.** ასევე, სოციალური ქსელების საშუალებით წარმოებულმა საინფორმაციო კამპანიამ, რომელიც ასევე ეთნიკური უმცირესობების ენებზეც ვრცელდებოდა, მოიცვა 400 000-მდე ადამიანი;

საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება პროექტი **„საგანმანათლებლო დებატ-კლუბები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“,** რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ 70-მდე სკოლაში, კლასგარეშე აქტივობის ფორმატში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ თემატური დებატ-კლუბების შექმნასა და მონაწილე პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ცოდნის გაზრდას “კარლ პოპერის პოლიტიკური დებატების“ ფორმატის გამოყენებით. პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 74 საჯარო სკოლაში, კლასგარეშე აქტივობის ფორმატში, დაარსდა დებატ-კლუბები, სადაც 850-მდე მოსწავლე გაერთიანდა. ამასთან, გადამზადდა 74 მასწავლებელი ნატოს, ევროკავშირისა და დეზინფორმაციის თემატიკაზე. დებატების ეროვნული ტურნირის ფარგლებში ჩატარდა 148 შესარჩევი რაუნდი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 74 გუნდმა, ჯამში 222 მოსწავლემ.

პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ ფარგლებში, პროგრამის 28-მა ბენეფიციარმა „ახალგაზრდა ევროპელმა ელჩმა“ საქართველოს 23 მუნიციპალიტეტის 65 დასახლებაში გამართა 90-მდე შეხვედრა. შეხვედრებში მონაწილეობდა 1700-ზე მეტი ადამიანი. პროგრამა ხორციელდება USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)

ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორები არიან ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის პირობებში უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, **საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის** (ICMPD) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა 1 (ერთი) ვიდეო რგოლი, რომელიც ჩაეშვა ტელევიზიებში სოციალური რეკლამის სტატუსით (რუსთავი-2, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პოსტვ). ვიდეო რგოლი ასევე განთავსდა, როგორც სამინისტროს ონლაინ პლატფორმაზე, ასევე მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის Facebook გვერდზე.

11. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობას იღებს ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგის პროცესში. ასევე, სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტს.

საანგარიშო პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ფარგლებში გამართულ 4 შეხვედრაში (ბრიუსელი, თბილისი), სადაც განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, კანდიდატის სტატუსის ფარგლებში არსებული სარგებელი და სამომავლო ნაბიჯები, ასოცირების შეთანხმების განხორციელება, 12 რეკომენდაციის შესრულება, საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება.